ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№251 (310) 24-31 დეკემბერი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” და გაზეთი “ილორი” ულოცავენ სრულიად საქართველოს მომავალ 2014 წელს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს შრომით საქმიანობაში, მშვიდობას, სამშობლოს გამთლიანებას და ოჯახურ ბედნიერებას!

საქართველო-რუსეთი — პლიუსები და მინუსები

მთავარი რედაქტორის გვერდი

უკანასკნელ ჟამს საქართველოსა და რუსეთს შორის ჩამოყალიბებული დამოკიდებულება რომ არაერთმნიშვნელოვანია, ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად მოსჩანს. არც ის არის ძნელი გამოსაკვლევი, თუ ვისი ნებით და რატომ ჩამოყალიბდა ამგვარი ურთიერთობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის სათავეში ავადსახსენებელი ნაცები და მათი დაშნაკი **“ბელადი”** სააკაშვილი მოვიდნენ.

საქართველოს მდიდარი, მრავალჭირნახული ისტორია თუ საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა მატიანის გარკვეული მონაკვეთები თვალნათლივ მიანიშნებენ, რომ საქართველოს ყოველთვის ეკავა კავკასიაში ლიდერის პოზიცია. დიახ, საქართველო ლიდერი გახლდათ როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისითაც, რადგან კავკასიის სახელმწიფოთა შორის არავის გადაუხდია იმდენი წარმატებული ომი აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის უდიდეს ქვეყნებთან, რამდენიც საქართველომ გადაიხადა და თუ ბევრმა კავკასიის სახელმწიფომ დღემდე შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და თვითგამორკვევის შესაძლებლობა, ეს სწორედ საქართველოს დამსახურება გახლდათ. დაშნაკი სააკაშვილი კი ყველანაირად შეეცადა დაეკნინებინა საქართველოს როლი ამიერკავკასიაში, სასტიკად გაამწვავა რუსეთთან ურთიერთობა და ენერგიულად შეუდა იმ ტრადიციების განადგურებას, რითაც საქართველოს მუდამ ლიდერის პოზიცია ეკავა რეგიონში. ამით კი სააკაშვილს თავისი რეალური სამშობლო – სომხეთისათვის სურდა გადაებარებინა ამიერკავკასიის ლიდერის პოზიცია. მაგრამ ამ ბნელმა დაშნაკმა ვერ გათვალა, რომ ლიდერობა დანიშვნითი ფენომენი არ გახლავთ და იგი აღიარებითი ფაქტორია. ეს რუსებმაც იგრძნეს, რადგან მათი პოზიციები კავკასიაში მნიშვნელოვნად შეირყა, რუსეთი კი კავკასიაში მაშინ იდგა მყარად ფეხზე, როცა საქართველო ეჯგა გვერდით. სწორედ ამ ფაქტორითაა განპირობებული რუსეთის ინტერესი, რომ მან კვლავაც აღადგინოს საქართველოსთან ტრადიციულად კეთილმეზობლური ურთიერთობები.

სამწუხაროა, რომ რუსეთის ამ განზრახვას ქართველთა გარკვეული ნაწილი (ოღონდ, არა გადამთიელი ნაციონალები) სკეპტიკურად უყურებს და ჩვენს ურთიერთობათა მატიანის გადახედვის ოდნავ სურვილსაც კი არ ამჟღავნებს. არა და, არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ მე-18 საუკუნის მიწურულს, როცა განსაკუთრებით ზეობდა და მძლავრობდა მუსულმანური სამყარო, აღმოსავლეთში ქრისტიანული რწმენის ფორპოსტად ქცეული საქართველო ლამის განადგურების საშიშროების წინაშე დადგა. განუწყვეტელმა ომებმა და ე.წ. **“ლეკიანობამ”** თითქმის სრულიად გააჩანაგა ერთ დროს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული ქვეყანა, მისი მოსახლეობა 600.000-მდე შემცირდა, საქართველოში პრაქტიკულად აღარ არსებობდა საარსებო სივრცე: აღარ მოისმოდა გუთნისდედის ნაღვლიანი ღიღინი, გაქრნენ ხელოსნები, ვაჭრობა თითქმის ნულზე იყო დასული, ვენახი და ხეხილის ბაღები – აჩეხილი, სახლები და ყანები – გადამწვარი, სოფლები და ციხე-სიმაგრეები ფუძემოშლილი და საძირკვლამდე გაშიშვლებული...

სწორედ ამ დროს მიმართა მზერა საქართველოს ბრძენმა მეფე ერეკლე მეორემ ერთმორწმუნე რუსეთისაკენ, რომელთა სამხედრო ძალებითაც საქართველოს შემოუმტკიცა ერთ დროს თითქმის უიმედოდ დაკარგული სამცხეთ-ჯავახეთი, ლაზეთი, ჰერეთი...

საქართველო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ფენიქსისამებრ სასწაულებრივად აღდგა ფერფლიდან, მოსახლეობა 3,5 მილიონამდე გაიზარდა, ქვეყანაში სწრაფი ტემპებით განვითარდა სოფლის მეურნეობა, მეღვინეობა, მრეწველობა, ვაჭრობა, ხელოსნობა...

ყოველივე ამის დავიწყება ხომ უმადურობაა, რომელიც შვიდთაგან ერთ-ერთი ბიბლიური მომაკვდინებელი ცოდვა გახლავთ!

თუ ამ ცოდვისაგან თავი ვერ დავიხსენით, მაშინ, არამც თუ კავკასიის ლიდერები, არამედ, ჩათვალეთ, რომ საერთოდ აღარ ვყოფილვართ ქართველები!

თუმცა, არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ვთქვათ რუსეთის არაობიექტურ დამოკიდებულებაზე პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების, კერძოდ კი საქართველოს მიმართ. მაგალითად, უსაზღვრო რუსეთი მეზობელი ქვეყნების გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტისას საკუთარი მასშტაბებით აზროვნებს, რაც არც თუ ხელსაყრელია ამ მეზობლებისათვის. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ძლიერი გეოპოლიტიკური რყევის რეზონანსმა რუსეთის უკიდეგანო სივრცის ბოლომდე შეიძლება ვერც კი მიაღწიოს, მცირემიწიან საქართველოში კი ამგვარმა რყევამ შეიძლება წყალბადის ბომბის აფეთქების ეფექტი იქონიოს. რუსეთმა ათი საქართველოს ოდენა ტერიტორია რომ დათმოს, იგი ამას ვერც კი იგრძნობს, მაშინ, როცა საქართველოსათვის ერთი რაიონის დაკარგვაც კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

აი, რა უნდა გახდეს ჩვენს შორის გამართული დიალოგის მთავარი თემა.

ისიც აღსანიშნავია, რომ ცარისტული რუსეთი არასოდეს ადიქვამდა მტკივნეულად საქართველოს დამოუკიდებლობას. მაგალითად, 1914 წელს რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ მეორე მზად იყო, რომ გამოეცხადებინა საქართველოს ავტონომია, რაც ბაგრატიონთა საგვარეულოს სამეფო უფლებებისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ნიშნავდა. მაგრამ იმპერატორის ამ განაზრახის სისრულეში მოყვანას ჯერ პირველმა მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი, მერე კი – რევოლუციამ, ხოლო, რაც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციისა და ამ რევოლუციით გამოწვეული სამოქალაქო ომის შემდეგ რუსეთში ამბები დატრიალდა, მათში ქართველების ავბედითი როლი უფრო გამოკვეთილია, ვიდრე რუსებისა!

ამრიგად, აშკარად არაობიექტურია ის, რომ (XX საუკუნის ოცდაათიანი წლების სამწუხარო მოვლენებს თავი რომ გავანებოთ) საბჭოთა კავშირში ბოლშევიკების მიერ ჩადენილი ყველა ცოდვა ლაძის რუსებს მიეწერათ. სიმონ მასხარაშვილის ტიპის **“ობიექტური”** ქართველი ისტორიკოსები დღესაც დიდი გულისწყრომით აღნიშნავენ, რომ 1956 წელს, თბილისში, **“რუსების ხელით”** დაიღუპა 56 მშვიდობიანი დემონსტრანტი, მაგრამ არავინ ახსენებს იმ ფაქტს, რომ 1961 წელს, სიმფეროპოლში, მოძალადეთა მიერ დახვრეტილი იქნა 300-ზე მეტი რუსი მშვიდობიანი დემონსტრანტი.

ვერ გამიგია, რა შუაში არიან აქ რუსები, როცა **“დამხვრეტთა”** რიგებში სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც (გამორიცხული არაა, რომ – ქართველებიც) უხვად იდგნენ?

ხოლო, რაც შეეხება ოცდაათიანი წლების კოლექტივიზაციას, ინდუსტრიალიზაციას, ე.წ. **“გოლოდომორს”** და 37-იანი წლების რეპრესიებს, რასაც მრავალი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა, აქ მსხვერპლის მხრივ რუსეთმა პირველობა რომ არავის **“დაუთმო”**, ესეც ფაქტია!

იქნებ ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ეროვნული და იდეოლოგიური ფაქტორები?

დიდ სამამულო ომსა და ქვეყნის აღმშენებლობის დარგებში უამრავი გამარჯვებებისა და წარმატებების მიღწევის შემდეგ, რამაც საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად აქცია, ბუნებრივია, რომ რუსმა ერმა იგრძნო საკუთარი ძალა და მას გაუჩნდა პირველობის ამბიცია, რომლის იდეური ფუძემდებელი ისევ და ისევ ქართველი სტალინი გახლდათ. ბოლშევიკთა აპრიორ იდეოლოგიას რომ თავი გავანებოთ, სპორტულ სფეროშიც კი ჩამოყალიბდა ერთგვარი არაჯანსაღი ტრადიცია, რომლის თანახმად ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მხოლოდ მოსკოვის გუნდი უნდა გამხდარიყო. ერთხელ კი თბილისის **“დინამოს”** დაურიდებლად წაართვეს ღირსეულად მოპოვებული ჩემპიონობა და იგი მოსკოვის ერთ-ერთ გუნდს (თუ არ ვცდები – **“ცსკ”-ს**) გადაულოცეს. მაგრამ, იქნებ ისიც გავიხსენოთ, თუ ვინ იყო მაშინ საბჭოთა კავშირის **“მთავარი მწვრთნელი”**, რათა ყველა ცოდვა რუსებს არ ავკიდოთ!

რუსეთი ნამდვილად მომწონს იმ პირდაპირობისა და თვითკრიტიკისათვის, რომელსაც იგი არასოდეს ერიდება და საკუთარ ნაკლოვანებებზე ღიად საუბრობს. გაიხსენეთ თუნდაც შესანიშნავი რუსი მწერლის თევდორე დოსტოევსკის სიტყვები: **“У России ужасное прошлое и счастливое будущее! И так будет всегда...”.**

და კიდევ, რუსეთისაკენ გული მიმიწევს იმიტომ, რომ მასთან ერთად არ მემუქრება ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების მძლავრი ევროპული შემოტევა, რაც აშკარა განადგურებას უქადის ჩემს სამშობლოს და ეს უჯიშო გადაგვარებულები საქართველოში ქრისტიანობისა და ეროვნული ტრადიციების აკრძალვას არ მოითხოვენ, როგორც ეს საფრანგეთში ხდება?!

ვგონებ, ეს ორი ფაქტორიც კმარა ობიექტური დასკვნის გასაკეთებლად.

რუსებისადმი ფანატიურ სიყვარულს მე ვერავინ დამაბრალებს, მაგრამ არც ისეთი უცხვირპირო ვარ, რომ ხელაღებით გადავუსვა ხაზი ყველა იმ სიკეთეს, რაც საქართველომ მოიმკა რუსეთთან გეორგიევსკის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. აქედან გამომდინარე, რუსეთთან გამართულ მოლაპარაკებათა არსი უნდა იყოს არა ის, შევიყვარებთ თუ არა ჩვენ რუსებს ყოველივე ავ-კარგის გაუთვალისწინებლად. დღესდღეობით, ჩვენ, ქართველები, ერთმანეთსაც კი არ ვანებივრებთ დიდი სიყვარულით და არც ის უნდა იყოს ძნელად ასახსნელი, თუ რატომ არ შევიყვარებთ რუსებს. საკითხის არსი უნდა იყოს შემდეგი: რა უფრო ხელსაყრელი იქნება საქართველოსათვის – ურელიგიო, უეროვნებო და უზნეო ევროპელებთან ჩახუტება თუ ეროვნული ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის მკაცრად დამცველ რუსეთთან კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობების აღდგენა!

ამდენად, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ სულგანათლებული ჭაბუა ამირეჯიბის მკაცრ გაფრთხილებას: **“ჭკუით, ქართველებო”!**

ზურაბ კვარაცხელია 50 წლისაა

სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” და გაზეთი “ილორი” გულითადად ულოცავენ 50 წლის იუბილეს ჩვენს მეგობარსა და უღალატო თანამებრძოლს, შრომისმოყვარეობით, პრინციპულობითა და გულის სითბოთი გამორჩეულ პიროვნებას ზურაბ (ზური) კვარაცხელიას და უსურვებენ, რომ კიდევ ორი ამდენი დრო გაეტარებინოს სამშობლოსა და მშობელი ხალხის უანგარო სამსახურში.

წარსულის დავიწყება არ ეგების...

ჩვენ არაერთგზის გამოგვიქვეყნებია უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეული წერილები, სადაც თვალნათლივაა ასახული ქართველ და აფხაზ შემოქმედთა თანადგომა და მეგობრობა, რასაც, გარკვეული ბოროტი ძალების მონდომებით, წამიერად ხაზი გადაესვა და, დღეს შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ამ მდიდარ წარსულს უიმედოდ დავიწყების საფრთხე ემუქრება.

ეს კი არ უნდა დავუშვათ, რადგან აფხაზეთშიც და საქართველოშიც მოდის ახალი თაობა და თუ მათ არაფერი ეცოდინებათ ჩვენი ხალხების მდიდარი წარსულის თაობაზე, სამუდამოდ გაუუცხოვდებიან ერთმანეთს, რაც მხოლოდ ქართველი და აფხაზი ხალხების მტერთა წისქვილზე დაასხამს წყალს. ამიტომ ვთავაზობთ ქართველ და აფხაზ მკითხველებს აღნიშნულ პუბლიკაციას, რომელშიც არაფერია შელამაზებული.

ქალაქ სოხუმში, ქართველ მწერლებთან შეხვედრის დროს, გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მრავალმხრივი, მნიშვნელოვანი, მართალი და გულწრფელი სიტყვა წარმოთქვა იმჟამად აფხაზეთი მწერალთა კავშირის მდივანმა კონსტანტინე ლომიამ:

"მე განგებამ მარგუნა ვყოფილიყავი მოწმე ბედნიერი შემთხვევისა, როდესაც ორმა სახალხო პოეტმა, ქართული და აფხაზური პოეზიის ორმა ბუმბერაზმა – გიორგი ლეონიძემ და დიმიტრი გულიამ, ერთმანეთს ხელიხელგადახვეულებმა სურათი გადაიღეს. დღეს, როდესაც მე დავცქერი ამ ფოტოს, მინდა იგი შევადარო ყველაზე საუკეთესო ლექსს, რომელშიც შთამბეჭდავად ხორცშესხმულია ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა. ამ ორი დიდი პოეტის თანამშრომლობა და ძმობა ჩვენთვის ყოველთვის იქნება ამაღლებული ხატება, სანიმუშო მაგალითი... ამის დასტურია დიმიტრი გულიას მრავალი პოეტური ქმნილება ქართველ ხალხზე და გიორგი ლეონიძის ბრწყინვალე ლიტერატურული სტრიქონები აფხაზეთზე და მის ულამაზეს ხალხზე..."

როდესაც გიორგი ლეონიძეს თბილისში უხდიდნენ იუბილეს, აფხაზეთიდან ჩავიდა დელეგაცია მწერალთა კავშირის მდივნის, პოეტ ივანე თარბას ხელმძღვანელობით, რომელმაც იუბილარს გადასცა საჩუქარი – აფხაზური ხალხური საკრავი **"აფხიარცა"** – ორი მოძმე ერის საუკუნოვანი მეგობრობის დასტურად. მეორე დღეს იუბილარს აფხაზეთის დელეგაცია სახლში მიუწვევია და უთქვამს: **"თქვენ ისეთი დიდი საჩუქარი მომართვით, რომ მასზე ლექსი უნდა დავწეროო"**. ასე დაბადებულა ქართული ლირიკის შედევრი **"აფხიარცა"** – ორი ერის ძმობის სადიდებელი, და მეორე დღესავე გამოქვეყნებულა გაზეთში:

"სულ მესმოდა შენი თრთოლვა,
შენი მღერა, შენი ხმაცა,
ფანდურის ძმავ, ხმადამტკბარო
აფხაზურო აფხიარცა...
ერთ არწივის ორი ფრთა ხართ,
ერთი დიდი გულისთქმაცა!"

ასეთივე გულწრფელი დამოკიდებულება, დიდი სიყვარული, ჭეშმარიტი მეგობრობა, ურღვევი მეზობლობა და სიახლე აკავშირებდათ აფხაზებთან ქართული სიტყვის დიდოსტატებს მუხრან მაჭავარიანს, იოსებ გრიშაშვილს, ხუტა ბერულავას, რევაზ მარგიანს, შოთა ნიშნიანიძეს და სხვა მრავალთ, რომლებმაც შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი მოძმე ერთა ურყევი კავშირის განმტკიცებას მიუძღვნეს.

ქართველთა და აფხაზთა შორის არსებული ძირძველი მეგობრობის შენარჩუნებაში, შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებაში უდიდესი როლი მიუძღვის აფხაზეთის სახალხო პოეტს, აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელსა და მამამთავარს, დიდ მესიტყვეს და განმანათლებელს, ქართველი მწერლების, პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების დიდ მეგობარს დიმიტრი გულიას.

მას ქართველები და აფხაზები ერთ ხალხად მიაჩნდა, ერთი განუყოფელი ოჯახის შვილებად. აი, რას სწერდა იგი ერთ-ერთ წერილში:

"ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწისზედაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ჩვენ რომ ვთქვათ მომმე ერები ვართო, – ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს, არა მგონია, ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია. აფხაზებსაც ასე მიაჩნდათ – ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის ენით რომ ვთქვათ, "იგი თავისა მტერია".

დიმიტრი გულიამ უთუოდ დიდი პატრიოტული საქმე შეასრულა, როდესაც თავის ენაზე თარგმნა, აამეტყველა ნაწყვეტები რუსთაველის **"ვეფხისტყაოსნიდან"**, აფხაზ მკითხველებს გააცნო ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის, ლეონიძის, შანშიაშვილის და სხვა ქართველ შემოქმედთა ქმნილებები.

1932 წელს თბილისში გამოქვეყნდა დიმიტრი გულიას ლექსების პირველი კრებული, 1937 წელს მას მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და აფხაზეთის სახალხო პოეტის წოდება.

ჩვენს ხალხებს შორის ძმობისა და მეგობრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო სიმბოლო გახლავთ აფხაზეთის მეორე სახალხო პოეტი ბაგრატ შინკუბა.

პოეტმა, სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში, აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელები იყვნენ ცნობილი ქართველი სწავლულები გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია, ქეთევან ლომთათიძე. ბაგრატი თბილისში დაუკავშირდა ქართულ შემოქმედებით სამყაროს, სამეცნიერო წრეებს, გაიცნო და დაუმეგობრდა სახელგანთქმულ მწერლებსა და მეცნიერებს. განსაკუთრებით ახლოს იყო რევაზ მარგიანთან, რომელთანაც ძმადნაფიცობა აკავშირებდა. ეს მეგობრობა და ძმური დამოკიდებულება, რევაზ მარგიანთან და ქართველი მწერლების მთელ პლეადასთან, წარმოშვა და გააღვივა ურთიერთგაგებამ, შემოქმედებითმა თანადგომამ, დიდმა პოეზიამ შემოქმედებით სულისკვეთებათა და რწმენათა ერთიანობამ, მშობლიური ხალხის, მამულის სიყვარულმა და ერისადმი უანგარო სამსახურმა.

ბაგრატ შინკუბა თანაბრად ეხება და ეხმიანება ჩვენს წარსულს, აწმყოსა და მომავალს და ამბობს:

"უასაკოა ლექსი ნამდვილი,
ასაკი მხოლოდ მგოსნის ხვედრია"...

მან თავისი შემოქმედებით ხალხთა გულებში გაიდგა ფესვი და მათი ღრმა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ბაგრატ შინკუბამ თავისი დიდი წვლილი შეიტანა მთარგმნელობით საქმიანობაში. როგორც შემოქმედი ამბობს – **"თარგმანებზე მუშაობამ დიდად შემიწყო ხელი ჩავწვდომოდი მაღალი პოეტის საიდუმლოებებს"**. მან შესანიშნავად თარგმნა რამდენიმე ნაწყვეტი **"ვეფხისტყაოსნიდან"**, ბარათაშვილის **"მერანი"**, **"შემოღამება მთაწმინდაზედ"** და **"ბედი ქართლისა"**, ცნობილი ლექსი **"სულიკო"**, აკაკი წერეთლის **"გაზაფხული"**, ყაზბეგის **"ხევისბერი გოჩა"**, გალაქტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, რევაზ მარგიანის და სხვათა ნაწარმოებები.

პოეტმა-აკადემიკოსმა გრიგოლ აბაშიძემ ასე შეაფასა ბაგრატ შინკუბას შემოქმედება: **"ბაგრატ შინკუბა არა მარტო ღირსეულად ატარებს სახალხო პოეტის სახელს, არამედ ის არის აფხაზეთის ერთ-ერთი უდიდესი საზოგადო მოღვაწე, რომელიც დაუღალავად ზრუნავს – ჩვენს ხალხებს შორის ჭეშმარიტი მეგობრობის განმტკიცებისათვის."**

ბაგრატ შინკუბას დამსახურების ნათელი დადასტურება გახლდათ ისიც, რომ თავის დროზე, აფხაზეთის გალის რაიონის მშრომელებმა მას დიდი ნდობა გამოუცხადეს – საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად იგი ორჯერ აირჩიეს. ასევე მაღალი, გულწრფელი სიყვარულითა და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ მოძმე ხალხთა შორის უდავოდ წარმოჩენილი ერისკაცები: გიორგი გულია, იუნა კოდონია, სამსონ ჭანბა, ივანე პაპასქირი, მიხეილ ლაკერბაი, ლეონიდ კვიწინია, ლ. ლაბახუა და სხვა მრავალი.

ასევე, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა გალის რაიონის მცხოვრებლებს შორის ცნობილი პოეტი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრი ივანე თარბა. იგი ხშირად იყო ხოლმე რაიონის სასურველი სტუმარი, დიდ ყურადღებას აქცევდა რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გამართულ საქმიანობას. ივანე თარბა გახლდათ ჰუმანისტი შემოქმედი, ხალხთა შორის ურღვევი კავშირის მქადაგებელი, მეხოტბე და მომღერალი. იგი წერდა:

"დიდია ზეცა, დიდია მიწა,
და ჩვენ ეჭვებით ნულარ შევღობავთ...
ეს ცა და მიწა, სიცოცხლეს ვფიცავ
სიცოცხლისათვის ყველას გვეყოფა."

ლიტერატურის ისტორიაში ძმობისა და მეგობრობის შესახებ არსებულ აურაცხელ მაგალითთა შორის, დიდი სიამაყის გრძნობით უნდა აღინიშნოს სახელოვანი აფხაზი მწერლის მიხეილ ლაკერბაიას ერთ-ერთი ნოველა **"ნეკი"**, სადაც აღწერილია ჯვარდელ აფხაზ თემურ ამიბასა და წალენჯიხელ ელიზბარ კვარაცხელიას ძმადნაფიცობისა და ურთიერთგაგების გასაოცარი მაგალითი.

ეს პატარა მოცულობის, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობის ნოველა, ქართველთა და აფხაზთა სწორუპოვარი ურთიერთობის ისტორიის ოქროს ფონდში დიდ განძად შემორჩება.

ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის ჰიმნად აღიქმებოდა და საამაყოდაც გვეყოფა, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ტახტის მემკვიდრის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შერვაშიძის მრავალფეროვანი შემოქმედება, რომელსაც ეკუთვნის უდიდესი მნიშვნელობის მქონე სიტყვები:

"ჩვენს სამშობლოს – ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია... ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ: იღბლის უკუღმართობას ხელი რომ არ შეეშალა, ევროპის წინაშეც ვიქნებოდით დღეს... როდესაც მოციქული აქ ქრისტეს მცნებებს გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველნი, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეში".

... და ასე ურთიერთდაძმობილებულ, ერთმანეთთან წარსულით და აწმყოთი მყარად შენივთებულ მოძმე ერების შვილებს, – როგორ უნდა აღემართათ ხმალი ერთმანეთის დასახოცად, ერთმანეთის სისხლის დასაღვრელად, ისიც XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე – საკვირველია, საოცარია, დაუჯერებელია, მაგრამ, ვაგლახ, რომ ფაქტია! აღმაშფოთებელი რეალობის წინაშე აღმოვჩნდით. მისი შემზარავი, შემაძრწუნებელი შედეგებით სინამდვილეს ვერსად ვერ გავექცევით!

მიუხედავად ყველაფრისა ახლა მთავარი და უმთავრესია მივაღწიოთ ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტის შედეგად დანგრეული ურთიერთობის, მეზობლურ-ადამიანური ურთიერთობის აღდგენას, **ჩატეხილი ხიდის"** გამთლიანებას, რაც ყველა სხვა სიძნელის გადალახვის საწინდარია.

კლიმენტი ქობალია,
პროფესიონალი პედაგოგი,
საზოგადო მოღვაწე
ლავრენტი ბერაძე
დიდი სამამულო ომის ვეტერანი

სოხუმის დიდების პარკში აფხაზეთის ომში დაღუპული 5 ქართველის ნეშტი იპოვეს

კიდევ ერთხელ გაისმა ძმათამკვლელი ომის ავბედითი ექო – სოხუმში, დიდების პარკში აფხაზეთის ომში დაღუპული 7 ადამიანის ნეშტი იპოვეს. აფხაზური მედიის ცნობით, ცხედრების იდენტიფიკაცია მოხდა და ცნობილია, რომ მათგან 5 ქართველია. დღემდე ისინი უგზო-უკლოდ დაკარგულად ითვლებოდნენ.

აფხაზური გამოცემა **"აფსნი პრესის"** ინფორმაციით, დე-ფაქტო პრეზიდენტმა ალექსანდრე ანქვაბმა ე.წ. პირველი ვიცე-პრემიერი ინდირა ვარდანია მიიღო, რომელმაც 1992-1993 წლებში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ამოცნობის თაობაზე შექმნილ საკოორდინაციო მექანიზმის ფარგლებში გამართულ რიგით მეოთხე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრა ერევანში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით გაიმართა.

გვამების ამოცნობის თაობაზე, დამატებითი დეტალები ერთ კვირაში გახდება ცნობილი, როცა აფხაზეთს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის სპეციალისტები ეწვევიან.

ამის შემდეგ მხარეებს შორის გაიმართება მოლაპარაკებები დაღუპულთა ნაშთების საქართველოში გადმოსვენების თაობაზე.

აფხაზეთში კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა 9 წლის გოგონას მკვლელობის საქმეზე

აფხაზეთის რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველომ, რომელიც 9 წლის გოგონას მკვლელობის საქმეს იძიებს, ახალი სისხლის საქმე აღძრა ორი მუხლით – სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე და 127-ე მუხლებით – **"გაუპატიურება"** და **"სექსუალური ძალადობა"**.

შეგახსენებთ, რომ მკვლელობა მოხდა მიმდინარე წლის დეკემბერში. 2 დეკემბერს სოხუმის რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა 2004 წელს დაბადებული გოგონას გვამი, რომელსაც ძალადობრივი მკვლელობის კვალი ემჩნეოდა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ გვამს ბავშვის მამამ მიაგნო.

როგორც აფხაზეთის გენერალური პროკურატურის პრესსამსახური იუწყება, ჩატარებული ექსპერტიზების შედეგად დადგენილია, რომ გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე უმწეო ბავშვზე განხორციელებული იქნა სექსუალური ძალადობა, რის შემდეგაც მცირეწლოვანი გოგონა გააუპატიურეს, შემდეგ კი სიცოცხლე მხეცურად მოუსწრაფეს.

"აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება, ხორციელდება საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებები, რათა დროულად დადგინდეს ამ უმძიმესი დანაშაულის ჩამდენის ვინაობა. რუსეთის ერთ-ერთ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში ტარდება დამნაშავის მიერ გოგონას სხეულზე დატოვებული ბიოლდოგიური კვალის მოლეკულარულ-გენეტიკური ექსპერტიზა, რაც დიდად დაგვეხმარება ჩადენილი დანაშაულის გახსნაში", – განაცხადეს გენერალურ პროკურატურაში.

აფხაზეთის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამსახურმა მოუწოდა საზოგადოებას, რომ აქტიურად ითანამშრომლონ სამართალდამცავებთან, რათა დროულად დადგინდეს დამნაშავე პირი.

ვუსამძიმრებთ რა ტრაგიკულად დაღუპული მცირეწლოვანის ოჯახს, იმედს გამოვთქვამთ, რომ აფხაზეთის სამართალდამცავი სტრუქტურები მალე გამოააშკარავებენ ბოროტმოქმედს და სასამართლო მკაცრ სასჯელს მიუზღავს ამ ადამიანის სახედაკარგულ არსებას!

გაზეთი "ილორი"

ამბები სამეგრელოდან

ხობის რაიონში ახალგაზრდა მამაკაცს ეძებენ

ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში 43 წლის მამაკაცს უკვე მერამდენე დღეა, ეძებენ. გაუჩინარებული მამაკაცის ოჯახმა დახმარებისთვის პოლიციას მეორე დღესვე მიმართა, თუმცა ამ დრომდე გელა კირთაძის კვალს ვერც სამართალდამცავებმა მიაგნეს.

"კირთაძე 4 დეკემბერს მეგობრებთან ერთად ქეიფობდა. მათ მოაცილეს სახლამდე და წავიდნენ. მას შემდეგ გელას კვალი იკარგება. მთელი სოფელი ეძებს. ყველას შეატყობინეს, მეგობრებს, ნათესავებს, მაგრამ არსად ჩანს", – აცხადებს ჭალადიდის რწმუნებული შორენა გელენიძე.

გელა კირთაძეს მეუღლე და 2 მცირეწლოვანი შვილი ჰყავს.

რითი სჯობია მეგრული ბრინჯი მეგრულ სიმინდს

"ბრინჯი საქართველოში ძველად კი მოჰყავდათ, მაგრამ არაინდუსტრიული წესით", – ამბობს ბიზნესმენი აგრონომი სოსო ბოკუჩავა, რომელმაც წელს აბაშის რაიონის სოფელ ზანაში ბრინჯის მოსავალი მოიყვანა. ეს კულტურა ადრეულ წლებში აჭარაში, კერძოდ, ხელვაჩაურში წარმატებით მოჰყავდათ. ის სამეგრელოშიც იყო გავრცელებული. XVII-XVIII საუკუნეებში ქართული ბრინჯი ანაკლიიდან თურქებს გაჰქონდათ, იმავე პერიოდში კი ეს კულტურა ირანელებს ალაზნის ველზე მოჰყავდათ. გავრცელებული იყო სხვადასხვა ჯიში. ბრინჯი ქართველი გლეხისთვის ისეთივე კულტურა იყო, როგორიც ლობიო და სიმინდი.

– ბატონო სოსო, რამ გადაგაწყვეტინათ, ბრინჯი მოგეყვანათ მაშინ, როდესაც სამეგრელოში სიმინდი კარგად მოდის და მოთხოვნაც დიდია?

– რამდენიმე ასეული ჰექტარი მიწა გვაქვს, რომელზეც ადრე სიმინდისა და სოიის მოყვანა ვაცადეთ. სიმინდი ტექნოლოგიურად ძნელი მოსაყვანია. იმას არ ვგულისხმობ, რომ დათესავ და 2-3 ტონა მოსავალს აიღებ. ეს რაოდენობა ბიზნესისთვის არამომგებიანია. იმ რაოდენობის სიმინდსა და სოიას ვერ მოვიწევთ, რომ ბაზარზე უკრაინასა და ყაზახეთს კონკურენცია გავუწიოთ. ამიტომ გადავწყვიტეთ, შედარებით მომგებიანი კულტურა შეგვერჩია. თან, ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ჩვენი კლიმატური პირობებისთვის ადვილად გაეძლო და არჩევანი ბრინჯზე შევაჩერეთ. ბრინჯის მთავარი დადებითი თვისება ის არის, რომ მისი მოყვანა კლიმატურ პირობებზე არ არის დამოკიდებული. იმ ადგილას, სადაც წელს ბრინჯი დავთესეთ, მდინარე ტეხურა, აბაშა და რიონი მიედინება და მორწყვა გვალვაშიც შეიძლება. თუმცა ბრინჯის მოსავალი 110 დღის განმავლობაში ისე მოვიყვანეთ, რომ მხოლოდ 12 დღე ვრწყავდით, რადგანაც სულ წვიმდა.

– საქმიანობის დაწყებამდე, ალბათ, რჩევებს მოგცემდათ ვინმე...

– კონსულტაცია თურქი სპეციალისტებისგან მივიღეთ. მსოფლიოში ბრინჯის 15-მდე ჯიში არსებობს. მათგან 5-6 აზიური ჯიშია, რომლებიც ლაოსში, ვიეტნამსა და კამბოჯაში მოჰყავთ, დანარჩენი ევროპულია.

არსებობს მოყვანის სველი და მშრალი მეთოდები. აზიური ჯიშები სველი მეთოდით მოჰყავთ (მუსონური წვიმების შედეგად დაგროვებული წყალი ყანაში დგას, სადაც ნავებით დაცურავენ).

ჩვენ მშრალი, ევროპული მეთოდი ავირჩიეთ, რომელსაც ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი, თურქეთი იყენებენ – მიწა რომ მოიხვნება, შემდეგ წყალს მიუშვებენ. დამბალ მიწას სპეციალური ტექნიკით ამუშავებენ, რათა ნიადაგი ბამბასავით გახდეს. შემდეგ ისევ წყალს უშვებენ, 3-4 სანტიმეტრზე რომ დაიტბოროს. ეს წყალი მზეზე რომ გათბება, შემდეგ ბრინჯს ყრიან, ანუ თესავენ. 15 დღეში ყანა ისეთივე მწვანეა, როგორიც საადგომო ჯეჯილი. მოგვიანებით აბიბინებულ ყანაში ისევ წყალს უშვებენ და მზისგულზე სწრაფად იზრდება. ბრინჯი სიმაღლეში დაახლოებით მეტრსა და 20 სანტიმეტრს აღწევს.

– წელს რა რაოდენობის მოსავალი მიიღეთ?

– 10 ჰექტარზე 75 ტონა მოვიდა. ეს საპილოტე პროგრამა გახლდათ...

– რა ჯიშები დათესეთ?

– დავთესეთ გალა (მოგრძო ბრინჯი), ბალდუ და ოსმან ჩილიკი.

– სათესლე მასალა თურქეთიდან შემოიტანეთ?

– დიახ, მაგრამ ამ ჯიშებიდან მხოლოდ ოსმან ჩილიკი არ მოვიდა. მივიღეთ მხოლოდ ბალდუ და გალა. ახლა უკვე ორი ჯიშის სათესლე მასალა გვაქვს და ვიცით, ჩვენთან უკეთ რა ჯიშები ხარობს.

– ბრინჯი საკუთარი სახსრებით მოიყვანეთ? სახელმწიფო არაფერში დაგხმარებიათ?

– არავისთვის მიგვიმართავს, არ ვიცოდით, რა შედეგი გვექნებოდა. როგორც კი მოსავალი მივიღეთ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქმის კურსში ჩავაყენეთ. ისინი ჩვენი საქმიანობით დაინტერესდნენ, მგონი, მივაღწევთ იმას, რაც ჩავიფიქრეთ.

– გლეხს თავის ნაკვეთში შეუძლია ბრინჯის მოყვანა?

– თუ ინდუსტრიული წესით არ დაიწყო ბრინჯის მოყვანა, გლეხი დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება. საქართველოში, სადაც ერთი მილიონი გლეხია, ლობიოს 90% იმპორტია, უზბეკეთიდან და ჩინეთიდან შემოდის...(?!) ამიტომ გლეხი დამოუკიდებლად ამას ვერ შეძლებს. ახლა სახელმწიფომ კოოპერატივები შემოიღო, რომელთა დახმარებით გლეხებს საშუალებას მივცემთ, ბრინჯის ყანაში იმუშაონ და ეს ტექნოლოგიაც აითვისონ.

– როგორც ვატყობ, ბრინჯს მეტი მოგება ექნება, ვიდრე სიმინდს...

– კი (საქართველო წელიწადში დაახლოებით 12-15 ათას ტონა ბრინჯს მოიხმარს). გარდა ამისა, სიმინდს გათოხნა სჭირდება, მოსავალსაც ხელით იღებენ, ბრინჯს კი კომბაინით იღებენ, ხელით შრომა ნაკლებია.

შეხვედრა საზოგადოება „სენაკელის" აქტივთან

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ბატონ გოჩა დგებუაძის ინიციატივით მოეწყო შეხვედრა საზოგადოება **„სენაკელის"** აქტივისტებთან.

შეხვედრა გახსნა საზოგადოება **„სენაკელის"** თავჯდომარემ რეზო ჯანჯღავამ. წამოჭრილი საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოების გამგეობის წევრებმა: ოთარ კოხიამ, მურმან ბელქანიამ, ანზორ ცაგურიამ, ლევან ხუხუამ, თენგიზ ახალაიამ, ზურაბ ჭანტურიამ, გურამ სიჭინავამ, გული ჭანტურიამ.

საზოგადოების წევრებმა განსაკუთრებული სიმწვავით აღნიშნეს, რომ ქალაქის მცხოვრებთა გარკვეული ნაწილი ხშირად გამოდის საზოგადოების სახელით, ავრცელებს ჭორებს, აუგად იხსენიებს რაიონის ხელმძღვანელობას. **„სენაკელები"** ერთხმად გმობენ ასეთ გამოსვლებს და აცხადებენ, რომ მოსახლეობის ამ ნაწილს არავითარი საერთო არ აქვს საზოგადობასთან, არ ეთანხმებიან და არ იზიარებენ ასეთ გამონათქვამებს. მწვავედ დაისვა საკითხი ქალაქის ქუჩებში ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგების აუცილებლობაზე: პირველ რიგში საჭიროა მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა.

აღინიშნა, რომ წყალდიდობისას დაზარალებულებულთა უმრავლესობამ კომპენსაციის სახით საკმაოდ მაღალი თანხები მიიღო, ასევე დიდი რაოდენობით ასიგნება გამოიყო წვიმების შედეგად დაზიანებული ქალაქის ინფარსტრუქტურის აღსადგენად. ამჟამად ეს სამუშაოები საკმაოდ ხარისხიანად მიმდინარეობს.

ვის მოუწევს მანქანის ავტოფარეხში გამოკეტვა

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშია მიიჩნევს, რომ თბილისელ მძღოლებსა და მანქანის მფლობელებს მეტისმეტად დიდი ჯარიმების გადახდა უწევთ, რაც მეტწილად კომპანია **"სითი პარკის" "დამსახურებაა"**. მისივე თქმით, საკრებულომ ამ საკითხის შესწავლა კარგა ხანია დაიწყო, თუმცა, მერია ცდილობს მათ საჭირო დოკუმენტები არ მიაწოდოს, ეს კი იწვევს ეჭვს, რომ მერიასა და **"სითი პარკს"** შორის საეჭვო გარიგებაა. **"სითი პარკში"** ამბობენ, რომ ჯარიმებისა და პარკირების თანხის ოდენობას თავად ვერ შეამცირებენ, რადგან ეს დედაქალაქის მერიის პროგრამაა. ამავე დროს, კომპანიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ სამუშიას მიერ დასახელებული ციფრები სიმართლეს არ შეესაბამება. გთავაზობთ ინტერვიუს, სადაც ჯაბა სამუშია თავის მოსაზრებებს გაგაცნობთ, საბოლოო დასკვნის გამოტანა კი თქვენთვის მოგვინდია:

– ის პირობები, რომელიც **"სითი პარკმა"** დადო, დღეს შესრულებული არ არის. რატომღაც, პირველადი ხელშეკრულების ის მუხლები, სადაც ვალდებულებებზეა ლაპარაკი, თბილისის მერიას დღემდე გასაიდუმლოებული აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის დანაშაული. ჩვენ კარგად გვახსოვს ქალაქის მერის, ქალაქის მთავრობის წევრებისა და **"სითი პარკის"** წარმომადგენელთა დაპირებები, რომლებიც პრესითა და ტელევიზიით იმ ხანებში შუქდებოდა: ამბობდნენ, რომ კომპანიის მთავარი მიზანი იყო თბილისში პარკირების მოწესრიგება, პარკირებისათვის საჭირო მთელი ინფრასტრუქტურის შექმნა, მიწისქვეშა სადგომების მოწესრიგება, ახალი ადგილების გამოყოფა, უნდა აშენებულიყო სახლები, სადაც პარკირების მრავალსართულიანი ადგილები იქნებოდა, ისევე როგორც ევროპაშია და ა.შ... მოკლედ, ეს უნდა ყოფილიყო ახალი სიტყვა პარკირების თვალსაზრისით. ამის სანაცვლოდ რა მოხდა? – დახაზეს თბილისის ქუჩები და თქვეს – ეს ტერიტორია ჩვენია და ვინც აქ მანქანას დააყენებს, ფული უნდა გადაგვიხადოსო... (!) არანაირი ინვესტიცია ამ სფეროში არ განხორციელებულა, თბილისის დასახაზად კი რამდენიმე ათასი ლარიც საკმარისია. – სამაგიეროდ, ქუჩები შეავიწროვეს და პარკირებისათვის გამოიყენეს, რის გამოც განტვირთვის ნაცვლად დედაქალაქის ქუჩები კიდევ უფრო გადაიტვირთა და ამ მხრივ ქალაქში დამატებითი პრობლემები შეიქმნა.

– ბატონო ჯაბა, ავტომანქანის მფლობელები ჩივიან, რომ თანხას "სითი პარკსაც" უხდიან და ე.წ. სტაიანშჩიკებსაც...

– ეს კიდევ ცალკე თემაა! გაცილებით ნაკლები იქნებოდა აგრესია **"სითი პარკისადმი"**, ეს ადამიანები რომ დაესაქმებინათ, მათთვის ფორმები დაერიგებინათ და ამ სისტემისათვის ადამიანური სახე მიეცათ. დღეს კი რა მივიღეთ? – პარკირებაში ფულს ვიხდით, მაგრამ რეალურად ეს სფერო მოუწესრიგებელია. ნასვამი, გაუპარსავი ადამიანები ქუჩებში დგანან და საჭესთან მყოფი იძულებულია, მათაც ფული უხადოს და კომპანიასაც. სხვათა შორის, ეს ხალხი გიგი უგულავამ თავის დროზე მათხოვრებად გამოაცხადა და ეს საქვეყნოდ აღიარა: თუ გინდათ, მიეცით ამ ხალხს ფული და თუ გინდათ – არაო.... **"სითი პარკის"** შემოსავალი ხომ საერთოდ ბუნდოვანი და გაურკვეველია. ყველამ იცის, რომ არსებობს რამდენიმე ტიპის ჯარიმა: კერძოდ, 70-ლარიანი ჯარიმა, როდესაც მანქანა საჯარიმოზე გადაჰყავთ, ასევე ათლარიანი ჯარიმა არასწორი პარკირებისათვის და 50-ლარიანი შესატანი, რომელსაც მანქანის მფლობელები ყოველწლიურად იხდიან. კონტრაქტის მიხედვით, პარკირებიდან შემოსული თანხის 60% მიდის დედაქალაქის ბიუჯეტში, ხოლო 40% – **"სითი პარკისაა"**. ყველაზე დიდი თანხა, რაც **"სითი პარკის"** მიერ შემოსულა თბილისის ბიუჯეტში, ეს არის მილიონ 800 ათასი, ანუ დაახლოებით ორ მილიონამდე ლარი. თუ ეს 2 მილიონი ლარი არის პარკირების მთელი შემოსავლის 60%, მაშინ გამოდის, რომ მთლიანი შემოსავალი ამ ორგანიზაციას აქვს 3 მილიონამდე, ცოტა უფრო ნაკლებიც. გამოდის, თბილისში მხოლოდ 50 ათასი მანქანა ყოფილა (!), ჩვენი ანგარიშით კი თბილისში, სულ მცირე, 300-400 ათასი მანქანა, თითო ოჯახში ზოგჯერ ორი და სამი მანქანა დგას, რომელსაც **"სითი პარკის"** ნებართვა აქვს აღებული. მე მაქვს ზუსტი ინფორმაცია იმ ადამიანებისაგან, რომლებიც **"სითი პარკში"** მუშაობდნენ: ინსპექტორები, რომლებიც მანქანის არასწორად დაყენებისათვის ხალხს 10-ლარიან ჯარიმას უწერენ, ერთი წლის განმავლობაში მთლიანად 380 ათასამდე ასეთ ჯარიმას აფორმებენ, წლების მანძილზე ეს ერთგვარ გეგმასავით იყო. უბრალო ანგარიშით, 3 მილიონ 800 ათასი ლარი **"სითი პარკში"** მარტო ათლარიანი ჯარიმებით შედის. ჩვენ დავითვალეთ და ერთი წლის განმავლობაში ავტომანაქანების ევაკუაციის შედეგად აღნიშნულ კომპანიაში ორი მილიონი ლარი მაინც უნდა შევიდეს, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც 50-ლარიანი გადასახადია. თბილისში სულ მცირე, 100 ათასი მანქანაც რომ ვიანგარიშოთ, რომელსაც **"სითი პარკის"** ნებართვა აქვს, 5 მილიონი მარტო ამ გადასახადის წყალობით გროვდება. ეს ყველაფერი რომ დავიანგარიშოთ, საერთო თანხა 10 მილიონ ლარს სცილდება. ის ხალხი, ვინც კარგად იცის ეს სფერო, ამტკიცებს, რომ მარტო ჯარიმებიდან მიღებული შემოსავალი 15-დან 20 მილიონამდე ადის. მაგრამ დავანებოთ თავი ამ თანხას, **"სითი პარკს"** 10 მილიონიც რომ ჰქონდეს შემოსავალი, თბილისის ბიუჯეტში ყოველწლიურად 6 მილიონი ლარი მაინც უნდა შეჰქონდეს, თუმცა, როგორც გითხარით, 2 მილიონიც კი არ შემოსულა. ამ ორიოდე წლის წინ კი, დედაქალაქის ბიუჯეტში მათ მიერ მხოლოდ მილიონი ლარი შემოვი და. დანარჩენი სად გაქრა, ვინ ჭამდა და ჭამს ამ ფულს, ეს საერთოდ პროკურატურის შესასწავლი თემაა... ვერაფრით მოვახერხე, რომ მოვიდნენ **"სითი-პარკის"** წარმომადგენლები, დავსხდეთ და დეტალებში განვიხილოთ, რასთან გვაქვს საქმე. უკვე აღარც მახსოვს, რამდენჯერ მივმართე – უთხრან ხალხს სიმართლე – მართლა 50 ათასი მანქანა დადის თბილისში, თუ ცრუობენ?!

მოკლედ, **"სითი პარკი"** რომ თავისი მომხვეჭელობით ცნობილი გიგი უგულავას ერთ-ერთი ფულის საჭრელი მანქანა გახლავთ, ამაში უკვე აღარავის ეპარება ეჭვი!

ახალი საგზაო რეგულაციები

პარლამენტმა დაამტკიცა კანონპროექტი, რომლის თანახმად, ნასვამ მძღოლებს ფულადი ჯარიმა კი არ დაეკისრებათ, არამედ მართვის მოწმობა 6 თვით ჩამოერთმევათ. იგივეს განმეორების შემთხვევაში მძღოლი 700 ლარით დაჯარიმდება და მართვის მოწმობა ერთი წლით ჩამოერთმევა. ხოლო თუ მძღოლი ნასვამ პირს მანქანას სამართავად გადასცემს, პირველ ჯერზე 1000 ლარით, მეორე ჯერზე კი 1500 ლარით დაჯარიმდება. ამასთან, უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთაზე დაწესებული ჯარიმები განახევრდა – 100 ლარის ნაცვლად 50 ლარი იქნება. სამაგიეროდ, ქვეითები საგზაო წესების დარღვევისთვის 3 ლარის ნაცვლად, 10 ლარით დაჯარიმდებიან.

ხ. ჩიგოგიძე

“ზვიად გამსახურდია წამებით მოკლეს!” – როგორ დაიგეგმა პრეზიდენტის ლიკვიდაცია

ოფიციალური ვერსიით, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თავი მოიკლა, თუმცა დღემდე უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს, რომელიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებებს ბუნდოვანსა და გაურკვეველს ხდის. მოწმეთა უმრავლესობა პროკურატურას დღემდე არ დაუკითხავს, გამოძიების მიერ დაკითხული პირები კი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ჩვენებებს იძლევიან... უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე დეტალურად აღწერს, ვინ ჩამოაცილა პირადი დაცვა დევნაში მყოფ ქვეყნის პირველ პრეზიდენტს და როგორ იგეგმებოდა ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაცია.

– საპარლამენტო კომისიის მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოკლულია! 1994 წლის 10 იანვარს პროკურატურის მიერ აღძრული საქმის მიხედვით კი, პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზად მხოლოდ თვითმკვლელობა სახელდება. აღსანიშნავია, რომ პროკურატურა მხოლოდ რობიზონ მარგველანის, შალვა გვანცელაძის, ზაზა ბურჯანაძის, გოჩა კეკენაძის, კარლო ღურწკაიასა და ლუდმილა აბშილავას ჩვენებას ეყრდნობა, არადა არც ერთ მათგანს არ უნახავს, როგორ განხორციელდა თვითმკვლელობა ან ვინ გაისროლა. გამოძიებას, თვითმკვლელობის გარდა, სხვა ვერსია არც განუხილავს, საქმეში ძირითადი მოწმეები კი, რომლებიც დევნის ოპერაციას ხელმძღვანელობენ, დღემდე არავის დაუკითხავს, მათ შორის, არც მთავარი მოწმე ბესარიონ გუგუშვილი.

როსტოვის დასკვნის მიხედვით კი, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ზვიად გამსახურდია წამებით მოკლეს. ამის დასტურია ის, რომ პრეზიდენტის თავის ქალას სარქველები დეფორმირებულია, თავის ქალას ფუძე კი ისეა დაშლილი, რომ მისი აწყობა ვერ მოხერხდა. სხეულზე ცხრა ნეკნი მოტეხილია, ბოქვენისა და მენჯის ძვლები კი დაზიანებული.

– თუმცა ზვიად გამსახურდიას ცხედარი გროზნოში, რამდენიმე წლის განმავლობაში, დასაფლავებული იყო. გრუნტის მასასა და გროზნოში მიმდინარე საომარ მოქმედებებს ცხედრის დაზიანება არ შეეძლო?

– პათანატომებმა აღნიშნეს, რომ გრუნტის მასის ზემოქმედება მოტეხილობებზე გავლენას ვერ მოახდენდა. თანაც პრეზიდენტის ჩასასვენებელი სასახლე გატეხილი არ ყოფილა, მხოლოდ დეფორმირებული იყო.

– რატომ უნდა ეწამებინათ პრეზიდენტი?

– სხვათა შორის, მოგვიანებით, პრეზიდენტის სხეულზე, ნიკაპთან მეორე ნატყვიარიც აღმოაჩინეს, თავის უკანა ნაწილი კი გამონგრეული ჰქონდა. ზვიად გამსახურდიას მასპინძელი ლუდმილა აბშილავაც აცხადებს, როცა გარდაცვლილის თავს ხელით შევეხე, კეფასთან ხელი ჩამივარდაო. ასევე აღმოაჩინა პრეზიდენტის დაცვის წევრმა თორიამ გროზნოში, როცა ცხედარი სამეგრელოდან გადაასვენეს. ნიკაპთან ჭრილობა დაფიქსირებულია პათანატომების მიერაც. მოგეხსენებათ, როცა დევნილი პრეზიდენტი სამეგრელოში გადაადგილდებოდა, სამხედრო საბჭოს ლეგიტიმაციის პრობლემა ჰქონდა – კანონიერი ხელისუფლება დამხობილი იყო და ცოცხალი ზვიად გამსახურდიას ფაქტორი ამ კუთხით პრობლემატური იყო. ჩვენი ვარაუდით, მათ სურდათ, პრეზიდენტს გადადგომის შესახებ სატელევიზიო მიმართვა გაეკეთებინა ან გადადგომის შესახებ განცხადებაზე ხელი მოეწერა, რის შემდეგაც მას მაინც გაუსწორდებოდნენ, როგორც ეს ტაჯიკეთის პრეზიდენტს გაუკეთეს. თანხმობის ვერმიღების შემდეგ პრეზიდენტი სასიკვდილოდ აწამეს და ფიზიკური დაზიანებები მან სწორედ აქედან მიიღო. ზვიად გამსახურდიას მხოლოდ ლიკვიდაცია რომ ყოფილიყო დაგეგმილი, მას ერთი გასროლით მოუღებდნენ ბოლოს და არა წამებით. წამება რომ მართლაც იყო, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ ცხრა ნეკნი მოტეხილი ჰქონდა პრეზიდენტს, თავის ქალა დაზიანებული, ბოქვენისა და მენჯის ძვლებიც დაზიანებული. ამასთან 1994 წლის 17 თებერვალს დაკრძალვის ადგილიდან გვამის ამოღებისა და გარეგანი დათვალიერების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს 21 ადამიანი, აღნიშნულია, რომ პრეზიდენტს სახეზე 6 სხვადასხვა ზომისა და ფორმის დაზიანება აქვს. იმას, რომ პრეზიდენტი მოკლეს, ადასტურებენ საპარლამენტო კომისიის მიერ გამოკითხული იმდროინდელი მაღალჩინოსნები თენგიზ კიტოვანი და იგორ გიორგაძე. ისინი პრეზიდენტის მკვლელობის დამკვეთად ედუარდ შევარდნაძეს ასახელებენ.

– ცნობილია, რომ დევნის დროს, პრეზიდენტს გროზნოში ვერტმფრენით გაყვანა შესთავაზეს. თუკი მისი ლიკვიდაცია იყო დაგეგმილი, მაშინ რას მივაწეროთ ეს შეთავაზება?

– თითქმის ყველა მოწმის ჩვენებაშია აღნიშნული, სამეგრელოს ტერიტორიაზე პრეზიდენტი გრძნობდა რა მდევრის სიახლოვეს, პრაქტიკულად, ყოველი მომდევნო დღის შემდეგ ადგილსამყოფელს იცვლიდაო. დღევანდელი გადასახედიდან ნათელია, რომ მაშინ ხელისუფლება ზვიად გამსახურდიას თითოეულ ნაბიჯს აკონტროლებდა.

პრეზიდენტის ლიკვიდაციის გეგმა, ჯერ კიდევ 16-17 ნოემბერს, სოფელ ჩვინარეშში შედგა, სადაც ბადრი ზარანდია, ზურაბ შონია, ძმები გია და გოჩა სარიები, გოჩა ხარებავა, ბეჟან წურწუმია და სხვა პირები შეიკრიბნენ და ხელის აწევით ზვიად გამსახურდიას ლიკვიდაციის გეგმის განხორციელებაზე თანხმობა დაადასტურეს. გია გულუასა და ბადრი ზარანდიას დაჯგუფებების წევრებმა პრეზიდენტს ქვეყნის დატოვება მოსთხოვეს და სვანეთში ან გროზნოში ვერტმფრენით გადაყვანა შესთავაზეს. არსებული გეგმის თანახმად, ვერტმფრენის აფეთქება იგეგმებოდა და ყველაფერი უბედურ შემთხვევას დაბრალდებოდა, რის გამოც ზვიად გამსახურდიამ მათ წინადადებაზე უარი განაცხადა, ამიტომ დაიგეგმა თვითმკვლელობის ინსცენირება.

– პრეზიდენტის დაცვასთან დაკავშირებით რას იტყვით?

– რაც შეეხება პრეზიდენტის დაცვას, მათი ჩამოშორების პროცესი დიდი ხნით ადრე დაიწყო და დასრულდა ჯიხაშკარში. მოგეხსენებათ, 1993 წლის 22 დეკემბრიდან 28 დეკემბრის ჩათვლით, პრეზიდენტი სოფელ ჯიხაშკარში, ჯონსონ კვარაცხელიას სახლში იმყოფებოდა. როგორც მასპინძელი აცხადებს, ზვიად გამსახურდია მათთან გამოზამთრებას გეგმავდა, რისთვისაც პრეზიდენტმა ჯონსონ კვარაცხელიას საკლავისა და საკვები პროდუქტების შესაძენად გარკვეული თანხა შესთავაზა, თუმცა როგორც ჯონსონ კვარაცხელია საპარლამენტო კომისიის გამოკითხვისას აცხადებს, რამდენიმე დღეში მასთან ანატოლი და ზაურ ჩუხუები მივიდნენ და აცნობეს, რომ გუჯუჯი ებრალიძის განცხადებით, მისი სახლი გაცემული იყო, ამიტომ პრეზიდენტი სხვა სახლში დაუყოვნებლივ უნდა გადაეყვანათ. როგორც აღმოჩნდა, ჩუხუებს ზვიად გამსახურდიას გადასაყვანად სახლიც უკვე შერჩეული ჰქონდათ – პრეზიდენტს ღურწკაიების ოჯახში გადავიყვანთ, კაციშვილი ახლოს არ ცხოვრობს და ეზოში გამოსვლასაც თავისუფლად შეძლებსო. ჩუხუებმა ისიც დასძინეს, ღურწკაიებს მხოლოდ ოთხი პირის მიღება შეუძლიათ, მეტი ადგილი არ აქვთო. არადა, ღურწკაიების სახლი უზარმაზარი იყო და პრეზიდენტის გარემოცვის სრულად დაბინავების შესაძლებლობა არსებობდა, თუმცა მაშინ გადაწყდა, რომ ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახში დაცვის ორი წევრი ზაზა ბურჯანაძე და გოჩა კეკენაძე უნდა დარჩენილიყვნენ. ფაქტია, ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახიდან ღურწკაიების სახლში გადაყვანა პრეზიდენტისთვის პირადი დაცვის ჩამოშორების მიზნით განხორციელდა. მოწმეთა ჩვენების მიხედვით, პრეზიდენტი ჯიხაშკარიდან ძველ ხიბულაში გადაიყვანეს. როცა საპარლამენტო კომისიამ საგამოძიებო ექსპერიმენტი ჩაატარა, აღმოჩნდა, რომ სოფლებს შორის მანძილის გასავლელად 30 წუთი სავსებით საკმარისია, თუმცა პრეზიდენტის გარემოცვას სოფელ ხიბულამდე, დაახლოებით, ხუთი საათი დასჭირდა.

– ვარაუდობთ, რომ პრეზიდენტის გატაცება და წამება სწორედ დროის ამ მონაკვეთში განხორციელდა?

– დიახ, პრეზიდენტი სწორედ ამ დროს დააკავეს და აწამეს. პარალელურად, თანმხლები პირებისგან ბესარიონ გუგუშვილი გააცალკევეს. არსებობს საფუძვლიანი ეჭვიც, რომ იგი უშიშროების სპეცსამსახურის თანამშრომლებმა **“დაამუშავეს”**. კომისიაში არსებული ფაქტებიც ამას მიანიშნებს.

კერძოდ, როდესაც ბესარიონ გუგუშვილი პრეზიდენტის გარდაცვალების შემდგომ სამეგრელოდან გროზნოში ჩავიდა, თავის მეგობარს არჩილ საჯაიას უთხრა, რომ საღამოხანს, პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები მანქანით გადაადგილებისას შეიარაღებულმა რაზმმა პიკეტზე გააჩერა და მანქანიდან ზრდილობიანად გადმოიყვანა. აღნიშნული პირები ქართულ ენაზე არ საუბრობდნენ. მათ გუგუშვილს თვალები აუხვიეს, სხვა მანქანაში გადასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. მიიყვანეს მცირე ზომის ხის სახლში, სადაც დაახლოებით 2 დღე დაჰყო. სახლს შეიარაღებული პირები იცავდნენ და გუგუშვილს სახლის დატოვების საშუალებას არ აძლევდნენ. გუგუშვილის თქმით, 2 დღის შემდეგ იგი მიიყვანეს სულ სხვა სახლში, სადაც პრეზიდენტი და მისი დაცვის წევრები იმყოფებოდნენ. მას პრეზიდენტის ცნობა ძალიან გაუჭირდა. ეს პიროვნება ზვიადს ჰგავდა, მაგრამ დაბეჯითებით უჭირდა იმის მტკიცება, იყო თუ არა, ზვიადი. იგი არ ლაპარაკობდა, საჭმელს არ ჭამდა და სვავდა მხოლოდ წყალს. გუგუშვილის მისვლიდან მეორე დღეს კი თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. გუგუშვილმა საჯაიას უთხრა, რომ მან აჭარის გავლით, სამეგრელოდან გროზნოში ჩასვლა ისე მოახერხა, გზაში არავის გაუჩერებია. ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ჩატარდა სპეცოპერაცია, რომლის დროს დაცვა, პრეზიდენტი და გუგუშვილი განცალკევებულნი იყვნენ. წარმოიდგინეთ, ჯონსონ კვარაცხელიას ოჯახიდან გამოსვლის დროს თითოეული მოწმე განსხვავებულად იხსენებს:

ზაზა ბურჯანაძე აცხადებს, რომ ძველ ხიბულაში გადასვლა 27-28 დეკემბერს, დაახლოებით, 24:00 საათზე მოხდა. გოჩა კეკენაძის მტკიცებით, კვარაცხელიას სახლიდან გასვლის თარიღი 26 დეკემბრის ღამის საათები იყო. ანატოლი ჩუხუა იხსენებს, რომ პრეზიდენტმა ჯონსონ კვარაცხელიას სახლი 27 დეკემბერს, შებინდებისას დატოვა. თავად ჯონსონ კვარაცხელია ყვება, რომ მისი სახლიდან დევნილი ზვიად გამსახურდია და მისი თანმხლები პირები 28 დეკემბრის 18 საათზე გავიდნენ, როცა ჯერ კიდევ ბუნებრივი ნათება იყო და ადამიანების გარჩევა იოლად შეიძლებოდა. შესაბამისად, არსებობს ეჭვი, რომ მოწმეები შეგნებულად ტყუიან და პრეზიდენტის გადაყვანის თარიღის დაზუსტებას თავს არიდებენ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, უამრავი დამატებითი შეუსაბამო და ურთიერთგამომრიცხავი ფაქტი გამოიკვეთება. საინტერესოა ისიც, რომ ჯიხაშკარიდან გამოსვლისას, მანქანაში მყოფ პირთა განლაგება ვერავინ დაასახელა, მათ შორის, ვერავინ გაიხსენა, ვინ იჯდა პრეზიდენტთან. ეს დეტალი კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ამ ადამიანებს სიმართლის გამხელა არ სურთ.

– ერთმანეთს არ ემთხვევა მოწმეთა ჩვენებები პრეზიდენტის ჩაცმულობასთან დაკავშირებითაც...

– დიახ, ჯონსონ კვარაცხელია აცხადებს, რომ პრეზიდენტი მისი სახლიდან შემდეგი ჩაცმულობით გავიდა: ორბორტიანი, ნაცრისფერი პიჯაკი, სამხედრო **“უშანკა”** და პალტო, რომელიც ჩანთაში ედო. ანალოგიურ ჩაცმულობას ზვიად გამსახურდიას წინა მასპინძელი, სოფელ ჯგალის მკვიდრი, ანზორ მებონიას ძმისშვილი გოდერძი მებონიაც აღწერს, კარლო ღურწკაია კი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტი მის სახლში ტანზე ნაბდისმაგვარი სამოსით, თავზე ჩეჩნური ფაფახითა და მაღალძირიანი ფეხსაცმლით მივიდა; რობიზონ მარგველანი აცხადებს, რომ პრეზიდენტს მისი ნაჩუქარი სვანური ქუდი ეხურა. სხვათა შორის, რობიზონ მარგველანმა, ჩვენების მიცემისას, ძველ ხიბულაში მდებარე სახლის მეპატრონეების ვინაობაც ვერ გაიხსენა. კითხვაზე, ვინ გაუწია პრეზიდენტს ბოლო მასპინძლობა ძველ ხიბულაში, რობიზონ მარგველანმა, კარლო ღურწკაიას ნაცვლად, **“ვიღაც ლადო”** დაასახელა. წარმოუდგენელია, მარგველანს არ სცოდნოდა იმ პირთა ვინაობა, ვისთანაც რამდენიმე დღის განმავლობაში ცხოვრობდა.

– და რატომ იცრუა მარგველანმა?

– ვერ ვიტყვი, მან მოკლა ზვიად გამსახურდია თუ პრეზიდენტის მკვლელობას ხელი შეუწყო, რადგან ამით უდანაშაულობის პრეზუმპციას დავარღვევ. ყველაფერი საზოგადოებამ განსაჯოს, მე მხოლოდ ფაქტებს გავახმაურებ. პრეზიდენტის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებითაც მოწმეები საკმაოდ შეუსაბამო ჩვენებებს აძლევენ. მაგალითად, რობიზონ მარგველანი პრეზიდენტის გარდაცვალების თარიღად 1993 წლის 31 დეკემბერს, დაახლოებით, 01:00 საათს ასახელებს. ა. გვანცელაძის განცხადებით კი, პრეზიდენტი 30 დეკემბერს, გვიან ღამით გარდაიცვალა. მასპინძელი კარლო ღურწკაია აცხადებს, რომ ზვიად გამსახურდია 31 დეკემბერს, 01:30 საათზე, გარდაიცვალა, ხოლო მისი მეუღლე იგივე ფაქტს 1993 წლის 30 დეკემბრით ათარიღებს. გოჩა კეკენაძის განცხადებით, 1993 წლის 29 დეკემბერს მათთან უცნობი პიროვნება, ვინმე გულიკო მივიდა, რომელმაც ისინი რამდენიმე წუთში რობიზონ მარგველანს შეახვედრა და პრეზიდენტის თვითმკვლელობა აცნობა. დაკითხვის პროცესში, რამდენიმე წუთში, გოჩა კეკენაძემ განაცხადა, რომ იგივე ფაქტი 1993 წლის 31 დეკემბერს მოხდა. როგორც ვხედავთ, შეუსაბამო ფაქტებს ერთსა და იმავე ჩვენებებშიც ვაწყდებით. დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ წარმოებული გამოკითხვისას, რობიზონ მარგველანმა პრეზიდენტის გარდაცვალების თარიღად, თავდაპირველად, 1993 წლის 31 დეკემბერი დაასახელა, თუმცა როცა ჰკითხეს – 30 დეკემბერს, 19:00 საათზე, რუსეთის საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების დღედ, ამჯერად, 30 დეკემბერი დაასახელა.

– ცნობილია, რომ გარდაცვალების დროს პრეზიდენტის ოთახში ბესარიონ გუგუშვილი იმყოფებოდა და მისი განმარტება პრეზიდენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ძალზე საინტერესოა.

– ბესარიონ გუგუშვილი აცხადებს, რომ გასროლის დროს, მან **“ტაშტის”** დავარდნის ხმა გაიგონა. ნებისმიერი ექსპერტი დაადასტურებს, რომ **“სტეჩკინის”** იარაღის გავარდნისას, გვერდით მყოფი ადამიანი, შესაძლოა, დაყრუვდეს. როგორც მინიმუმ, ბესარიონ გუგუშვილი შოკში უნდა ჩავარდნილიყო, თუმცა, როგორც თავად ამტკიცებს, მან სახლში მყოფ პირებს გასძახა – პრეზიდენტი **“ტაშტში”** აღებინებსო. ოჯახის დიასახლისი ლუდმილა აბშილავა ყვება, რომ, დაახლოებით, ღამის 12 საათზე, საგნის დავარდნის ძლიერი, ყრუ ხმა გაიგონა, შემდეგ კი პრეზიდენტის თანმხლებ პირთა ყვირილი შემოესმა – ვაიმე, დავიღუპეთ, ზვიადმა თავი მოიკლაო. როცა ლუდმილა აბშილავა სახლის ზემო სართულზე ავიდა, პრეზიდენტს ხელები და სახე აკრული ჰქონდა, ტანზე კი შარვალი და პიჯაკი ეცვა, რამაც მისი გაკვირვება გამოიწვია. როგორც ლუდმილა აცხადებს, დაახლოებით, ერთი საათის წინ, როცა ზვიად გამსახურდიას ჩაი მიართვა, პრეზიდენტს სპორტული პიჟამა ეცვა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამყარებს ჩვენს ეჭვს, რომ პრეზიდენტი წამების დროს მოკლეს, ღურწკაიების სახლში კი, ზვიად გამსახურდიას სახით, სხვა პიროვნება მიიყვანეს. რადგან ლუდმილა აბშილავას განცხადებით, სიკვდილამდე მან პრეზიდენტი სპორტულ პიჟამაში ნახა, ხოლო **“თვითმკვლელობის”** შემდეგ იგი უკვე შარვალ-კოსტუმში იყო ჩაცმული... მოწმეები კი აცხადებენ, პრეზიდენტი იმ მომენტში ისე ცუდად იყო, წამოდგომას ვერ ახერხებდა და ლოგინში იწვაო, სამაგიეროდ, ის კი შეძლო, რომ **“თვითმკვლელობამდე”** პიჟამა გაიხადა და შარვალ-კოსტუმი ჩაიცვა?!

(გაგრძელება მე-5 გვერდზე)

“ზვიად გამსახურდია წამებით მოკლეს!” – როგორ დაიგეგმა პრეზიდენტის ლიკვიდაცია

გაგრძელება მე-4 გვერდიდან

ამასთან აღსანიშნავია, რომ კრიმინალისტის განცხადებით, გასროლა უნდა მომხდარიყო არანაკლებ 100-200 მმ მანძილიდან და ზემოთ, რადგან არ შეიმჩნევა ბჯენითა და ახლო მანძილისთვის დამახასიათებელი დაზიანებები, აღნიშნულს ადასტურებს ქ. როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზა. ამ ექსპერტიზის დასკვნაში ნთქვამია ტყვიის მოძრაობის მიმართულება მარჯვნიდან მარცხნივ, რამდენადმე ზემოდან ქვემოთ, რამდენადმე წინიდან უკან, რაზედაც მიუთითებს შემავალი და გამომავალი ხვრელები. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, ავტომატური პისტოლეტის **“სტეჩკინის”**, რომლის წონა დამუხტულ მდგომარეობაში 1420 გრამია, ხელში დაჭერა თვითმკვლელობის მიზნით, ლულით 100-200 მმ მანძილზე და ისე, რომ ტყვიის მიმართულება იყოს მარჯვნიდან მარცხნივ, ზემოდან ქვემოთ, წინიდან უკან, ფიზიკურად შეუძლებელია. ვთქვათ, თვითმკვლელობის მიზნით, ავტომატური პისტოლეტი **“სტეჩკინით”** განხორციელებულიყო საფეთქლის არეში სროლა იმ მიმართულებით, როგორც აღწერილია ქ. როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში, მსროლელი (ამ შემთხვევაში თვითმკვლელი) იძულებული იქნებოდა, მიეტანა იარაღის ლულა თავის ქალასთან, რაც უმეტეს შემთხვევაში, გამოიწვევდა საფეთქლისა და სალისებრი ძვლის განგრევას ცეცხლსასროლი იარაღის ლულიდან გამოტყორცნილი აირების მეშვეობით, რომლის წნევა ლულაში შეადგენს 1200-2000 კგ/სმ^2 და ლულის გარეთ ეცემა გავრცელების მანძილის შესაბამისად. აღნიშნული მოქმედება ასევე გამოიწვევდა დიდი რაოდენობის სისხლისა და სხვადასხვა სხეულის ნაწილაკების გამოდინება-გამოფრქვევას შემავალი და გამომავალი ხვრელებიდან, რაც მოწმეთა ჩვენებებსა და ასევე საგამოძიებო კომისიის მიერ მოპოვებულ მასალებში არ ფიგურირებს. ასევე აღსანიშნავია, რომ დაკარგულია დანაშაულის იარაღი, გასროლილი ტყვიის გული, მასრა, განადგურებულია ყველა ის მტკიცებულება შემთხვევის ადგილიდან, რომელიც საქმეზე ობიექტურ ჭეშმარიტებას დაადგენდა. ასევე აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმეში, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებლის ო. ჯაფარიძის №18.05.2001 წერილში ვკითხულობთ: რობიზონ (რობერტ) მარგველანის თქმით, ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა **“სტეჩკინის”** კონსტრუქციის მაყუჩიანი პისტოლეტით, რომელიც ამოღებული და გამოკვლეული არ ყოფილა.

განსაკუთრებულ საქმეთა უფროსმა გამომძიებელმა ო. ჯაფარიძემ, წერილობით აცნობა რა ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო საზოგადოებას, მიუთითა წყარო, საიდანაც ჰქონდა მას ეს ინფორმაცია, თუმცა მარგველანის ჩვენებების შესწავლამ ეს არ დაადასტურა. როგორც ჩანს, გამქრალია მაყუჩის არსებობის შესახებ პირველწყარო. ძნელი სავარაუდოა, რომ განსაკუთრებულ საქმეთა უფროს გამომძიებელ ო. ჯაფარიძეს, უბრალოდ, შეშლოდა და სიტყვა **“მაყუჩი”** გამოეყენებინა ისე, რომ ამის არსებობის შესახებ იფნორმაცია არ ჰქონოდა რომელიმე წყაროდან – მოწმის ჩვენებიდან და სხვა. თვითონ მაყუჩის არსებობის ფაქტი უკვე გამორიცხავს თვითმკვლელობის ვერსიას, რადგან მაყუჩი იარაღს კიდევ უფრო აგრძელებს და სრულიად გამორიცხავს თვითმკვლელის მიერ მისი ხელში დაჭერისა და სროლის განხორციელების შესაძლებლობას იმ კუთხით, რომელზედაც მოწმეები და ქალაქ როსტოვში ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა მიუთითებს. სხვათა შორის, მაყუჩის არსებობაზე გარკვეულწილად მიუთითებს თვითონ რობიზონ მარგველანისა და კარლო ღურწკაიას მეუღლის, ლუდმილა აბშილავას განცხადებები, რომ მათ შემოესმათ სროლის ყრუ ხმა, რაც სწორედ მაყუჩიანი იარაღიდან განხორციელებულ გასროლაზე მიუთითებს.

– მტკიცებულებები პრეზიდენტის თანმხლებმა პირებმა გაანადგურეს?

– იარაღის გარდა, დანაშაულის ყველა კვალი განადგურებულია. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საგნების ის მონაკვეთები, სადაც ძნელია სისხლის კვალის განადგურება – იატაკის ღარები პლინთუსების ქვეშ, ტანსაცმლის ნაკერები, ღილები და ჯიბის სარჩული. სისხლის გუბის მკვეთრი საზღვრები მიუთითებს გვამის პირველადი მდგომარეობის შეუცვლელობაზე. მოწმეები კი ერთმანეთისგან განსხვავებულ მდგომარეობაში აღწერენ მიცვალებულს, რაც არანაირად დამაჯერებელი არ არის.

1. თვითმხილველები პრეზიდენტის გვამს აღწერენ სხვადასხვაგვარად. მისი მდგომარეობით დაწყებული ჩაცმულობით დამთავრებული. რობინზონ მარგველანი და შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძე უთითებენ, რომ პრეზიდენტს იარაღიანი ხელი მუცელზე ჰქონდა დადებული, ხოლო კარლო ღურწკაია აღნიშნავს, რომ პრეზიდენტს მარჯვენა ხელი გაშლილ მდგომარეობაში საწოლიდან გადმოვარდნილი ჰქონდა.

2. შემთხვევის ადგილზე სისხლის არარსებობა სხეულის დაზიანებისას, რომელიც სისხლდენას იწვევს მიუთითებს იმაზე, რომ გვამი გადატანილია დანაშაულის ადგილიდან, რასაც საპარლამენტო კომისიის გამოკითხვაში აღნიშნავს ნუკრი ღურწკაია. მისი თქმით, პრეზიდენტის სხეულზე სისხლის კვალი მისთვის შეუმჩნეველი დარჩა.

3. გვამის ტანსაცმელზე ახალი და გამშრალი სისხლის ნაღვენთები წარმოიქმნება გვამის გადატრიალებისას. სხეულის თრევისას ტანსაცმელზე ზოლად წარმოიქმნება ლაქა წანაცხების სახით. რომეო კუჭუხიძის ჩვენებით, პრეზიდენტს გარდაცვალების დროს რომელი ტანსაცმელიც ეცვა, ნახა გარეცხილი, ქალაქ ბათუმში შალვა (ბაჩუკი) გვანცელაძესთან. აღნიშნული მოქმედებით განადგურდა სისხლის კვალი.

4. სხეულის დაზიანების მომენტში დაზარალებულის ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნაზე შეიძლება მიუთითებდეს ტანსაცმელზე ვერტიკალური ჩამონაღვენთებისა და ფეხსაცმლეზე წვეთისებური ლაქების არსებობა. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტს ფეხსაცმელი არ ეცვა, თუ ვერ ჩააცვეს (იხ. 1994 წლის 17 თებერვლის დათვალიერების ოქმი).

5. სისხლის გუბის არსებობა მიანიშნებს დიდ სისხლდენაზე. იგი წარმოიშობა მსხვილი სისხლძარღვების დაზიანების, ან შედარებით წვრილი სისხლძარღვებიდან ხანგრძლივი სისხლდენით. სისხლის გუბის ფორმა და ზომა დამოკიდებულია არა მარტო დაღვრილი სისხლის რაოდენობაზე, არამედ იმ საგნის თვისებაზე, რაზედაც იგი მოხვდა. ერთ-ერთი თვითმხილველი ზაზა ბურჯანაძე, რომელიც შემთხვევის ადგილზე მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე საათში მიიყვანეს, პროკურატურისადმი მიცემულ ჩვენებაში განმარტავს, რომ პრეზიდენტის საწოლთან იდგა **“ტაშტი”**, რომელზედაც წვეთავდა გარდაცვლილი პრეზიდენტის თავის არედან მომდინარე სისხლი.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯონსონ კვარაცხელიას პროკურატურისთვის 1999 წლის 12 თებერვალს მიცემული ჩვენებით, ასევე რობიზონ მარგველანის 1997 წლის 22-27 თებერვალს მიცემული ჩვენებით, გარდაცვლილი პრეზიდენტის ორივე ლეიბი, ხიბულადან ჯიხაშკარში გადასვენების შემდეგ, დიზელის საწვავის დასხმით დაიწვა და განადგურდა ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში. მოწმეთა არც ერთ ჩვენებაში მითითებული არ არის, თუ სად გაქრა პრეზიდენტის საბანი, ხოლო რაც შეეხება პრეზიდენტის ბალიშს, იგი ვითომ რელიქვიის სახით, ინახებოდა ძველ ხიბულაში, ღურწკაიას ოჯახში. ოჯახის დიასახლისის ლუდმილა აბშილავა-ღურწკაიას 1999 წლის 5 თებერვალს პროკურატურისთვის მიცემული ჩვენებით, წლების განმავლობაში მან პრეზიდენტის ბალიში დაშალა, გარეცხა და შეუცვალა პირი. ამის შემდეგ აღნიშნული განახლებული ბალიში 2004 წლის საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ამოიღო და საქმეში ინახება, როგორც ნივთმტკიცება.

რაც შეეხება პრეზიდენტის ტანსაცმელს, პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრის ბადრი გოგელაშვილის ინფორმაციით, მან ის მიიღო პრეზიდენტის დაცვის უფროსის რობიზონ მარგველანისგან, რომელმაც გოგელაშვილს განუცხადა, რომ პრეზიდენტის ტანსაცმელი ჩაუტანა ქალაქ ბათუმში ქალბატონ ლამარა კერვალიშვილს. იყო თუ არა აღნიშნულ ტანსაცმელზე სისხლის ლაქები, მისთვის უცნობია. შემდეგ მან შეიტყო ისევ რობიზონ მარგველანისგან, რომ ეს ტანსაცმელი მან ჩაიტანა უკვე თბილისში, პრეზიდენტის ოჯახისთვის გადასაცემად. შემდეგ მარგველანის თხოვნით, ბადრი გოგელაშვილმა პირადად დაურეკა პრეზიდენტის ვაჟს, ცოტნე გამსახურდიას და მოახსენა, რომ მისთვის რობიზონ მარგველანს სურდა პრეზიდენტის ტანსაცმლის გადაცემა, რაზედაც მან თანხმობა განაცხადა, მაგრამ ცოტნე გამსახურდია მოულოდნელად რუსეთში გაემგზავრა და მისთვის ტანსაცმლის გადაცემა ვერ მოხერხდა, ხოლო რა ბედი ეწია შემდგომში ტანსაცმელს, ბადრი გოგელაშვილისთვის უცნობია. 2011 წლის 17 იანვარს, ლამარა კერვალიშვილის საპარლამენტო გამოკითხვისას, პრეზიდენტის კუთვნილი ტანსაცმლიდან მისი ყურადღება მიიქცია მოყავისფრო ზოლებიანმა ნაქსოვმა ჯემპრმა, რომელზედაც აღინიშნებოდა დიდი ზომის სისხლის ლაქა კისრის არეში და მცირე ზომის სისხლის ლაქა მარცხენა სახელოზე. ასევე ნაცრისფერ შარვალზე, უკან, სათავესთან აღინიშნებოდა მცირე ზომის სისხლის ლაქა. რობიზონ მარგველანი საპარლამენტო გამოკითხვაში ახსენებს ჯემპრს, რომელიც პრეზიდენტს გარდაცვალების მომენტში ეცვა. თუკი დავუშვებთ, რომ ეს, მართლაც, ასე იყო, გაუგებარია, ორი სისხლმდენი ჭრილობა, შემავალი და გამომავალი, როგორ შეიძლება მეტი მოცულობის სისხლის კვალს არ ტოვებდეს პრეზიდენტის სამოსზე, ვიდრე ზემოაღნიშნულ გამოკითხვაშია მითითებული. ლამარა კერვალიშვილის შეკითხვაზე, სად წავიდა ის ტანსაცმელი, რომელშიც, მთავარი მოწმეების თქმით, პრეზიდენტმა თავი მოიკლა, მარგველანმა განაცხადა, რომ ეს ტანსაცმელი მათ პრეზიდენტს სასვენებელში ჩაატანეს. აღნიშნულ ჯემპრსა და შარვალზე რობიზონ მარგველანს ლამარა კერვალიშვილთან საუბრისას არაფერი უთქვამს.

– რატომ არ დაინიშნა ექსპერტიზა გროზნოში, იქ ხომ არ იყო შევარდნაძის ხელისუფლება, რომელსაც პირველი პრეზიდენტის ოჯახი არ ენდობოდა?

– სანამ პრეზიდენტის ცხედარს გროზნოში გადაასვენებდნენ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ შევარდნაძე ჯოჰარ დუდაევს შეხვდა. ბუნებრივია, ჩეჩნები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ და სახელმწიფოს ზვიად გამსახურდიას ვერ გადააყოლებდნენ. ზვიადი ცოცხალი აღარ იყო და ისინი უკვე იძულებულნი იყვნენ, ახალი რეალობისთვის გაესწორებინათ თვალი... შესაძლებელია, მანანა არჩვაძე აღარ ენდობოდა დუდაევს, რომელსაც შევარდნაძესთან ურთიერთობის დალაგების სურვილი გაუჩნდა. მართალია, დუდაევი ზვიად გამსახურდიას მხარს უჭერდა, თუმცა მისი დამარცხების შემდეგ უნდა შეგუებოდა აზრს, რომ შევარდნაძესთან თანამშრომლობა მოუწევდა, ამდენად მანანა არჩვაძე, ალბათ, არ ენდობოდა იქაურ ექსპერტიზასაც.

– კონსტანტინე გამსახურდიას განცხადებით, წინა ხელისუფლების პირობებში, კომისიის მასალები პროკურატურას გადაუგზავნა, თუმცა გამოძიების განახლების სურვილი მაშინ არავის გამოუთქვამს. დღეს თუ გაქვთ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების რეალური მიზეზის დასადგენად გამოძიების დაწყების მოლოდინი?

– კომისიის დასკვნას პროკურატურის მხრიდან დღემდე არავითარი რეაგირება არ მოყოლია. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებათა ნაწილი განადგურებულია, საქმის გახსნა მაინც შესაძლებელია. თანაც ჩვენ რიგითი ადამიანის კი არა, პრეზიდენტის გარდაცვალების გამოძიებაზე ვსაუბრობთ. კომისიას მოწმეების საზღვარგარეთიდან ჩამოყვანის უფლება არ აქვს, თუმცა პროკურატურას შეუძლია ამის გაკეთება... არსებობს ეჭვი, ვინ არის ზვიად გამსახურდიას მკვლელობის დამკვეთი, პრეზიდენტს სხვა ქვეყნის სპეცსამსახურებიც დასდევდნენ მოსაკლავად, მაგრამ ვფიქრობ, ყველაფერი ქვეყნის შიგნით დაიგეგმა. გია გულუა ხმამაღლა აცხადებდა – ზვიად გამსახურდია **“ზვიადისტების”** ხელით უნდა მოკვდესო, თუმცა დარწმუნებული ვარ, მხოლოდ რიგითი მაღალჩინოსნები ამ საქმეს ვერ განახოციელებდნენ. გამოძიებამ მთავარი დამკვეთის ვინაობა უნდა დაადგინოს, რაც არც ისე რთულია.

რუსუდან შელია,
გაზ. “ვერსია”

ჰოეზიის კუთხე

ირგვლივ ყველგან ბურუსია...

ირგვლივ ყველგან ბურუსია
და წყვდიადი ბნელი,
უცხო თესლის ხითხითია
სიბილწეა ერის!
ავი სულის ხითხითია –
ეშმას პირმშო ძეობს,
მრუშობა და გარყვნილება –
უზნეობა ზეობს.
“თავისუფალ კალატოზთა”
მოდის მთელი წყება,
ანტიქრისტეს ძალისხმევით
ერი ძარღვში წყდება.
მივაშუროთ დიდმოწამეთ
მადლი ვიცხოთ ბოდბის,
უფალს ვთხოვოთ შეწყალება
მიტევება ცოდვის.
*** * ***
დუშმანს დავუთმეთ ბურთი და ლელო,
ძმას ყელში ვეცით, არ დავახანეთ,
“რეპზე” გავცვალეთ “ნანა” და “რერო”,
მორდუს ვატირებთ და მტრებს ვახარებთ.
სისხლზე დაგეშილ ქოფაკებს ვგავართ,
ტორეადორზე მიშვებულ ხარებს,
ცოდვის მორევში ყელამდე ვდგავართ,
კულისებს მიღმა ეშმა ხარხარებს.
ჩვენს ცდომილ სულებს უფალს ვავედრებ,
დედა ღვთისმშობლის კალთა გვფარავდეს,
დე, შეგეწიოს წმინდა გიორგი,
აწ და ყოველთვის, მუდამ, მარადღეე.

დემურ ანთია

გური ფართას ქუდოიტე

გური ფართას ქუდოიტე,
მუკონჯამილ კარიცალო.
ნარტი დღასგ ვაფსქირაფუ,
მიხვარჩალუ წყარიცალო.
გებდირთი დო ნარღეფც ვეჩი
შური ხოლო აკვოკუმე.
გინძე ფერდის ქათვოდირთი,
დუდი სკანო ქაწიბჯუმე.
ცას მუკობუდ შურიშ ბანდი,
ვოხუტოლუდი მა სკან კართეს,
მირულედეს დღალეფ თავრე
დო მუნაფეფც მიორჩანდეს.
იმენდი დღას ვაფსქირაფუ,
მიხვარჩალუ წყარიცალო.
გური ფართას ქუდოიტე,
ღორონთიში კარიცალო!

ივარვალგ ჩხორია

ივარვალგ ჩხორია, ცაში კუნთხუშე იეფი,
ზუღას გარსიოლუნა ჩე-ჩე მათირიეფი.
ლაბახონა გელაფე, ეკმურცია მესეფი.
არძა, მერეს ქეკიპტე ქვითორ ჩხომქგ ლერსეფი,
ჭვემას ქიმიცონანა, ცასგთ გეგნოფონუნა,
წყარიშ დიდაშ ზოჯუათ ათე დიხას ბონუნა.
ივარვალგ ჩხორია ცაში კუნთხუშე იეფი,
ზუღას გარსიოლუნა ჩე-ჩე მათირიეფი.

ზაალ ჯალაღონია

ჯალაღონია-ჯალაღანიების გვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს **კათალიკოს პატრიარქი ილია II** დალოცავს **ჯალაღონია-ჯალაღანიებს** გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც **“ლიბერთი ბანკში”** გახსნილია ანგარიში. **მფო 220101480 ანგ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალაღანიას სახელზე).** მნიშვნელოვანია, ყველა ჯალაღონია-ჯალაღანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: **599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალაღანია).**

პოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-250

მაგრამ, როგორც აღინიშნა, რ. კლიმიაშვილის **„სასარგებლოდ“** მკითხველს სხვა ფაქტს შევახსენებ: ზ. გამსახურდიას მოღვაწეობის პერიოდში (ბოლო წლებში) ევროპაში მცხოვრები რ.კლიმიაშვილი (მაშინ ცოცხალი გახლდათ – **"ილორი"**), მისი მეგობარი, მეგრული გვარის მქონე ქართველი პროფესორი (ამჟამად თბილისში მოღვაწეობს) და მათი ახლობელი, ავტომანქანის მძღოლი, შორიდან, ყოველმხრივ ებრძოდნენ ზ. გამსახურდიას, საქართველოს დამოუკიდებლობას. მკითხველს უთუოდ ახსოვს მაშინ ქართულ პრესაში ქვეყნდებოდა მათი მაკოპრომენტირებელი წერილები, რ. კლიმიაშვილს ყველაზე უკეთესად ეცოდინება, ეს მართალია თუ არა (სხვა მასალები ჩვენ არ გაგვაჩნია). ის კი ცხადია, რომ რ. კლიმიაშვილის ინტერვიუები თითქმის ყოველდღე ქვეყნდება ქართულ პრესაში. თვითონ წარმოჩინდება როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის თავდადებული პიროვნება, არ ერიდება ამხილოს ხელისუფალთა მიერ დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი (ამაში ცუდი არაფერია. ჩანს, ზ. გამსახურდიას სიძულვილის გამო რ. კლიმიაშვილს (როგორც ამბობენ, თუ ეს მართალია) დღემდე **„სძულს“** სამეგრელოც. რ. კლიმიაშვილი უთუოდ ნიჭიერი პოლიტოლოგი და ქვეყნის მოჭირნახულე პიროვნებაა. ამ საკითხზე აქ მეტს არ ვლაპარაკობთ.

როგორც მასალებიდან ირკვევა, 1918 წლის ნოემბერს თუ დეკემბერს, ქ. ფოთში დაარსებულა პატარა ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდა მხცოვანი პედაგოგი სტეფანე გაგუა (სტეფანე გაგუა მუშაობდა ზუგდიდში, მერე ფოთში ქალთა გიმნაზიის საბჭოს თავმჯდომარედ და პედაგოგად, 1925 წელს არჩეული იყო მასწავლებელთა I საკავშირო ყრილობის დელეგატად, წერდა ლექსებს, მოთხრობებს, აგროვებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. გარდაიცვალა 1926 წელს.), როგორც თაოსანი. ჯგუფს მიზნად დაუსახავს სამეგრელოს ისტორიის, არქეოლოგიის, ზნე-ჩვეულებების შესწავლა და საგანმანათლებლო საქმის მოწყობა. 1919 წლის 17 აპრილს ქ. ახალსენაკში შექმნილა მეორე ჯგუფი, დაახლოებით იმავე მიზნით. ჯგუფი ძირითადად ახალგაზრდობისაგან შედგებოდა, უმეტესად სტუდენტებისაგან, რომელსაც მეთაურობდნენ მიხეილ კანკავა (მიხეილ კანკავა, 1924 წელს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში ეწეოდა არალეგალურ მუშაობას, ბრალად ედებოდა 1925-1926 წლებში მოწოდების გაგზავნა: **„ყველა ქართველ მოღვაწეს“.** ბრალდება დადასტურდა ავტორის ხელნაწერისა და სხვა პატიმართა ჩვენებით. მოწოდება გაეგზავნა ფ. გოგიჩაიშვილს, გ. ნიკოლაძეს, ტ. ტაბიძეს, კ. გამსახურდიას, პ. ინგოროყვას, ს. დადიანს, გ. ქიქოძეს, კ. ჭანტურიას (კაპანელს), ირ. ტატიშვილს, ბ. ჟღენტს, შ. ნუცუბიძეს, გრ. რცხილაძეს, მიხ.ჯავახიშვილს, ს. დანელიას და გრ. რობაქიძეს და აგრეთვე ყაზბეგის სკოლის გამგე სევ. ცინგიძეს (იხ. გიორგი ციციშვილის **„მაფალუ“,** გვ. 50.) და მის ძმას ალექსანდრეს. საქმის დამწყებთ ჯგუფისათვის უწოდებიათ **„მაფალუ“,** რაც ქართულად ნიშნავს გაფურჩქვნას, აყვავებას. **„მაფალუ“** – საწყისია, რომელიც მოწოდებულია გაფურჩქვნა-აყვავებისათვის, რომელი სახელიც მეგრელმა ეროვნულ-დემოკრატ პატრიოტებმა ს. გაგუამ, მ. კაკავამ და სხვებმა უწოდეს. 1918-1919 წელს შექმნილ ამ ჯგუფს, როგორც ითქვა, ხელმძღვანელებმა მიზნად დაუსახეს სამეგრელოს კულტურული დაწინაურება. მათ მიზანდასახულობაში მოწინააღმდეგე სამთავრობო და ოპოზიციური პარტიის დამფრთხალმა წარმომადგენლებმა **„აღმოაჩინეს“** სამეგრელოს ავტონომიის მისწრაფების მცდელობა და პარტიის დაარსების სურვილი და გაშლის შესაძლებლობა – წერს გ. ციციშვილი.

ჯგუფის წევრები აცხადებდნენ, რომ ჯგუფს პოლიტიკური ხასიათი არ ექნებოდა. ჯგუფის წევრთა უმრავლესობა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებად თვლიდნენ თავს. ჯგუფს ყველანაირად ებრძოდნენ, განსაკუთრებით ზუგდიდელი სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრები. მიხეილ კანკავა, ფაქტობრივად ჯგუფის ხელმძღვანელის ამხანაგი (მოადგილე) და სხვა ხელმძღვანელები, ჯგუფს უწოდებდნენ. (სახელი ერქვა) **„სამეგრელოს კულტურის მოყვარე ჯგუფი „მაფალუუ“.**

პროფ. გ. ციციშვილი, შემდეგ წერს: **„მეგრული ხასიათის“** სამართლიანად მოგვარებისათვის მებრძოლი ზუგდიდის სამაზრკომი და მისი მდივანი ისაკი ჟვანია, შერაცხეს ე.წ. **„მაფალუელების“** მფარველად (ანუ ავტონომისტ-სეპარატისტების) და დევნა გააჩაღეს არა მარტო საჩოთიროდ მოაზროვნე პიროვნებების, არამედ აგრეთვე ეროვნულის შემავსებელი მეგრული პატრიოტიზმის წარმომადგენელთა მიმართ. ზოგი მათგანი დაარბიეს, ზოგი კი – მსხვერპლად შესწირეს 1937 წლის დიდი ტერორის პოლიტიკას.

ყალბად შეთითხნილი **„ადგილობრივი მეგრული ნაციონალიზმი“** და ე.წ. **„მაფალუიზმი“** პოლიტიკანებისათვის იმდენად ხელსაყრელი საფრთხობელა გამოდგა, რომ მას ყოველთვის უნარჩუნებდნენ ინერციის ძალას და სახმარ ღირებულებას. საქართველოს სატკივარის გამო მეგრელების ამოკვნესას ზოგი პოლიტიკანი ახლაც აცხადებს **„პროვოციულ ფაშიზმად“,„მეგრული ნაციონალიზმისა“** და **„მაფალუიზმის“** გამოვლინებად. ისინი ამით აღვივებენ შიდაეროვნულ უნდობლობას, იხანგრძლივებენ ყალბ ავტორიტეტსა და თანამდებობრივ მდგომარეობას. რომ **„მაფალუს“** და **„მეგრული საკითხის“** ისტორია თავიდან ბოლომდე მიზნობრივად ჯერ კიდევ საბჭოთა 20-იან-30-იან წლებში გაყალბდა. ამ გაყალბებულად წარმოჩენილ ისტორიას ახლაც ეყრდნობიან და იყენებენ სამეგრელოს წინააღმდეგ. გ. ციციშვილს აქვე მოჰყავს ერთი ავტორის ნათქვამი: **„ის ფაქტი, რომ ამ კუთხეზე ტკივილით საუბარიც კი ხშირად არაადეკვატურად აღიქმება, განსაკუთრებულ დაფიქრებას მოითხოვს ისიც, რომ სამეგრელოზე საუბრისას ბევრ ჭეშმარიტ პატრიოტ მოსაუბრეს აქვს კომპლექსი არიქა, ვინმემ სეპარატისტის იარლიყი არ მომაკეროსო.“** (გაზ. **„ასავალ-დასავალი“,** 2001, 21-27 მაისი.) (ხაზგასმა ჩემია – კ.შ.) ასეთი და მსგავსი სიყალბით, წერს გ. ციციშვილი, იწამლებოდა სამეგრელოს პრობლემებით **„განათლებული“,** ჩვენი ზოგი გაუცნობიერებელი მოქალაქე, მაგრამ ეს სამწუხარო რწმენა საფუძვლიანად ჯერაც არავის დაუძლევია. **„მეგრული ნაციონალიზმის“** პოლიტიკურმა უტილიზაციამ შემდგომშიც არაერთხელ (50-იანი წლების დასაწყისში, 80-იანი წლების მეორე ნახევარში და 90-იანი წლების შუა ხანებში) წარმოაჩინა მისთვის მინიჭებული სახმარი ღირებულების გამოყენების შესაძლებლობა. ჩემი აზრით, წერს გ. ციციშვილი, **„მეგრულ საკითხს“ დღესაც, საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაშიც, არ დაუკარგავს ანტიეროვნულად, პოლიტიკურად გამოყენების პოტენციური მნიშვნელობა“** (გიორგი ციციშვილი, მაფალუ, გვ. 64,72.) (მაგალითად, როცა დასჭირდებათ, მოითხოვენ **„პროვინციული ფაშიზმის“** განადგურებას და სხვ.).

კიდევ ერთი მაგალითი გამოჩენილი მეცნიერი, დიდი ქართველი პატრიოტი მიხაკო წერეთელი, 1933 წელს, ემიგრანტულ გაზეთ **„თეთრ გიორგი“**-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, **„ფედერაციული საქართველო“** აღნიშნავს: **„მაფალუს“ მოძრაობამ სამეგრელოში დიდი აღელვება გამოიწვია ქართველთა შორის – ყველაზე უფრო დიდი თვით სამეგრელოს ქართველ პატრიოტთა შორის. ცოტნე დადიანის ერთგულებმა ითაკილეს ასეთი რამ, ღალატად ჩათვალეს ეს მოვლენა საქართველოს სამშობლოსადმი, რომლის წინაშე საუკუნეთა ღვაწლი და თავგანწირულება მიუძღვით მათ წინაპართ. მაგრამ ჩვენის ფიქრით, „მაფალუ“ არც ღალატია საქართველოსი, არც საფრთხე მდინარობისათვის. იგი ბუნებრივი მოძრაობაა იმ დროისა, როდესაც ყოველი ეროვნული ინდივიდუალობა და თავისებურებაც თვით ერის ნაწილთა განმტკიცებად მიისწრაფვის. ასეთ მოძრაობათა დასაწყისს ყოველთვის თან სდევს გადაჭარბება, მტრის ძებნა იქ, სადაც იგი არ არსებობს...“ (მიხაკო წერეთელი, გაზ. „თეთრი გიორგი“,** 1933, პარიზი, №32, გვ. 2-3; 1910 წელს გამოვიდა მიხაკო წერეთლის წერილის ცნობილი წიგნი **„ერი და კაცობრიობა“** (სოციოლოგიური ანალიზი).

თავის წიგნის VI თავში („ბოლოთქმა“) გ. ციციშვილი წერს: სათანადო ისტორიული წყაროების მყარ საფუძველზე ცხადი ხდება, რომ იმდროინდელ საქართველოში ყველა სხვა პოლიტიკური პარტიათა შორის ყველაზე თანმიმდევრული პატრიოტული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრების, მასწავლებელ სტეფანე გაგუას და სტუდენტ მიხეილ კანკავას ინიციატივით, მათ მიერ 1918-1919 წლებში ფოთსა და სენაკში დაარსებული „მაფალუუ“ ჯგუფი მიზნად ისახავდა ცარიზმის კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებული საქართველოს მშობლიური კუთხის, სამეგრელოს კულტურულ დაწინაურებას. ამ მიზნით ისინი ცდილობდნენ საერთო ეროვნული, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მეგრული გამოვლინების, საუკუნეების მანძილზე დაგროვილი უძვირფასესი ფოლკლორული მასალებისა და არქეოლოგიის ნიმუშთა გამოვლენას, შეკრებას და საერთო ეროვნულ საუნჯედ წარმოჩენას. ამასთანავე **„მაფალუს“** ჯგუფის შექმნის ინიციატორმა სტეფანე გაგუამ, დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოში განახორციელა სამეგრელოს პირველდაწყებით ქართულ სკოლებში, ქართული სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის უცოდინარი ბავშვებისათვის მათი დედა-ენის მეგრულის გამოყენებით სწავლება. მას ამასთანავე მიაჩნია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მომძლავრების კვალობაზე, საჭირო იყო მსოფლიო და ქართული პროგრესული პედაგოგიური აზრის გათვალისწინებით, ქართულის არამცოდნე (უპირატესად სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი) მეგრელ გლეხთა შვილებისათვის პირველდაწყებითი სწავლების განხორციელება მათთვის გასაგები ენით. (გ. ციციშვილი სხვა მრავალრიცხოვან ნაშრომებს შორის გამოქვეყნებული აქვს ისეთი საინტერესო წიგნები, როგორიცაა: ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი ანალიტიკური კომენტარები, თბ., 1998; რისთვის დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას პირმშო ლევან რაზიკაშვილი, თბ., 2001, სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, თბ., 2003; სიმართლე ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობისა და 1924 წლის აჯანყების შესახებ, თბ., 2004; მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და ეროვნული მოძრაობის ისტორიის პრობლემების გაუკუღმართებულად გაგება-გაშუქების წინააღმდეგ, თბ., 2005.).

პროფ. გიორგი ციციშვილს გამოსაცემად მომზადებული აქვს მრავალთაბახიანი ნაშრომი, **„მაფალუ“ ანუ მეგრული საკითხის ისტორია“,** რომელშიც უთუოდ სრულყოფილად და ვრცლად იქნება გაშუქებული აღნიშნული საკითხები.

დანაპირები შესრულებული იქნა და 2009 წლის პირველ ნახევრის ბოლოს, გამოვიდა ცნობილი იურისტის, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, ვახტანგ გვარამიასა და პროფ. გიორგი (გოგი) ციციშვილის სქელტანიანი (50 თაბახზე მეტი) ფუნდამენტური გამოკვლევა-მონოგრაფია **„მეგრული საკითხი“. სახელმწიფოებრივად გაყალბებული. და ალტერნატიული ისტორია“.** წიგნის გამოსვლისთანავე გაზეთებმა გამოაქვეყნეს დადებითი რეცენზიები. (**როლანდ ჯალაღანია, "მართლაც შესანიშნავი წიგნი,"** გაზ. **„ილორი“,** 2009, 30 ივნისი, №21, გვ. 12; ალექსანდრე ავალიანი, **„მეგრული საკითხი“,** გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“,** 2009, 1 ივლისი, №132, გვ 9 და სხვა.).

მართლაც ამ დიდი ქართული წიგნის ავტორები ვ. გვარამია და გ. ციციშვილი, ხელოვნურად შეთითხნილი მეგრული ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის წინააღმდეგ და მისი პირწმინდად უარსაყოფად მომარჯვებული აქვთ უამრავი ისტორიული წყარო და არგუმენტი და ამ უნიკალური მასალებით ადასტურებენ, იმ ცილისმწამებლური, პროვოკაციების აღმოცენების მიზეზ-შედეგებს. რომ სამეგრელოს, ზუგდიდის მაზრის მოსახლეობის საქმიანობა და ინტერესები 1920-30-იანი და შემდგომი წლების მანძილზე პარტიულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები იყო დამახინჯებული – საქართველოს ისტორიისა და მისი ცალკეული პრობლემები, მათ შორის სამეგრელოს ისტორიის კარდინალური საკითხები. ამ დროს იგნორირებული იყო სამეგრელოს მოსახლეობისა და მისი ქართველი სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული ენის არმცოდნე... მეგრულ ენაზე მოლაპარაკე გლეხობის ენობრივი ინტერესები. სამეგრელოს მოსახლეობის ამ ნაწილს, საბჭოთა 20-იან წლებში, უთუოდ საჭიროების მიუხედავად, არ აღირსა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება მშობლიურ ენაზე ეწარმოებინა საზოგადეობრივი ფუნქციონირება, ხოლო ქართული სახელმწიფოებრივ-ლიტერატურული ქართული ენის არმცოდნა გლეხებს, მათს შვილებსა და შვილიშვილებს, გასაგები დედა-ენით აეთვისებინათ პირველდაწყებითი სასკოლო განათლება. (ვახტანგ გვარამია, გიორგი ციციშვილი, **„მეგრული საკითხი“,** თბ., 2009, გვ. 3-4.)

შემდეგ, ავტორები აგრძელებენ: საქართველოს ხელისუფლება საბჭოთა სისტემის შემოღებისთანავე შეუდგა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობას რუსული შაბლონებით. მოსახლეობის საერთო მასაში მეგრელი ქართველების უმრავლესობით წარმოდგენილ აფხაზებს ავტონომიური რესპუბლიკის სახით მიანიჭეს ფორმალურ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საქართველოში მცხოვრებ ოსებს ქართული სოფლებისა და ქართული ქალაქის (ცხინვალის) მიკუთვნებით შეუქმნეს ავტონომიური ოლქი. ქართული ენის მქონე, ქართველი აჭარლები გამოაცხადეს ეროვნებად და ძალით გააერთიანეს აჭარის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, მეგრელებს კი, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დადგენილებით, 1923 წელს მხოლოდ შეპირდნენ, რომ მათი ენობრივი თავისებურებების გამო **„უნდა რაიმე მივცეთო მეგრულ ენაზე... რომ წაიკითხოს და მოახდინოს ქართული უცოდინარეობის ლიკვიდაცია, რომელიც ღუპავს გლეხობას“.**

ვ. გვარამია და გ. ციციშვილი გარკვევით აღნიშნავენ, რომ **„ისტორიის ბედუკუღმართობის გამო, სამეგრელოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი რეალურად მხოლოდ მეგრული ენით ფუნქციონირებდა; რადგან სამეგრელო-აფხაზეთის მოსახლეობის მეგრელების ერთ ნაწილს არ ესმოდა სხვა ენა გარდა თავისი მშობლიური მეგრული ენისა, საჭირო იყო ამ თავისებურების გათვალისწინება. ამასთანავე, მეგრულ მოსახლეობას უხსოვარი დროიდან ჰქონდა შესისხლხორცებული სალაპარაკო მეგრული ენა, რომელიც დამახინჯებული ქართული კი არ იყო, როგორც ეს ზოგიერთ საბჭოთა ჩინოვნიკს გამოყავდა, არამედ ქართული ენის პარალელურ, ძმა ენას წარმოადგენდა.“** ცნობილია, რომ მეგრული ენა ქართული ენის წინარე ენა იყო.

მიზანშეწონილი იყო ვახტანგ გვარამიას და გიორგი ციციშვილის მაღალი მეცნიერულ დონეზე დაწერილი, უნიკალური ნაშრომის უფრო ფართო ანალიზი, მაგრამ ჩვენი წინამდებარე ნაშრომი, გამომცემლობას გამოსაქვეყნებლად თითქმის მზად ჰქონდა და მასში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა შეუძლებელი იყო, ამიტომ შემოვიფარგლეთ ვ. გვარამიასა და გ. ციციშვილის წიგნიდან ცალკეული ამონარიდის მოტანით.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში

დავიცვათ ქართველური ენები

როგორც მოგეხსენებათ, ენობრივი გლობალიზაციის იდეური მამამთავარი მარქსისტული იდეოლოგიაა, რომლის მიხედვით, სხვა ენათა გადაშენების შემდეგ, მომავალში კაცობრიობა, უცილობლად, ერთ ენაზე იმეტყველებს.

არსებობს კი ამ თეორიის ახდენის რაიმე ობიექტური ნიშნები? – დიახაც არსებობს: მსოფლიოში ასეულობით ენა გადაშენების საშიშროების წინაშეა. მათ შორისაა ქართველური ენები – ლაზური, მეგრული და სვანური. ამიტომ, ჩემი აზრით, სულზე მისწრება იქნება თუ სახელმწიფოები პირნათლად შეასრულებენ იმ ვალდებულებებს რაზეც მათ ევროსაბჭოს წინაშე ხელი მოაწერეს: მხედველობაშია ყბადაღებული რეგიონარული სტატუსით'გათვალისწინებული ღონისძიებების სასწრაფოდ გატარება.

ენობრივი გლობალიზაციისა და საერთო სახელმწიფოებრივი გლობალიზაციის საკითხებში საქართველოში, პარადოქსულად, ურთიერთგამომრიცხავი და დაპირისპირებული მიდგომაა:

ერთის მხრივ, პირველ ევროპელობას ვჩემულობთ, მეორეს მხრივ კი ვებრძვით დასავლურ გლობალიზაციას;

ერთის მხრივ, ვითომც დასავლურ ღირებულებათა მლოცველ-მეხოტბენი, მეორეს მხრივ, ენათა დაცვის შესახებ ევროქარტიას ცეცხლითა და მახვილით ვებრძვით.

დასავლეთიდან ყველაფრის ბრმად გადმოღების წინააღმდეგი ნამდვილად გახლავართ, მაგრამ კარგი რატომ უნდა უარვყოთ გინდ დასავლური თუ აღმოსავლური?

რა უკუჩვენება უნდა ჰქონდეს ისეთ უმანკო და ღვთისნიერ საკითხს როგორიც ჩვენი ენების გადარჩენის საკითხია?

თუ არა გამოგონილი, რა თქმა უნდა, ასეთი უკუჩვენება არ არსებობს. საქართველოში, ტარიელ ფუტკარაძეს მეთაურობით, ასეთი გამომგონებლები ბოგინობენ კი არა პირდაპირ ბობოქრობენ და, როგორცა ჩანს, მათ, გაზეთ **"ასავალ-დასავალში"** გამოქვეყნებულ პასკვილის – **"ღუგინირატები იჭაჭებიან"** ავტორ ჯაბა ხუბუას სახით, თავიანთი შეგირდები სამეგრელოშიც ყოლიათ (იხ.გაზ.ა.დ. 25.9.2013 წ. 47(997).

ბატონებო, სათაურს დააკვირდით და თვალწინ დაგიდგებათ **"წრუწუნა"** და, იმავდროულად, **"ცხრასართულიანებით"** შეიარაღებული თავხედი რენომე ჟურნალისტად წოდებულ ყმაწვილკაცისა, რომელიც უპატიოსნეს ადამიანთა თავყრილობას დუგინირატებად ანუ წარმოსახვაში – დეგენერატებად რაცხს (აფსუს, რა პოეტური რითმაა დუგინირატი – დეგენერატი).

მაინც რა დაუშავეთ მასზე ორჯერ და მეტი ხნის ადამიანებმა ამ **"კეთილშობილ' ახალგაზრდას? – თურმე ისეთს რამეს ვლაპარაკობთ, მათ დაცენტრილების გარდა, სხვა სიტყვას ვერ ვუწოდებო "** – ბრძანებს იგი.

და, აი მას მოყავს ჩემი ანუ **ДУБИНИРАТ-ДЕГЕНЕРАТ-ДАЦЕНТРИЛИს** სიტყვები: **"...ძრავალმა ათეულმა წელმა ჩვენი მეგრელობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ამ საკითხს სჭირდება სიყვარულით მიდგომა, იობის მოთმინებით მიდგომა..."** შემდეგ ავტორს (ხუბუას) არასწორად აქვს თარგმნილი, ალბათ მეგრული სიტყვა – გამწას (გამწა – მთლიანი, სრული) ვერ დაიმორჩილა. უნდა იყოს: **"...სრულიად საქართველოს, ამგვარადვე სამეგრელოს მოსახლეობა დარწმუნებულია – მეგრული ენა პრობლემაა საქართველოს წინაშე..."**

აი, ამ ციტატის დამთავრებისთანავე იგი მკითხველს გულმოწყალედ ევედრება: **"...ლაპარაკი არ დაუმთავრებია და "ცხრასართულიანებით" ნუ გააწყვეტინებთო..."** ანუ **"ცხრასართულიანი" – უსასრულო** (ცხრა უსასრულობის სიმბოლოა) **გინების ღირსი კი არის, მარა ჯერ მოითმინეთ, მერეც მოესწრებითო..."**

ღმერთო დიდებულო, კი მარა რა ვთქვი ასეთი?... ნუთუ ის რომ მეგრული ენის გასაჭირზე დავიწყე ვიშ-ვიში?... მაგრამ ხომ ვამბობ – მოთმინებით და სიყვარულითქო ანუ ყოველგვარი ექსცესებისა და დესტრუქციის გარეშე უნდა ვიმოქმედოთქო. გარდა ამისა, ავტორი (ხუბუა) ხომ დადებითად აფასებს მურმან ნაჭყებიას გამოსვლას, რომელიც ზუსტად იგივე კონტექსტში საუბრობს, ოღონდ ქართული ენის გასაჭირის თაობაზე.

თუ მრავალმხრივი სახელმწიფოებრივი დაცვის ინსტრუმენტებით აღჭურვილ ქართული ენის არსებობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება **"საღი აზროვნებაა"**, მაშ, რატომ უნდა ვაგინოთ ყოველივე ამას მოკლებულ და ამიტომაც მომაკვდავ მეგრული ენის ჭირისუფალს?...

ეს იმ რანგის ალოგიზმია, შეუძლებელია დუნიაზე არსებობდეს ტვინგამოფხეკილი რომელიც რომ ვერ შენიშნავს. ამიტომ ეს მიზეზი გამორიცხულია.

მაშ რა დარჩა? იქნებ როგუნჯი და ორჯოყონი ორჯონიკიძე-ფუტკარაძისეულ შოვინისტურ ოხშივარში ამოვლებული ვისიმე არარაობა გონი იმან დაზაფრა, რომ საჯაროდ მეგრული მეტყველება გაისმა?... არ ვიცი... მაგრამ პასუხი ამას უნდა გასცეს თავად ხუბუამ. თანაც აუცილებლად!!!

შემდეგ ავტორი ხუბუა აჟღერებს ჩემს მიერ დასმულ ოთხ ძირეულ კითხვას მიძღვნილს არა მარტო სამეგრელოს არამედ სრულიად საქართველოს მოსახლეობისადმი. კარგად დააკვირდით, იქნებ ეს კითხვები იმსახურებენ **"ცხრასართულიანებს"?** აი ისინი:

1. არის თუ არა მეგრული მეტყველება ენა თუ ის არის მართლა დილექტი, როგორც ამას ზოგიერთი მცდარი, ყალბი მეცნიერი ამტკიცებს?

2. თუ არის ენა, არის თუ არა ის ქართველი ერის ეროვნული სიმდიდრე?

3. თუ არის ენა, თუ არის ის, ბატონო ჩემო, ეროვნული სიმდიდრე, ემუქრება თუ არა მას გადაშენება?

4 თუ ეროვნული სიმდიდრეა, თუ ემუქრება გადაშენება, მაშინ რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ?

აქ ბატონიშვილ ხუბუას, ღვთის წყალობით, გინება დროებით ავიწყდება და პასუხობს პირველ კითხვას: **"...მეგრული ენაა თუ დიალექტი ამაზე მეცნიერები ღღესაც დაობენო..."**

გამოგიტყდებით, მერჩივნა გინება ისევ გაეგრძელებინა, ოღონდ ეს პასუხი არ მიმეღო: ჭეშმარიტ ენათმეცნიერებას მეგრული ენა ეჭვქვეშ არასოდეს დაუყენებია. ამაზე დიდი ხანია გაცემულია ფუნდამეტურ მეცნიერულ ღირებულებებზე დაფუძნებული ანუ აკადემიური პასუხი.

მეგრული, რა თქმა უნდა, ენაა ყველა ენისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თავისებურებებით.

ერთი მინდა ვიკითხო – მე მეგრელმა ედემ იზორიამ დავიწყო აგიტაცია ქართული არაა ენაო ვიქნები თუ არა სეპარატისტი? კითხვა თავის თავში პასუხს გულისხმობს. უფრო მძიმე არ იქნება თუ ამას გააკეთებს ენათმეცნიერი – ედემ იზორია? რა თქმა უნდა, ამაზე უარესი რა უნდა გაკეთდეს.

უმწეოდ ესწრაფვის რა, აკადემიური მეცნიერების რევიზიას აი, ამ უბედურებას ჩადის, ოღონდ მეგრული ენის მიმართ და ამიტომაც დაუსჯელად ტოვებს ენათმეცნიერებას მიტმასნილ შოვინისტ-პროვოკატორთა ჯგუფი, ტ. ფუტკარაძის მეთაურობით. აი, მათი ნაბოდვარია რომ ასულდგმულებს მათ თანამოაზრე ჟურნალისტ ჯაბა ხუბუას. მაგრამ მას ვინც მეგრულს ენად არ თვლის ენათმეცნიერი და ჟურნალისტის კი არა ნაღდად შეეფერება **"ტიტულატურა"**, რომელიც ავტორ ხუბუას რიმა ორისიდან იგივე რღიმა ნოყორიდან ანუ დაფჩენილი პირიდან უხვად იფრქვევა. ესენია: დარტყმული, დარეხვილი, კრამიტდაცურებული და ა.შ. და ა.შ.

ხუბუას პასკვილმა ერთი მსგავსი შემთხვევა გამახსენა: რამდენიმე წლის წინ გაბაშვილის, ახალედიანის და გრიგოლიას თაოსნობით, ტელეგადაცემა მოეწყო, სათაურით: **"ემუქრება თუ არა საქართველოს მრავალენიანობა"**. შეხედეთ რა დიდებულია, განსაკუთრებით დემოკრატიულობის თვალჭრილში: მრავალენიანობა თურმე საშიშროებაა. თითქოს მრავალენიანი ეს ქვეყანა არც ახლაა და არც არასოდეს ყოფილა... ოდა მდერიან ამ სიმღერას ეჰე, **"ქართლის ცხოვრებიდან"**, მოყოლებული.

სხვა ენა **"არა ირაცხებოდა"** კი არა საქართველო, ქართველი ერი ყოველთვის იყო მრავალენიანი და ტოლერანტული. და სწორედ ამაშია მისი სიდიადე და მომხიბვლელობა. ზემოთქმული კი უბადრუკ ქართიზატორთა უმწეო სურვილია – გადააქციონ საქართველო ასიმილირებულ ერთენოვან რეგიონად, რომლის ახდენა, ღმერთმა დაგვიფაროს თორემ, მას საბოლოოდ დაღუპავს. ეს იმიტომ რომ არასოდეს არსებობს ქმედება ანტიქმედების გარეშე. პოლიტიკურ ასპექტში ამგვარი რეკლამაციები სრული იდიოტიზმია, რადგან ამგვარი იდეებით, ლამის ყოველ ნაბიჯზე სხვადასხვა ენაზე მოჭიკჭიკე მოძმე კავკასიელთა ლიდერობას (როგორიც ყოველთვის იყო საქართველო) კი არა შენს კუდში მაჩანჩლობასაც არავინ დაგთანხმდება.

სხვა ენა **"არა ირაცხებოდეს" – იდეის გარდა მეგრული და სვანური ენების საწინააღმდეგოდ ქართიზატორებს გააჩნიათ განსხვავებული მიდგომაც"**. როგორც კი ამ ენათა სამოგებო რამ სადმე გაიჟღერებს – იმწუთშივე ქართული ენის დიალექტებს მეგრულ და სვანურ ენებს გაუტოლებენ: აქაოდა ამდენ ენებად ხომ არ დავქუცმაცდებითო. ეს **"დაქუცმაცება"** მათს მსჯელობებში ინდენად ხშირი და იმპულსურია ეტყობა დიდ წარმატებებსაც აღწევენ მოსახლეობის იმაში დარწმუნებაში, რომ თითქოს მეგრული და სვანური ენები – ქართულთან ერთად სულიერ არსი ერისა, უძველესი ისტორიული ფენომენი და ერის უდიადესი სიმდიდრე კი არაა, არამედ რაღაც გუშინდელი შებუდრულ-შეკერილი უგვანო ჩოხა-ახალუხია...

წერილის ერთ მონაკვეთში ავტორი ხუბუა წერს: **"... ვისში უნდა ასიმილირდნენ მეგრელები? ქართველებში ანუ თავისთავში?..."** ამის თქმა იმხელა სისულელეა პასუხიც კი ძნელია გასცე: ავტორს ტერმინ ქართველის მნიშვნელობა არ ცოდნია. მან არ იცის რომ ქართველი, ქართველები ისეთივე კრებთისი ცნებაა როგორიც სლავი, სლავები, თურქი, თურქები და ა. შ. ქართველი, ქართველები ანუ ქართები, სვანები და მეგრელები მონათესავენი არიან და ამ ნათესაობას აღნიშნავს ტერმინი ქართველი.

მეგრელი თუ მეგრელი არაა, ვთქვათ სომეხი, განა შეიძლება ქართველი იყოს? ან თუ მეგრული და სვანური ქართულით სრულიად შეიცვალნენ მაშინ ისინი ქართველები კი არა ქართელები გახდებიან, რადგან ტერმინი ქართველი დაკარგავს იმ ძირითადი ცნების გამოხატვის საჭიროებას რასაც ქართების, სვანების და მეგრელების ნათესაობა ქვია.

ავტორი აგრძელებს: **"...რას უნდა ებრძოლოს ქართული სახელმწიფო? მეგრულს ანუ ქართულს, ანუ მშობლიურ ენას?..."** ამ წინადადებაშიც იმდაგვარი შეუსაბამობა-ორომტრიალია კაცს ტვინი ეღრძობა: გავამარტივოთ ეს წინადადება და ასე დავწეროთ: **"...რას უნდა ებრძოლოს ქართული სახელმწიფო ... თავის მშობლიურ ენას"?** რაკი ეს ციტატა მიმართულია ი. ღვინჯილიას გასაკრიტიკებლად, რომელიც სახელმწიფოს მიერ მეგრული ენის დაუცველობაზე საუბრობს, ნათელია ავტორ ხუბუას, აქვეთქმულ წინადადებაში, ფრაგმენტ – **"მშობლიურ ენას?"** ქვეშ მეგრული ენა იგულისხმება, ანუ აქ მეგრული ენაა და თანაც მშობლიური, რაც სწორია, მაგრამ, გაუგებარია, რა არის ქართული უკვე სრულ წინადადებაში ციტატისა – **"... რას უნდა ებრძოლოს ქართული სახელმწიფო? მეგრულს ანუ ქართულს, ანუ მშობლიურ ენას?..."** რომელშიც ფრაგმენტი – **"მეგრულს ანუ ქართულს"** ამ ორივე ენას ერთ ენად აღიარებს. მაგრამ რაკი აქ მეგრული, ავტორისავე სიტყვებით, **"მშობლიური ენაა"**, გამოდის ქართული ენა არაა. აი, რა პოტიკები აშლია და აი, რა გამოუვიდა ამ საცოდავ ჟურნალისტს.

ქართული და მეგრული ერთიდაიგივე კი არა, ისინი ერთმანეთთან მიმართებაში ისტორიული მონათესავე ენები არიან. ისეთივე როგორიც ვთქვათ ერთმანეთთან მიმართებაში რუსული დ უკრაინულია ან აზერბაიჯანული და ყაზაყური თურქულია. ეს ფუტკარაძე-ხუბუასნაირნი, სოფისტური ვირეშმაკა სიტყვათამაშით, ცდილობენ დაარწმუნონ მოსახლეობა თითქოს მეგრული ენა კი არა ქართულის ისეთივე დიალექტია როგორიც იმერული, კახური და ა. შ. მეგრული ენისთვის ენის სტატუსის წართმევა მათ იმისთვის დასჭირდათ რათა ასევე მოატყუონ ევროპა, აქაოდა მეგრულს **"რეგიონალური სტატუსი"** რაში ჭირდება, იგი ხომ ენა არააო.

აი, რა მუხანათურად ღალატობენ და ებრძვიან ესენი მეგრელ ხალხს, მკრეხელურად ამცრობენ მეგრულ ენას და თანაც მათ ვინც შეეპასუხება იმწამსვე სეპარატისტის იარლიყს აკერებენ. ზუსტად იმგვარადვე როგორც ამას თავის დროზე ორჯონიკიძე ხოლო შემდგომ რუხაძე აკეთებდა. ვაუბატონი ხუბუა მათნაირი შიკრიკა (დამსმენი) და მათი აშკარა უშუალო იდეური მემკვიდრეა.

ი. ღვინჯილია ხშირად მიკრიტიკებია, მაგრამ წერილის იმ მონაკვეთში, რომელიც ავტორს ციტატად მოყავს, რა თქვა მან ისეთი, ხელბორკილი რომ დაედოს და, როგორც თავად ხუბუა გვამცნობს, **"შესაბამის ორგანოებში"** ამის განსახორციელებლებად მოთხოვნა-დასმენების წერილები წეროს?

რა თქმა უნდა, მიზეზი ის გახლავთ, რომ მან, ბოლოსდაბოლოს მოთმინებადაკარგულმა, გაბედა და ხუბუასნაირებს პირში მიახალა – მეგრული უკვე ასიმილირებულიაო.

სრულად არა, მაგრამ სანახევროდ მაინც. თუ ეს ასე არაა აბა დამისახელოს ხუბუამ როგორ იქნება მეგრულად ყოველდღიური ხმარების სიტყვები, როგორნიც არიან: მშვიდობა, მშობელი, ხალხი, დედამიწა, კაცობრიობა, სწორი, ჩანჩქერი, და ა.შ. ეს სიტყვები მთლიანად სამეგრელოში აქა იქ თუ იხმარება ანუ მეგრულ მეტყველებაში გაქრობის პირასაა. რა არის ეს თუ არა ასიმილაცია? რომლის სახელის ხსენებაც კი ინკვიზიციის პოზაში მდგარ ამ **"ჭეშმარიტი დემოკრატიისთვის თავდადებულ მებრძოლ ჟურნალისტს"** რადაც ზესაშინელ ერესად წარმოუდგენია?

21-ე საუკუნეში, ოკეანეთა ტალღებივით მოზღვავებულ ინფორმაციის წნეხის ქვეშ მყოფ ხალხს, თავის ენაზე თუ არა აქვს არაფერი – სკოლა, საინფორმაციო საშუალებები: ტელევიზია, რადიო, პრესა და ა.შ. და ა.შ. ვინ სულელი არ უნდა მიხვდეს რომ ამ ხალხის ენა დაიღუპება.

მაგრამ ხალხს თუ, შენს ხელში არსებულ საინფორმაციო საშუალებებით, ფუტკარაძე-ხუბუასნაირთა სოფისტიკით დააზომბირებ, ანუ ტყუილებით გააესულელებ, შეძლებ განახორციელო შენი შავბნელი ზრახვა და მოკლა დედამიწაზე ყველაზე სანუკვარი უმანკოება – შენივე ეროვნული სიმდიდრე – ისტორიული ხალხის ენა, რაც უდრის ამ ხალხისავე მოკვდინებას.

მიკვირს, წამს კი ამ ხალხს ღმერთი?...

რა, აპატია ღმერთმა თავისავე ხალხის ღალატი ორჯონიკიძეს (ეტიმოლოგიურად ორჯოყონი-წე-ს), რუხაძეს?...

არ აპატია... თქვენ კი რის იმედზე სჩადით ამას, ბატონებო, თუ არა სატანისა?...

ბატონიშვილ ხუბუას მეგრელის მიერ პოლიტიკური უფლებების ხსენებაც კი შუასაუკუნეების ინკვიზიტორებივით ერესად მიაჩნია, მაგრამ ცოტაა კი დედამიწაზე ამგვარი უფლებების მქონე აყვავებული და დემოკრატიული სახელმწიფოები? რა, ცუდი სახელმწიფოა ამერიკა, რომლის ზოგიერთი შტატი თავისი პოლიტიკური უფლებებით ფაქტობრივად სახელმწიფოში სახელმწიფოა? ან გერმანიას რატომ ჰქვია ფედერაციული რესპუბლიკა?... ან თვით საქართველო როგორაა მოწყობილი? როგორ შეიძლება სახელმწიფო ავტონომიური რესპუბლიკებისგან შედგებოდეს და ის ფედერაციული მოწყობის არ იყოს?...

მე არ ვთვლი პრიორიტეტად პოლიტიკური ავტონომიური უფლებების მოთხოვნას. მირჩევნია – კულტურული. ეს იმიტომ, რომ მეგრელებს უკვე აქვთ პოლიტიკური ავტონომია, მაგრამ იმდენად დაჩმორილია ამ ავტონომიაში მათი ენობრივი უფლებები რომ ჯობდა კულტურული ავტონომია ჰქონებოდათ: აფხაზეთში – ორი ეთნოსისთვის აფხაზებისთვის და მეგრელებისთვის (იმიტომ რომ ისინი აბორიგენები არიან) განკუთვნილი ავტონომიური რესპუბლიკა ფუნქციონირებდა, მაგრამ განსხვავებით აფხაზებისაგან, მეგრელებისთვის ავტ. რესპ-ში მეგრული ენა კი არა, ქართული იყო გაბატონებული. ანუ აქ სახელმწიფო ენაც და ავტ-ის ადმინისტრაციული ენაც ქართული გახლდათ. ეგრევეა ახლაც – აჭარის ავტ. რესპ-ში სახელმწიფო ენა და რესპ-რი ენაც ქართულია; აგრეთვე მეგრელების (იმიტომ რომ დევნილთა აბსოლუტური უმრავლესობა მეგრელია) ლეგიტიმურ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მეგრული ენა არ ფუნქციონირებს. რატომ?...

აქ თვალშისაცემია ერთი დიდი კურიოზი – გამოდის მხოლოდ მეგრულენოვან სამეგრელოშია ავტონომიის მოთხოვნა სეპარატიზმი და რაღაც შავი ჭირის დონის საშიშროება, თორემ თუ იგი ქართულენოვანია, არა თუ მოთხოვნა არაა რამე პრობლემა, არამედ რეალურ ყოველდღიურ პრაქტიკაშიც არსებობა – რაღაც სამოთხისმაგვარი ბედნიერებაა... და ამას ქვია ეთნოსთა სამართლიანი მოწყობა ერთიან ქვეყანაში?... ვაი, ამის შემხედვარეს...

ბოლოს მინდა შევეკითხო პასკვილის ავტორს – წაუკითხავს კი მას საქართველოს კონსტიტუცია? თუ წაუკითხავს მიმითითოს მუხლი სადაც წერია, რომ ავტონომიის მოთხოვნა კრიმინალია; რომ მშობლიურ ენაზე სკოლებში სწავლება კი არა თვით მოთხოვნა კრიმინალია; რომ მშობლიურ ენაზე მწერლობა კრიმინალია; რომ, ენის შენარჩუნების მიზნით, სახელმწიფოს მიერ ამ ენის დაცვის პოლიტიკის გატარების მოთხოვნა კრიმინალური დანაშაულია და ა.შ.

ხუბუამ ერთ ადგილას აკაკი ახსენა...

ძვირფასო მკითხველო, აკაკიმ ხომ საქართველო ჩონგურს შეადარა: **"...ჩონგური საქართველოა სიმები ჩვენ ვართ ყველაო..."** – ბრძანა მან: როგორც ჩონგური ვერ იგუგუნებს სიმების გარეშე, იმგვარადვე ჩონგური საქართველოც ვერ იგუგუნებს ქართული, მეგრული და სვანური ენების გარეშე.

გთხოვთ, დაფიქრდეთ ამის თაობაზე...

ბოლოს მინდა მივმართო საყვარელ ქართველ ერს, პირველ რიგში, ქართებს (ქართელებს, ქართუელებს), სვანებს, მეგრელებს: **დაიცავით ყველაზე დიადი სიმდიდრე თქვენი – თქვენი ენები. პატივი მიაგეთ მათ იმაზე აღმატებულად რა ზომითაც გიყვართ ერთმანეთი და აუცილებლად გაცისკროვნდებით, გადიადდებით და მეტად გაერთიანდებით.**

ედემი იზორია

პასუხად სიმართლესა და ჭეშმარიტებას ზურგშექცეულ კოლეგებს

დასაწყისი – "ილორი" №№238-250

სიმართლე მწარე წამალია – არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს.
ბალზაკი

ჭეშმარიტება არ იჩაგრება იმით, რომ ვიღაცა მას არ იზიარებს.
შილერი

შეიძლება დაგეთანხმოთ, რომ წიგნში ამ თემაზე მსჯელობა მაღალპროფესიულ, ღრმა მეცნიერულ ანალიზს არ ეფუძნება (ეს არც იყო მთავარი მიზანი), მაგრამ აქცენტები, რომლის არგუმენტირებისათვის ამ საკითხებს ვეხები, უდავოდ ანგარიშგასაწევია. თემის უნებლიე **„გაზვიადებას“** (თუ კი ასეთს ძველ-კოლხური დიდების წარმოჩენისას წიგნში გადააწყდით) მიეხედება და ამით ქვეყანა არ დამიქცევია, მაგრამ რა ეშველება იმას, რაც მოხდა? მშობლიური ეზო-კარიდან ასიათასობით აყრილ-განდევნილნი თქვენს **„ამაგსაც“** არ დაგივიწყებენ!

უმეცრებასა და ღალატში **„მხილებით,“** თქვენ მე კი არა, ხალხსა და სიმართლეს ემიჯნებით. ეს არის აქ მთავარი!

შეუმცდარი არავინ ყოფილა, მეც ვცდებოდი, მაგრამ ჩემი მთავარი შეცდომა, ბატონო ჯემალ, თურმე ის ყოფილა, რომ თქვენსა და თქვენისთანებში ვცდებოდი. მადლობა ღმერთს, რომ ამეხილა თვალი!

ახლა კი ისევ ნუგზარ მგალობლიშვილს და მის **„შადიმანობანას“** მივუბრუნდეთ. იგი ასეთ ღრმააზროვან კითხვას სვამს: **„რა გველის მომავალში?“** და იქვე ასკვნის: **„ალბათ, სასიკეთო არაფერი, თუკი ასპარეზი დავუთმეთ ჩვენი დროის შადიმანებს.**

ერთ-ერთმა მათგანმა, ნაპოლეონ მესხიამ, მორიგი მეხუთე კოლონის ჩამოსაყალიბებლად გამზადებულმა, 2011 წელს მის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის „Как отторгалась Абхазия-ს **გვერდებიდან ... სეპარატისტებსა და კრემლის მაღალჩინოსნებს შეახსენა, რომ დროა დაიშალოს დღემდე დევნილობაში არსებული ლეგიტიმური აფხაზეთის უმაღლესი საბჭო. რატომ? – იმიტომ, რომ დეპუტატმა ნაპოლეონ მესხიამ კარგად იცის დევნილობაში მყოფი კონსტიტიციურად ლეგიტიმური ა/რ უმაღლესი საკანონმდებლო სახელმწიფო ინსტიტუციის არსებობა უზრუნველყოფს სამართლებრივ კავშირს საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცესთან რუსეთის მხრიდან მისი სრული ოკუპაციის პირობებში და სწორედ ამ მასაზრდოებელი ხაზის გაწყვეტას ლამობს ნ. მესხიას გაღმელი პარტნიორი (გრცხვენოდეთ! ნ.მ.) ამიტომაც ეპოტინება ყველაფერს, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის საფუძველს უქმნის საფრთხეს“.**

რა კომენტარი უნდა გაკეთდეს ასეთ შემთხვევაში? რა შეიძლება უთხრა ადამიანს, რომლის უტიფრობაც ყოველგვარ ზღვარს სცილდება? შეუძლია კი მას (თავის მეგობარ ბატონებთან და ქალბატონებთან ერთად) მოიშველიოს თუნდაც ერთი ფაქტი, როდესაც მე ძირგამომთხრელ საქმიანობას ვეწეოდი უმაღლესი საბჭოს ან ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, ამას ვერ შეძლებს! ვერც წიგნში ნახავს ისეთ სტრიქონებს, სადაც საუბარია დეპუტაციის დაშლაზე, მისი უფლებამოსილების შეჩერებაზე. როგორც ჩანს, იგი რაღაცას გაუბრუებია, შესაძლოა, მეხსიერება ღალატობს, ან კიდევ არ უნდა გაიხსენოს, რა მოხდა აფხაზეთში, რადგან როგორც ვერშემდგარი პოლიტიკოსი, თავის წარსულიდან ფასეულს ვერაფერს მოიხმობს! ამიტომაც მას, უბრალოდ, არ სურს წარსულში დაბრუნება და იმის გახსენება, რაც რეალურად ხდებოდა.

მაგრამ იქნებ ის მაინც გაიხსენოს ბატონ ნუგზარმა, ვინ იყო ის ერთადერთი დეპუტატი, რომელიც გამუდმებით აყენებდა დღის წესრიგში საკითხს ქართული დეპუტაციის სახელმწიფო საბჭოს ლიდერებთან შეხვედრის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არალეგიტიმური გზით იყვნენ მოსული ქვეყნის სათავეში, რადგან, სურდათ ეს თუ არა, მათ ეკისრებოდათ პასუხისმგებლობა ქვეყნისა და მომავალი თაობების წინაშე. ნუთუ არ ახსოვს, ვინ იყო ის დეპუტატი, რომელიც ღიად ებრძოდა ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს ბორის კაკუბავას თავკაცობით და მასში სამწუხაროდ გაერთიანებულ აფხაზეთის ქართული საზოგადოების წარმომადგენლებს (იხ. შეს. 23 და 29; 77–78; 81–83 გვ.) – სწორედ იმ მეხუთე კოლონას, რომელზეც იგი საუბრობს და შევარდნაძესა და მის გარემოცვას, რომ არ გაეუქმებინათ აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და არ შეეჩერებინათ დეპუტატებისთვის უფლებამოსილება? ვინ იყო ის დეპუტატი (აწ განსვენებულ კიმი ჯაჭვლიანთან ერთად), რომელმაც შეაჩერა თქვენი თანამებრძოლის, ბატონი გივი ლომინაძის გამალებული მცდელობის შედეგად შევარდნაძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქართული დეპუტაციისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ (იხ. გვ. 138-139)? ვინ იყო ის, ვინც არწმუნებდა შევარდნაძეს და მის გარემოცვას, რომ ამის დაშვება არ შეიძლებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აფხაზურ მხარეს ასეთი არაგონივრული და წინდაუხედავი ნაბიჯი ხელ-ფეხს შეუხსნიდა, შესაძლებლობას მისცემდა გამოსულიყვნენ 1978 წლის კონსტიტუციის ჩარჩოებიდან და აღედგინათ 1925 წლის კონსტიტუცია, რაც მათ სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსს მიანიჭებდა?!

თქვენ სად იყავით მაშინ, როცა ამ და სხვა პრობლემების გადასაჭრელად დავრბოდი სოხუმსა და თბილისს შორის? კულუარულად ვაგვარებდი აფხაზური მხარისა და სახელმწიფო საბჭოს ლიდერების შეხვედრას (იხ.გვ.28). სად იყავით მაშინ, რომელ სოროში იმალებოდით?

რა გაგიკეთებიათ და რითი მოაწონებთ თავს შთამომავლობას!?

სწორედ თქვენზე ჩურჩულებდნენ მოგვიანებით, რომ ამდენი ხნით მოსკოვში ყოფნის შემდეგ, **„ფსბ“**-ს ან **„გრუ“**-ს აგენტად მოგვევლინეთ. ასეა ეს? დავიჯეროთ?! მე კი, ამ დროს, ისევე ვიბრძოდი ქართული ფრაქცია **„დემოკრატიული აფხაზეთი“**-სათვის, – მის წევრებისთვის შევარდნაძისა და მისი გარემოცვის მიერ არალეგიტიმურად შეჩერებული უფლებამოსილების აღდგენისთვის. 1994 წლის 9 მაისს, სწორედ ედუარდ შევარდნაძესთან ჩემი თითქმის ერთსაათიანი საუბრის შედეგად აღუდგა აფხაზეთის ქართველ დეპუტატებს უფლებამოსილება (იხ. შეს. 156–157 და 167-169 გვ.) და ამის შემდეგ გახდით თქვენ (როგორც დანარჩენები!) ისევ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. რა, არ იცოდით?

ბევრჯერ ვცადე მეჩვენებინა თქვენთვის და თქვენისთანებისთვის ადამიანობისა და კეთილსინდისიერების მაგალითი; ის, თუ რა უნდა ეკეთებინა დეპუტატს, როგორ უნდა მოეთოკა საკუთარი ამბიციები, ხოლო ხალხისა და ქვეყნის ინტერესები წინა პლანზე როგორ უნდა წამოეწია. ვცდილობდი, არ დამეშვა შეცდომები, გულწრფელი ვყოფილიყავი ყველას მიმართ, მაგრამ, სამწუხაროდ, ვხვდები, რომ ყოველივე ამას თქვენთვის და თქვენი მეგობრებისთვის ფუჭად ჩაუვლია!

თავიდან გიცნობდით როგორც ეროვნულს, კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლს და კეთილგანწყობილი ვიყავი თქვენს მიმართ. სწორედ ამიტომ გენდეთ და გთხოვეთ გადაგეცათ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიასთვის აფხაზი ხალხის ელიტური ნაწილის თხოვნა იმის შესახებ, რომ არ შეიძლებოდა ვ. არძინბას მოსკოვიდან ჩამოყვანა და მისი აფხაზეთის თავკაცად არჩევა, რადგან მათი ღრმა რწმენით **„იგი დაღუპავდა ჯერ აფხაზეთს, მერე კი საქართველოს!“** ამაზე დეტალურად და გულახდილად გესაუბრეთ ჩემთან, სახლში – მყუდრო ვითარებაში! თქვენ ყურადღებით მომისმინეთ, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ყველაფერი პირიქით გააკეთეთ (იხ. შეს. 42 და 48 გვ.) – თქვენს გარემოცვასთან ერთად, ხელი შეუწყვეთ არძინბას აფხაზეთში ჩამობრძანებას.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიყავი კარგად ჩახედული პოლიტიკაში და არ მეგონა, რომ იმ ადამიანს დაემსგავსებოდით, რომელიც ერთხელ შეიძენს ხოლმე ტრამვაის ბილეთს და მერე მთელი სიცოცხლის განმავლობაში იმ ბილეთით მგზავრობს. მოგვიანებით ჩემთვის ეს და ბევრი სხვა რამეც გახდა ცნობილი. მანამდე კი დავდიოდი თქვენთან (სახლშიც კი!) და გამხნევებდით, რათა ისევ აქტიურად ჩაბმულიყავით პოლიტიკურ საქმიანობაში. მაშინ ჯერ კიდევ არ მყავდით ბოლომდე გაშიფრული თქვენ და თქვენი თანამზრახველები. მაგრამ როცა აფხაზურ მხარეს ხელი შეუწყვეთ დისკრიმინაციული საარჩევნო კანონის მიღებაში, ჩემთვის ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა!

ამ დროს თქვენ, როგორც **„მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“** პოლიტიკური ლიდერი აფხაზეთში, თქვენს **„თანამებრძოლებთან“** ერთად, აფხაზურ პოლიტიკურ ბლოკ **„აიდგილარა“**-სთან და მის ლიდერებთან – სერგეი შამბასა და ზურაბ აჩბასთან ჩონგურივით გქონდათ აწყობილი ურთიერთობა და ყველა საქმეს აგვარებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, უფრო მეტად – ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ. სწორედ მათთან მჭიდრო თანამშრომლობით იქნა მიღწეული შეთანხმება ვ. არძინბას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნისა და აპარტეიდული საარჩევნო კანონის (ქვოტებით 28:26:11) მიღების შესახებ, რომელიც, როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის. სწორედ ვ. არძინბას ფაქტორმა და ზემოხსენებულმა დისკრიმინაციულმა საარჩევნო კანონმა გადაწყვიტეს ომისა და მშვიდობის ბედი აფხაზეთში და ამის მოთავე, სხვებთან ერთად, თქვენც ბრძანდებოდით, ბატონო ნუგზარ!

ნაპო მესხია,
პროფესორი
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ჭაბუა ამირეჯიბი – უკვდავი კლასიკოსი

სრულიად საქართველოსთან ერთად ჩვენ, სამეგრელოს მოსახლეობა გულითადად განვიცდით ქართული მწერლობის უდიდეს დანაკლისს, მწერლისა და მოღვაწის, ჭაბუა ამირეჯიბის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

იგი არ მომკვდარა. ის მხოლოდ გარდაიცვალა. მდიდარი შემოქმედებით იგი მარად იქუხებს. ბატონ ჭაბუას ნიჭიერება და მრავალმხრივი ღვაწლია ამის მიზეზი და გარანტი. იგი კლასიკური აზროვნებისა და მეტყველების დიდოსტატად დარჩება.

ის მშვენიერებისა და ნათელი გენიის მეხოტბე იყო – რუსთაველის მზიურ სულზე შეყვარებული, მისი უკვდავების რწმენით განმსჭვალული და შთაგონებული.

ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედება მის სიცოცხლეშივე დაფასდა და უკვდავების გვირგვინი ღირსეულად დაიდგა, რადგან მისი განვლილი გზა არის თავად გვირგვინი ცხოვრებისა, გვირგვინი უკვდავებისა.

იგი ეძებდა და ჭეშმარიტად ჰპოვა გამოხატვის თავისებური და ჰარმონიული საშუალებები. წარმოაჩინა ქართული სიტყვის სტიქია, მის პირველქმნილი, განუმეორებელ ხატოვნება, რასაც უსადაგებდა ქართველი ადამიანის მდიდარ ბუნებასა და სულიერ სიძლიერეს.

მან განვლო რთული და მძიმე ცხოვრება. მისი სავალი არ ყოფილა შარავანდედით მოსილი, მიუხედავად ამისა, დატოვა წარუშლელი კვალი და იქცა საერთო ქართული ლიტერატურის ფენომენად.

მის ხანგრძლივი ღვაწლი არის ნამდვილი ვალის მოხდა სამშობლოს, ქართული ლიტერატურისა და კულტურის წინაშე.

დაუვიწყარია სამეგრელოს მოსახლეობისთვის ის დღე, როცა უკვდავი რომანის **„დათა თუთაშხიას“** ფილმად გადაღების შემდეგ, შემოქმედებით კოლექტივს (მწერალს, რეჟისორსა და მსახიობებს) სენაკის კინო-თეატრში, სამეგრელოს ინტელიგენციამ და შემოქმედებითმა საზოგადოებამ მოუწყო შეხვედრა, სადაც საოცარი მოწიწება გამოხატა და დიდსულოვნად დააფასა ჭაბუა ამირეჯიბის ღვაწლი. ითქვა, რომ მანამდე არც ერთ მწერალს ასე ღრმად და სრულფასოვნად არ აუსახავს მეგრელი კაცის, როგორს საერთო ქართული ფენომენის სულიერი სიღრმე, ტრადიცია და სიბრძნე, როგორც ეს ბატონმა ჭაბუამ შესძლო.

ბატონი ჭაბუა ბევრ ისეთ რამეს ხედავდა თავის გარშემო, ისეთ რამეს ამჩნევდა და მხატვრულად გადმოცემდა, რომელიც თავად ჰქონდა რეალურად განცდილი. თუმცა, საზოგადოდ, მწერალი გვერდს ვერ აუვლის მხატვრულ გარდასახვის მრავალფეროვნებას, რომლის გარეშე შეუძლებელია სრულფასოვანი ნაწარმოების შექმნა. ამ მხრივ ჭაბუა ამირეჯიბი ნამდვილი ლიტერატურული რაინდია.

მან ქართველ მწერლებთან და მოწინავე ინტელიგენციასთან ერთად მძიმე განსაცდელი გამოიარა ორი საუკუნის გასაყარზე, ბევრი ღამე ათია, ბნელი და ცივი საკნის სუსხი არ დაკლებია, ხალხისა და სამშობლოს ბედზე ფიქრმა და გარჯამ ყოველივე დააძლევინა. თითქოს ნემსის ყუნწში გაძრომა მოუხდა, აუნაზღაურებელი მსხვერპლი გაიღო მისმა ოჯახმა, შვილის სიცოცხლე შესწირა ქვეყანის ერთიანობას, მაგრამ სულიერად არ გატეხილა. მოწოდებისა და ღირსების მაღალი შეგნება შეინარჩუნა. ამან შექმნა ჭაბუა ამირეჯიბი, როგორც უკვდავი მწერალი და მოქალაქე.

იგი იყო სამშობლოს უერთგულესი მსახური და მესიტყვე. წინ უძღვოდა, როგორც ლამპარი იმ უდიდეს გარდაქმნებს, რომელიც ოთხმოცდაათიან წლებში ხდებოდა და რასაც მოყვა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება. სადად სჯიდა, სწონიდა, საკუთარ გონებრივ ნათელს არ იშურებდა. მას სწამდა ჭეშმარიტი მომავლისა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, როგორც მოვალეა შემოქმედი, იყოს ამ რწმენის ერთგული მსახური.

ადამიანს მიზნის მიღწევაში მხოლოდ სიყვარული ეხმარება. თუ დასახულ მიზანს ვერ ახორციელებს, ეს მიზნისკენ სწრაფვის ნაკლებობის ბრალია. ამას ასწავლიდა ახალგაზრდა თაობას, თავად უჩვენებდა მაგალითს ბრძოლისას, მოქმედებისას.

მაინც, საიდან მოდის დროის განცდა?

– მოძრაობიდან, დინამიკიდან – სისხლის ბრუნვა, გულისცემა, პულსაცია, სუნთქვა, სიცოცხლე და სიკვდილი რაც შიდა და გარე კოსმოსის ერთიანობას გამოხატავს. აი, გზა მაღალი მწვერვალების დაპყრობისა და მან საკუთარი ცხოვრებით დაგვარწმუნა, თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს და იღვწოდეს ჭეშმარიტი შემომქმედი.

საქართველოს ბუნებამაც მის შემოქმედებაში თითქოს ახალი იერი შეიძინა. მისი ზვიადი, დიდებული მშვენიერება, მისი ხელუხლებელი მწვერვალები, შავი ზღვის, ენგურის, ალაზნის, არაგვის მედგარი ძალა და ენერგია აცოცხლებდა და ამდიდრებდა მის შემოქმედებას. თუმცა, უპირველესი მაინც ადამიანი, მისი ძლევამოსილება, ქართველი კაცის სიმედგრე, შეუპოვრობა, მისი სიბრძნე და სამართლიანობისთვის ბრძოლის ჟინი იყო უპირველესი. წარსულის რეალურად წარმოჩენა და მის მომავალი თაობებისთვის გაცნობა.

ყოველივე ამისთვის მწერლური სიფხიზლე და დღენიადაგ ცდა იყო საჭირო, რომ მომავალმა თაობამ შეინარჩუნოს და გააღვივოს ისეთი ღვთიური ნაპერწკალი, რომლის გარეშე წინსვლაზე ოცნება გამორიცხულია.

მწერალი გადამდები მაგალითია და კომპრომისს არ უნდა გაურბოდეს. თუ დაუდგა არჩევანის გარდუვალობა, უნდა ეყოს ძალა, აირჩიოს უკიდურესი და სახიფათო. სწორედ შინაგანი ჰარმონიულობა იყო საფუძველი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა ბატონმა ჭაბუამ.

ქართველი ერისა და სამშობლოს ერთგულების გარეშე არ გადაუდგამს ნაბიჯი. არ ყოფილა ხელისუფლებასთან მიტმასნილი. დარჩა პირუთვნელ და მართალ შემომქმედად. ჩვენი ვალია ვიყოთ ერთგული იმ ღირებულებებისა, რომელიც მან გვირგვინად დაგვიტოვა და გვიანდერძა.

როგორც სხვებს, მეც მახსენდება ხანმოკლე, მაგრამ შთამბეჭდავი ურთიერთობა ბატონ ჭაბუასთან. 1993 წელს, მწერალთა კავშირმა მოაწყო ჭაბუას 70 წლის იუბილე. სამწუხაროდ ორი წლის დაგვიანებით, საქართველოში მიმდინარე შიდა პოლიტიკური დაძაბულობიდან გამომდინარე. შეხვედრას უძღვებოდა მწერალთა მაშინდელი თავკაცი, გურამ ფანჯიკიძე. მომეცა ბედნიერება მივსალმებოდი და სამეგრელოს შემოქმედებითი ინტელიგენციის სახელით გამომეთქვა უდიდესი სიყვარული და მოწიწება მისი ღვაწლისა და წარმატებული შემოქმედებისათვის. როგორც სჩვეოდა, გულთბილად გამიღიმა და ხელის ჩამორთმევით გადმომცა ისეთი სითბო, რომელიც თან მომყვება დღემდე.

სხდომის დასასრულს, მახსოვს მისი მორიდებული თხოვნა უფლისადმი, ორიათას წლამდე მაცოცხლეო. უფალმა შეისმინა მისი ვედრება და ბერად აღკვეცილმა დღემდე იცხოვრა. ჩვენდა საბედნიეროდ და სასიქადულოდ.

მიუხედავად ხანგრძლივი სიცოცხლისა, მაინც ვერ ურიგდები მის გარდასვლას უკვდავებაში. თუმცა მჯერა, როგორც ჩირაღდანი ღამის მანათობელი, მარად ისხივოსნებს.

ბორის დავითაია.
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

სამეგრელოს ღირსეული შვილები

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

გენერალი შალვა მაღლაკელიძე ზემოთ ნახსენებ თავის მოგონებებში ზოგიერთ ცნობას გვაწვდის საშა (ალექსანდრე) ერისთავზე, მაგრამ ეშლება, როცა მერი შერვაშიძის ქმრად ასახელებს მის ერთ-ერთ ძმას, მიტუშას. ცნობილია, რომ მერი შერვაშიძის მეუღლე იყო გიგუშა ერისთავი. სხვა მხრივ, გენერალ მაღლაკელიძის ცნობები სანდო ჩანს: **„საშა, ალექსანდრე ერისთავი იყო მეფის ამალის გენერალი, ქართლიდან ცხრაასხუთ წელს წასულა რუსეთში მისი ოჯახი. საშა ერთ-ერთი შვილი იყო, ნახევრად გარუსებული, ცოლიც რუსი ჰყავდა, შვილი არ ჰყავდა. დენიკინის არმიაში იყო, მისი ახლობელი კაცი იყო და ცხოვრობდა პარიზში. მისი ძმა მიტუშაც გენერალი იყო, ცნობილი, ულამაზესი ქალის, მერი შერვაშიძის მეუღლე. ნიკოლოზ მეორემ უთხრა მერი შერვაშიძეს: „ვი, კნიაგინია გრეშიტე პერედ პრირიოდო“ – ბუნებასაც არ შეუქმნია ასეთი სილამაზეო.**

ალექსანდრე იყო მეფის საარტილერიო პოლკის უფროსი“ (გვ. 145).

ისინი ხშირად ესწრებოდნენ რასპუტინის ღრეობებს და გვანჯი ჩიქოვანს კიდევაც აქვს აღნიშნული, რომ რასპუტინის მოკვლის შემდეგ ორივენი დააპატიმრეს, ალბათ, როგორც ეჭვმიტანილები.

ერთგან არონ სიმანოვიჩს აღწერილი აქვს სახელგანთქმული რუმინელი მევიოლინის გულესკუს მიერ გამართული სადილი და ჩამოთვლილია ამ სადილზე მიწვეული სტუმრები: **„კავკასიელი თავადი ნიკოლოზ ნიჟარაძე (ეს უნდა იყოს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი კოლია ნიჟარაძე, რომელიც გვანჯი ჩიქოვანმა ირკუტსკში გაიცნო, ფრონტზე მოხალისედ წასული), მეფის კამერგერი ივანე ნაკაშიძე, წითელი ჯვრის მთავარი სამმართველოს წევრი უჩა დადიანი, მეფის ფლიგელ-ადიუტანტი ალექსანდრე ერისთავი (სწორედ იგი დააპატიმრეს რასპუტინის საქმეზე, თავის ძმასთან, ნესტორთან ერთად), ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი და ცნობილი სეფექალის მამა თავადი ორბელიანი...“** (ეტყობა, **„კავკასიელი“** სიმანოვიჩისთვის **„ქართველის“** სინონიმი იყო). იქედან თანამეინახენი გრაფინია ზარნეკაუს სახლში გადასულან და ნამდვილი ქართული ქეიფი გაუჩაღებიათ. ამ დროს გრაფინიას სახლს სასახლის ავტომობილით მისდგომია მეფის ფავორიტი ალეკ ამილახვარი და მათთვის გადაუცია ხელმწიფის მიწვევა და ყველანი ცარსკოე სელოში გაშურებულან.

არონ სიმანოვიჩი გრაფინია ზარნეკაუს კი ახსენებს, მაგრამ მის ვინაობაზე არაფერს ამბობს. ამ მხრივ, თავის მოგონებებში, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის სერგეი ვიტე. მას კიევში გაუცნია გრაფინიას მეუღლე კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგელი, დროსტარების მოყვარული ფრიად მხიარული კაცი. გაუთავებელი ლოთობის, ფულების ფლანგვის და აზარტული თამაშების გამო იგი პეტერბურგიდან კავკასიაში იყო გადასახლებული, ქუთაისში პოლკის მეთაურად დაენიშნათ და ახლა კიევში დასთან იყო ჩამოსული. ქუთაისში მას შეყვარებია იქაური ოფიცრის ცოლი. ის ქალი, აგრაფინა ჯაფარიძე, ქმარს (ტარიელ დადიანს) გაყრია და ამ კონსტანტინე ოლდენბურგელის მეუღლე გამხდარა, რის შემდეგაც მიუღია საგრაფო ტიტული და გრაფინია ზარნეკაუდ იწოდებოდა. ვიტე მას აქებს, როგორც გონიერსა და სასიამოვნო გარეგნობის ქალს, პეტერბურგის მაცხოვრებელს, მაგრამ იქვე დასძენს, კულტურა აკლდა, ფრანგული ლაპარაკი უჭირდაო. ვიტე აგრაფინა ჯაფარიძესა და ტარიელ დადიანს გვარ-სახელებით არ მოიხსენიებს, მაგრამ მათი ოჯახური ამბავი თავის დროზე დიდად ყოფილა გახმაურებული და ძველ ქუთაისში თურმე ხალხურ ყაიდაზე გაწყობილი სახუმარო ლექსიც იმღერებოდა:

აგრაფინა კისკისა,
ტარიელმა პრინცს მისცა.

ვიტე აღნიშნავს, რომ რუსი ოლდენბურგელები იმპერატორის, ეკატერინეს ფსიქიურად დაავადებული ვაჟის პავლე პირველის შთამომავლები იყვნენ და თითქმის ყველა თაობის წარმომადგენლებს ეტყობოდათ გადახრა, არანორმალურობა, რაღაც უცნაურობა. კონსტანტინე ოლდენბურგელმა სიცოცხლის ბოლომდე ვერ მიატოვა ლოთობა, მუდამ ვალებში იყო. თავის სისხლით ნათესავს, გულმოწყალე ნიკოლოზ მეორესაც სძალავდა ფულს და ბოლოს ნიცაში გარდაცვლილა.

აღსანიშნავია, რომ გადასახლებიდან გამოპარული და საქართველოში მცირე ხნით, ნამალევად ჩამოსული გვანჯი ჩიქოვანი სულ პირველად გაგრაში მის მაშინდელ მფლობელს ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელს ეწვია, კონსტანტინეს ძმას. ცხადია, გვანჯის მიესვლებოდა მის ოჯახში. კონსტანტინესაგან განსხვავებით, ალექსანდრე ოლდენბურგელი ჭკვიანი ორგანიზატორი, უნარიანი, დიდი ქონების პატრონი, მაგრამ მომჭირნე კაცი ყოფილა. ვიტე ოხუნჯობს, ქველმოქმედებას ეწეოდა, მაგრამ ამას სახელმწიფო ხაზინის ხარჯზე აკეთებდაო. ნიადაგ ვალებში ჩამხრჩვალი და წაგებაში მყოფი გალოთებული ძმა მასაც ხშირად სთხოვდა ფულს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, იგი იმპერატორივით გულუხვობას არ გამოიჩენდა გრაფინია ზარნეკაუს მეუღლის მიმართ.

იმპერატორმა იცოდა თავისი პირადი დაცვის, ქართველი ოფიცრების სათაკილო მიდრეკილებები (აზარტული თამაშობანი, გაუთავებელი ღრეობები). მაგრამ სამაგალითო ერთგულების გამო ყველაზე მეტად მაინც მათ ენდობოდა. მეფე ხშირად იხდიდა თურმე ქართველების მიერ კარტში ნაგებულ ფულს. აქვე მოთხრობილია ის ანეკდოტური შემთხვევაც, უჩა დადიანმა წაგების შემდეგ საკუთარი ეპოლეტები რომ დააგირავა და ამის თაობაზე ხელმწიფეს გაენდო, ვალის დაფარვა სთხოვა. ნიკოლოზი, ჩანს, ქართველების ასეთი საქციელის გამო გულისწყრომას არ გამოსთქვამდა, ითმენდა.

როცა თებერვლის რევოლუციის შემდეგ ნიკოლოზ მეორეს გადადგომა მოსთხოვეს და ტახტზე უარი ათქმევინეს (ეს გააკეთეს გენერალმა რუზსკიმ, სათათბიროს დეპუტატებმა შულგინმა და გუჩკოვმა), სიმანოვიჩი მართებულად შენიშნავს, მათდა ბედად, იქ არ იყო მეფის პირადი დაცვა (იგი ქართველ ოფიცრებს გულისხმობდა), თორემ კაცმა არ იცის, როგორ წავიდოდა საქმე, ვერცერთი მათგანი ცოცხალი ვერ გადარჩებოდაო.

ჩემს თაობას, ჩემზე უფროსებსაც კარგად ახსოვთ არისტოკრატული წარმოშობის მსუქანი, ტანდაბალი მოხუცი (იგი კინოსტუდიაში მუშაობდა), სიძველეთა საუკეთესო მცოდნე, კოლექციონერი და შესანიშნავი მთარგმნელი, აკაკის ნათესავი, ბატონი პაპუნა წერეთელი, რომელიც სიამოვნებით გვიყვებოდა ხოლმე გარდასულ დროთა ამბებს. იცოდა ბევრი რამ, რაც ხდებოდა რუსეთის ხელმწიფის კარზე. იგონებდა თავის ახლობელთა, თვალით მხილველთა მონაყოლს, როგორ სადად, უბრალოდ ეცვათ რიდითა და ზრდილობით აღსავსე იმპერატორის შვილებს, ხალხისგან მალულად (ამას შემდგომშიაც მალავდნენ), ლენინისა და სვერდლოვის ვერაგული მითითებით ეკატერინბურგში, **„იპატიევის სახლის“** სარდაფში ჩაყრილები, დედ-მამასთან და ოჯახის წევრებთან ერთად, ასე უმოწყალოდ რომ ჩახოცეს 1918 წლის 17 ივლისს. დღეს მთელ მსოფლიოს მიაჩნია, რომ ბოლშევიკთა მიერ ჩადენილი უთვალავი სისხლიანი დანაშაულიდან ეს მკვლელობა ყველას აღემატება. ბატონი პაპუნა იმასაც გვეტყოდა, რა მრავლად ტრიალებდნენ მეფის სასახლეში ქართველი თავადიშვილები, ქართული სისხლის მქონე ულამაზესი ფრეილინები, საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ბევრ რუს არისტოკრატს დედა ქართველი ჰყავდა (აგრეთვე დიდგვაროვანი), უძველეს ქართულ ტრადიციებზე იყვნენ აღზრდილები და ხასიათი, რაინდული ქცევა, მანერები, თვით შესახედაობაც ქართული ჰქონდათ. ამის საუცხოო მაგალითად ბატონმა პაპუნამ დაასახელა უჩვეულოდ ლამაზი პაშა დადიანის ბრწყინვალე ვაჟი, გვარად ვიტგენშტეინი (გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში მისი სახელი ნახსენები არაა და პირველად ჩვენმა დიდებულმა ქალბატონმა, საუკუნეს მიტანებულმა ბაბო დადიანმა მითხრა, რომ ალექსანდრე ერქვა), იმპერატორის ნათესავი, რომელმაც მატარებელში ქალთან გამოჩენილი უტაქტობის გამო, დუელში გამოიწვია იმ ქალის თანმხლები გენერალი და კიდევაც შეაკვდა. გენერალმა მასთან ერთად ღამეგათეულ, ვაგონის ფანჯარასთან მიმდგარ ქალს, საყვარელს, ხუმრობა-ხუმრობაში **„უადგილო ადგილას“** ხელი ჩამოჰკრა. აკისკისებულ ქალს სახე შეეცვალა, თანაგრძნობისათვის ვიტგენშტეინს შეხედა და კუპეში შევარდა. ვიტგენშტეინმა უცხო, თუნდაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალის მის თვალწინ დამცირება პირად შეურაცხყოფად ჩათვალა, დაიჟინა დუელი და სასიკვდილოდ დაიჭრა. აქ შეიძლება უნებურად გაგვახსენდეს შოპენჰაუერის ერთი სკეპტიკური გამონათქვამი: **„რაინდული ღირსება ამპარტავნობამ და უგნურებამ წარმოშვა“**, მაგრამ ჩვენებური სულისკვეთებით გაზრდილი ვაჟკაცი, ეტყობა, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. სანამ სული ამოხდებოდა, მომაკვდავი ნიკოლოზ მეორეს ახლობლურ ბარათს სწერდა, რომ ყველაფერი წესების დაცვით მოხდა და გენერალი (მას მხოლოდ ქუდი გაუხვრიტა სიმწრისგან ჩაჩოქილი ვიტგენშტეინის საპასუხო ტყვიამ) არ დასჯილიყო. ამ საუბარს ჩემთან და რამდენიმე კაცთან ერთად ჩვენი ძვირფასი რევაზ ინანიშვილი უსმენდა. მოგვიანებით მან დაწერა უბრწყინვალესი ნოველა **„ფრთხებიან ყვავები დამბაჩის ხმაზე“?** რეზოს ეპიგრაფად მოაქვს ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიის ცნობა, რომ ვიტგენშტეინები იმჟამად გაქრობის პირას მისული რუსი თავადები არიან. სინამდვილეში ეს არის ავსტრიული წარმომავლობის უძველესი არისტოკრატიული გვარი. ნოველის ავტორი, გარდა იმისა, რომ დიდებულ, დაუვიწყარ პორტრეტს ხატავს, გმირის შინაგან სამყაროში ჩაწვდომის იშვიათ უნარსაც ავლენს. დასაღუპავად განწირულ ვიტგენშტეინს რომ ეცა იღლიებში შეუდგებიან და სადგურის მოსაცდელში შეიყვანენ, როგორც ითქვა, იგი იმპერატორის სახელზე ბარათის დასაწერად სანერ-კალამს ითხოვს. აქ საყურადღებოა ერთი თითქოსდა უბრალო, მაგრამ განსაცვიფრებელი დეტალი, რისი დანახვა და გადმოცემაც მხოლოდ ნიჭიერი ოსტატის თვალს შეეძლო: **„შინდისფერ ჩოხაზე თითქმის არ ეტყობოდა სისხლი“.** იმის წარმოსადგენად, თუ რაოდენ ძლიერი, მომხიბლავი ნაწარმოები შექმნა ჩვენმა მარად დაუვიწყარმა მწერალმა და მეგობარმა, ამ ნოველის ერთი გვერდი მაინც უნდა ამოვიწეროთ:

„თავადი ვიტგენშტეინი, რუსეთის იმპერატორის ახლო ნათესავი, სამეგრელოს მთავართა უმშვენიერესი შთამომავლის პაშა დადიანის ვაჟიშვილი თბილისიდან პეტერბურგს მიემგზავრებოდა მატარებლით. ამ ჯერაც ისევ ახალგაზრდა კაცს, ლეიბგვარდიის პოლკოვნიკს, ბავშვობა დედულეთში ჰქონდა გატარებული, მოსწავლეობის წლებშიც, არდადეგებზე, ჩამოდიოდა ხოლმე სამეგრელოში. იცოდა მეგრული, ცოტა ქართულიც. აღმერთებდა დედას, უყვარდა ქართველი ნათესავები. მათთან, ნათესავებთან თავი ისე ეჭირა, როგორც ზრდილ მეგრელ ყმაწვილს შეჰფერის (გამოცდილი თვალი მაინც შეამჩნევდა გერმანულ პედანტიზმს), გაწაფული იყო ნახევრად ველური ჯოგის ცხენების ჭენებაში. ცხენიდან სროლაში, ტახებზე ნადირობაში. იცვამდა ჩოხას, ქართულ უძირო წაღებს, იხურავდა მეგრულ ფაფანაკსაც კი.

ახლაც, მატარებელში, ასე ეცვა — მწიფე შინდისფერი, თეთრქილებიანი ჩერქეზული ჩოხა, პირისფერი ახალუხი, მუხლქვემოთ სადა ლეკვერთხებშემოჭერილი უძიროები. ეკიდა სპილოს ძვლის ტარიანი ხანჯალი. შესაშურად აღნაგი, წელში ლარივით აჭიმული, თავისი სხეულის საამოდ მფლობელი, ან წიგნს კითხულობდა კუპეში, ან არადა ვაგონის ფანჯარასთან მდგარი, ხელებუკანდაწყობილი, მშვიდად გაიყურებოდა გარეთ. თვალს მოგტაცებდათ მისი მაღალი კისერი, კავკასიური პატარა, მკვრივი კეფა, ზემოთ წასული წარბები, ოდნავ კეხიანი, თხელი ცხვირი და თხელივე ტუჩები. სამხრეთულად მზემოკიდებულს, მაინც შერჩენოდა ჩრდილოეთური მოყვითალო სიფითრე. იშვიათად, რომ ვინმეთი დაინტერესება შეტყობოდა სახეზე, თუმცა ვერც იმას იტყოდით, ყურადღების გარეშე დაეტოვებინა ვინმე. ძალდაუტანებელი თავაზიანობით გაატარებდა ხოლმე ვაგონში გამვლელებს. მქრქალი ღიმილით უსმენდა გამოლაპარაკების მსურველთ, მორჩილად ხრიდა თავს, მიუგებდა უმთავრესად შეკითხვებზე და თუ გრძნობდა, რაღაც არ ხდებოდა ისე, როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვდა, ოდნავ გვერდზე გადაჰქონდა მზერა“.

ასე დავტოვოთ იგი — ცოცხალი, თავადურად ამაყი, მშვენიერი. აი, ამ ჯიშიანი რაინდის ელეგანტურ მიხვრა-მოხვრას ვხედავთ, მის კეთილშობილურ ხმას ვისმენთ გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში (გვანჯიც არ ახსენებს მის დაღუპვას) და უფრო ამიტომაც დავაკვირდით მის განუმეორებელ პიროვნებას, მისი ფოტოსურათიც ამის გამო მოვიძიეთ. ალექსანდრე ვიტგენშტეინის უნიკალური ფოტო, მის ბიძაშვილთან ნინო დადიანთან, დაღუპვამდე ალბათ ცოტა ხნით ადრე გადაღებული, მოგვაწოდა ქალბატონმა საშურა შენგელაიამ, რომელმაც ალმოდებული გაგრიდან (მისი მამაპაპეული სახლი კაციჭამიებმა და მათი მხარის ამბმელმა ველურმა ბანდებმა დაწვეს) მხოლოდ საოჯახო ალბომის წამოღება მოასწრო.

რუსეთ-იაპონიის ომის დროს გვანჯი ჩიქოვანი სწორედ ალექსანდრე ვიტგენშტეინის პარტიზანულ შენაერთში ირიცხებოდა, რაც ადრე უკვე აღვნიშნეთ. მანამდეც და მერეც ბევრი რამ გადახდა თავს. ამ ამბებში ზოგი ძალზე დაძაბული, დრამატულია, ზოგიც – შედარებით უბრალო, ჩვეულებრივი. ერთი ფანტასტიკური შემთხვევა კი ნამდვილად აღნიშვნის ღირსია.

მონღოლეთში, უდაბურ ადგილას, ცხენების შესაძენად და ჩამოსაყვანად წასული გვანჯი და მისი ამხანაგები უეცრად გაიგონებენ ნაღვლიან მეგრულ სიმღერას **„ჰოუ ნანას“**, რომელსაც თეთრწვერა, ადრე კაცის შემოკვდომის გამო კატორღაში გაგზავნილი და სახალინიდან გამოქცეული, შემდეგ კი მონღოლ თავად განთიმიროვთან მოჯამაგირედ დამდგარი, მოხუცი მეგრელი მწყემსი, ჟვანია მღერის. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაოცდებოდნენ ამის გამგონენი და მხილველნი.

ზღაპრულ, დაუჯერებელ ამბავს ჰგავს თვით ჟვანიას პატრონთან, განთიმიროვთან სტუმრობა და იქ გაგონილი. ოჯახის უფროსი, უცხო სტუმრების პატივსაცემად, მონღოლეთში ამ დროს კვიცს დაკლავს ხოლმე, მაგრამ რახან განთიმიროვმა მოსულთა ქართველობა შეიტყო, ცხვრები დააკვლევინა, გრძელ მაგიდაზე სარდაფიდან ამოტანილი შამპანურის ბოთლები დააწყეს და დიდებული ლხინი გაიმართა.

ნადიმზე ხუთ კაცს, დანარჩენი მონღოლებისგან განსხვავებით, შავი წვერ-ულვაში ამშვენებდა, რაც იმ მხარეში იშვიათობაა. გვანჯი, რუსულის მცოდნე თარჯიმანის მეშვეობით, მასპინძელს ამის მიზეზს ეკითხება. გაღიმებული თავადი პასუხობს, რომ მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში მის წინაპრებს, მონღოლებს, თითქმის მთელი მსოფლიო და მათ შორის კავკასიაც დაპყრობილი ჰქონდათ. ჩვენმა მთავარსარდალმა ჩინგიზ ყაენმა და სხვებმა თან წამოიყვანეს დატყვევებული ლამაზი მამაკაცები, ქართველები და ჩვენ იმათი შთამომავლები ვართო. ლხინის მოთავების მერე ცრემლმორეული მოხუცი მწყემსი, ჟვანია, კარგა დიდ მანძილზე აცილებს სასწაულებრივად მოვლენილ თვისტომებს და შეწუხებული მოსთქვამს, რომ მშობლიურ მიწაში დამარხვა არ ეღირსება.

ვერ ვიტყვი, რამდენად მართალი ვარ, მაგრამ ამგვარი აზრიც გამჩენია – გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში მრავალი ისეთი ეპიზოდია, რომ პროფესიულად დამუშავების, გაშლისა და კომპოზიციურად შეკვრის შემდეგ ძალზე საინტერესო სატელევიზიო ფილმის მასალად გამოდგებოდა.

შესაძლოა ჩემი ვალმოსახდელი გარჯა და ამ წიგნის გამოცემა ვინმემ არც ჩათვალოს საჭიროდ, აუცილებელ და საშურ საქმედ. კაცმა რომ თქვას, გვანჯი ჩიქოვანს იმდენი მადლი აქვს გაკეთებული და სამზეოზე ისეთი სახელი დასტოვა, მუდამ პატივით მოიხსენიებდნენ, ისედაც ცხოვრობს თავისი მადლიერი კუთხის, მთელი საქართველოს მეხსიერებაში, მრავალ ლექსსა თუ სიმღერაში და ამ ხსოვნას ულმობელი დროც ვერ წაშლის, მაგრამ დოკუმენტური მასალა, საპატიმროს კედლებში მისგანვე მოყოლილი, სხვა მხრიდან დაგვანახვებს, მეტ ნათელს მოფენს ამ მრავალჭირნახული პიროვნების მიერ ღირსეულად განვლილ დიდ გზას და, ვფიქრობთ, სხვა მხრივაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება. თუმცა საკმაოდ ბევრი დავწერე, ათას რაღაცას გადავწვდი, მაგრამ ერთი ამდენი ალბათ კიდევ დამრჩა სათქმელი იმის გადმოსაცემად, რა საფიქრალიც ჩემთვის ესოდენ ძვირფასმა ხელნაწერმა აღმიძრა.

ემზარ კვიტაიშვილი

გარძელება შემდეგ ნომერში)

“ანისტორესია” – ისტორიის არცოდნა

ქისტეთის უზარმაზარი მასის გადმოსახლება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ქართული სამეფო ხელისუფლების განმტკიცების ინტერესებს შეესაბამებოდა. ამიერიდან სამეფო ტახტის ძლიერება ქისტთა და ქართველ მთიელთა ერთგულებას ემყარებოდა. ქისტების ეს გადმოსახლებული მასა მალე გაქართველდა, მათი ცხოვრების კვალი შემორჩა ჩვენი მთიანეთის ტოპონიმიკაში: შონჩო, ოლიანჩო – მთიულეთში, დიხჩო – გუდამაყარში, ჭიშო – ფშავში, ნაყიჩო – თუშეთში, ესეჩო, ზეისტეჩო – ხევსურეთში და სხვა მრავალი.

ქისტეთის ნასოფლარებში უამრავი კოშკი ვნახეთ, რომლებზეც ჯვრებია გამოსახული; ვნახეთ ტყობაერდის და ალბიერდის ეკლესიები ქართული წარწერებით, შევესწარით სამაროვანთა გათხრებს, სადაც მიცვალებულები გულაღმა იწვნენ თავით დასავლეთისაკენ. ერთ სამარხში მედალიონიც აღმოჩნდა წმნდა გიორგის გამოსახულებით. ეს იყო ქრისტიანი ქისტების სასაფლაო. გროზნოს მუზეუმში ვნახეთ უამრავი თლილი ქვა და ქვაჯვარი ქართული ასომთავრული ასო-ნიშნებით...

იცით რა გვარის ხალხი ცხოვრობს ბამუტში? – მახაურები, ფერზაულები, სიგაურები, მარშაულები, გადამაურები, ხაიაურები, ქარსამაულები, სვიაკაურები... ისინი თავს მელხებად თვლიან, მელხისტის თემს კი პირიქითა ხევსურეთის მეზობლად მიუთითებენ. თურმე მელხებს და ხევსურებს შორის ქალის გათხოვება დაშვებული ყოფილა, მიუხედავად რელიგიური განსხვავებულობისა. მოყვრობა რა გასაკვირია, თურმე ქისტებს და თუშებს ნათელმირონით ნათესაობა მოუდოდათ. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, ფშავში, ლაშარის გორაზე ქისტების საჯვარე მინახავს, ხევსურეთში, ანატორის ჯვარში ქისტი და ხევსური ხუცესი ერთად ხუცობდა...

ქისტების წარმოდგენით მათი ამინდის ღმერთებია: ოჩი – ქართულად ვაჩი, ჰელი – ქართულად ელია, და დერზ ნანილგ – თოვლის დედა საქართველოში მყინვარწვერზე ბუდობდა.

მალხების ტომით მეგრელობას ადასტურებს სახელწოდება **“გერგეტი”**.

გერგეტი – ორწვერი, მყინვარი მყინვარწვერის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე. მდინარე ჩხერის (თერგის მარცხენა შენაკადი) სათავეში. ყაზბეგის რაიონი.

გერგეტი – ყოფილი სოფელი ყაზბეგის რაიონში (შეუერთდა ყაზბეგის დასახლებას) მდინარე ჩხერის მარჯვენა ნაპირას. აღსანიშნავია გალავნით შემოზღუდული ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელშიც შედის სამების გუმბათოვანი ტაძარი (XIV საუკუნის 30-იანი წლები), სამრეკლო (XIV საუკუნის მეორე ნახევარი) და საბჭეო (XV საუკუნე). სამება ხევის უმთავრესი სალოცავია. 1392 წლის გუჯარში გერგეტის სამების ეკლესიასთან ერთად მოხსენიებულია **“არგუზე ციხე გერგეტული”**.

გერგეტული – ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი რიტუალური ცეკვა სამსართულიანი ფერხული. სრულდებოდა გერგეტის საქმების ხატობაზე.

წმინდა გიორგი მეგრულად მოიხსენიებოდა შემდეგი სახელებით: ჯეე, ჯგეგე, ჯგეჭე, გეგე და გერგე.

ჯეგეთა – სამწუხაროდ, ასეთი ეკლესია არ იცის საბჭოთა ენციკლოპედიამ, რომ ეკლესიის აშენების თარიღი დაგვედგინა. მაგრამ ის მაინც ვიცით, რომ სამეგრელოში იყო ტრადიცია წმინდა გიორგის სახელი ეწოდებინათ არ მარტო ეკლესიისათვის, არამედ იმ ამაღლებული ადგილებისათვისაც, სადაც ეს ეკლესია იყო აღმართული, რისი მაგალითიცაა სოფელი გერგეტი, ანუ წმინდა გიორგი.

გერგება თუთა – გერგობა თუთა (ნოემბერი, წმინდა გიორგის პატივსაცემად).

“გერგე-ტი” არის წმინდა გიორგის გამოსახვის მეგრული ფორმა. ბოლოსართი **“ტი”** ასევე მერულის (კოლხურის) ნახასიათებელია (რატი, ღლონტი, ჟღენტი, ბუხუტი, გუგუტი, ეგიტი, ჭკიჭკიტი). ზუგდიდის რაიონში არის სოფელი **“ერგეტა”**.

გვარში **“გეგე-ჭკორი” – “ჭკორი”** ნიშნავს მონას და გეგეჭკორი იკითხება – წმინდა გიორგის მონა. აქვეა გვარი გეგე-ში-(ძე) – გეგე-სი, ანუ წმინდა გიორგისი.

არამარტო მყინვარწვერის თეორი იდუმალება ადიქმებოდა წმინდა გიორგის სახებად, ასევე ყოველი ახალშობილი ცხოველი, სიცოცხლის დაწყება იწოდებოდა გერგედ.

გერგე – ასაკმცირე ცხენი და მისთანანი.

მეგრული **“გერგე”**-დან წარმოიქმნენ სიტყვები: შეგერგოს, გერგილიანი და ხატოვანი გვარი გერგედავა.

მყინვარ გერგეტიდან ჩამოედინება მდინარე ჩხერი, რომლის სახელწოდებაც ასევე მეგრულია. გაიხსენეთ ისტორიული სამეგრელოს აღმოსავლეთით, მარგველივში, ხარაგაულის რაიონში მდებარე სოფელი ჩხერი, რომელსაც ჩაუდის მდინარე ჩხერიმელა და სადაც აღმართულია ჩხერის ციხე. მეგრული სიტყვა **“ჩხერი”** ქართულად იკითხება **“ცხელი”**, მაგრამ ვისაც უცქერია მდინარე ჩხერისათვის (გინდ აღმოსავლეთით, გინდაც დასავლეთით), აქ სიტყვა ჩხერი უნდა გამოიყენებოდეს ცეცხლოვანის, მდუღარის მნიშვნელობით, იმდენად გიჟმაჟი, ქაფიანია ორივე მდინარის ღინება.

გერგეტობის მსგავსი მაგალითი იძიება ქართლში, გორის რაიონში (გ.შატბერაშვილი, IV ტომი, გვ. 17): სოფელ არბოში დღემდე მოღწეულია რელიგიური დღესასწაული გერითობა. ამ დღესასწაულის არსებობა დაფიქსირებულიც არის დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში **“გერისთობა, დღესასწაული წმინდა გიორგის დღეობისა 22 მარიამობისთვეს, არბოს სოფელში”**.

თვით სალოცავ ადგილებს გერი და თავგერი ჰქვია. გერი, თავგერი წარმართული ღვთაება უნდა იყოს, რომლის ადგილს შემდეგ ქრისტიანული გიორგობა დაფუძნებულა. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ დღესასწაულს ადრე **“გერ-გისთობა”** ეწოდებოდა. ამის უფლებას გვაძლევს ის ფაქტიც, რომ ქართლში მეგრული **“გერგე”** **“გერგი”**-ს ფორმით დაფიქსირებულია გვარში **“გერგი-ძე”** (ფალავანხოსრო ბარათაშვილის ყმა ლომიტა გერგიძე) გერისთობასთან დაკავშირებით. შესაძლოა სახელწოდება **“გერი”**-ს ჯ. გვასალიას განმარტება იყოს მართებული: **“პატარა ლიახვის ზოგი ტოპონიმიც აიხსნება მეგრულ-ჭანურ ნიადაგზე. პატარა ლიახვს მარჯვნიდან გერის ხევი ერთვის, რომლის სათავეშიც არის ქართლში განთქმული სალოცავი. აქ სალოცავად მოსული მოსახლეობა ხატს საქონლის მფარველობას და მგლებისგან თავდაცვას სთხოვდა. “გერი” მეგრულად მგელს ნიშნავს და შესანიშნავად უდგება სალოცავის შინაარსს”**. ჯ. გვასალიას განმარტებას დავუმატებთ, რომ სახელწოდება მდინარისა **“ლიახვი”** ასევე მეგრული წარმოშობისაა (ლია – ლამი; ლიახვი – ლამი უხვი).

გამორჩეული სიახლოვე ახასიათებს დუშეთის რაიონს მეგრულ სამყაროსთან. ცხვედიეთი – სოფელი დუშეთის რაიონში (რაჭაშია გავრცელებული გვარი ცხვედიანი) ტყიბული – მთა დუშეთის რაიონში და ქალაქი მარგველივში.

ნაროულა – მდინარე დუშეთის რაიონში (სამეგრელოში გავრცელებულია გვარი ნაროუშვილი.

ჩაძვისწყალი – მდინარე ქობულეთის რაიონში; ჩაქის-ხევი – მდინარე დუშეთის რაიონში.

ტანი – მდინარე ლანჩხუთის რაიონში; ტანიე – მთა, ტანიეს ტბა დუშეთის რაიონში.

ტანიშური – მდინარე ლენტეხი რაიონში.

ნოჯიკეთი – მთა და სოფელი, ნოჯიკეთის ხევი – მდინარე დუშეთის რაიონში; ნოჯი-ხევი – სოფლები მარტვილისა და ხობის რაიონში.

მილისი – სოფელი ქედის რაიონში, მილის წყარო – სოფელი დუშეთის რაიონში, მილისხევი – მცხეთის რაიონში.

მათარა – მთა მარტვილის რაიონში; მათურა – სოფელი მათური – უდელტეხილი დუშეთის რაიონში.

ჟინვალი – დაბა დუშეთის რაიონში; ჟინოთა – სოფელი მარტვილის რაიონში. ორივე მეგრული წარმომავლობი სახელწოდებებია; ჟინი – მაღალი.

ბორი, ბორითი – სოფლები ხარაგაულის რაიონში; ბორიმელი) მდინარე ხარაგაულის რაიონში, **ბორილოსხევი** – მდინარე დუშეთის რაიონში; გრიგოლაანთკარი – სოფელი დუშეთის რაიონში; გრიგოლეთი – ლანჩხუთის რაიონში; გრიგოლიში – სოფელი ზუგდიდის რაიონში.

ბაზალეთი – სოფლები დუშეთისა და ხარაგაულის რაიონებში.

ზენობანი – სოფელი გულრიფშის, ვანის, ჩოხატაურის რაიონებში; ზენუბანი – სოფელი დუშეთის რაიონში.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დუშეთის რაიონისა და ისტორიული აფშილეთის (ოჩამჩირის, გულრიფშის რაიონების) ტოპონიმთა ერთგვაროვნება.

ჯუნი (ჯუმბერ) კაკულია

(გაგრძელება იქნება)

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს ალეკო თოდუას ბიძაშვილის

ნინო თოდუას

გარდაცვალების გამო

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანაგრძნობას უცხადებს მუშნი გახარიას ძმის

სერგო გახარიას

გარდაცვალების გამო

კახა ბენდუქიძეს უნიკალური დენდროპარკის გაჩეხვის მცდელობაში ადანაშაულებენ

დიღომში, აგრარული უნივერსიტეტის აგროპარკს გაჩეხვა ემუქრება. ეს ინფორმაცია **“პარტიზანული მებაღეობის”** იდეის ავტორმა, ნატა ფერაძემ გვაცნობა. როგორც ნატა ფერაძემ განაცხადა, არსებული ინფორმაცია უტყუარია, თუმცა, ჯერჯერობით, მერიას დენდროპარკის გაჩეხვის ნებართვა არ გაუცია:

“წყაროს დასახელებისგან თავს შევიკავებ, თუმცა ნამდვილად ვიცი, რომ ამ უნიკალური ჯიშის ხეებს გაჩეხვა ემუქრება. როგორც მითხრეს, კახა ბენდუქიძეს ამ ტერიტორიაზე მშენებლობის წამოწყება აქვს დაგეგმილი”, – განაცხადა ნატა ფერაძემ.

არსებულ ინფორმაციას აგრარული უნივერსიტეტის რექტორი ლაშა გოცირიძე არ ადასტურებს. მისი თქმით, დენდროპარკს გაჩეხვა კი არ ემუქრება, არამედ პირიქით, მიმდინარეობს მისი თვითმზარდი მავნე მცენარეებისგან გაწმედა:

“ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მობრძანდეთ და ნახოთ, რომ ამ უნიკალური ჯიშის ხეებს საფრთხე არ ემუქრება. რაიმე უკანონო ქმედებას რომ ჰქონოდა ადგილი, მერიის ზედამხედველობის სამსახური შესაბამის ზომებს მიმართავდა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია მივიდეს მერიაში და გადაამოწმოს, რომ მათ მიერ ხეების გაჩეხვის ნებართვა გაცემული არ არის და არც ჩვენ მიგვიმართავს მათთვის”, – განაცხადა ლაშა გოცირიძემ.

“პარტიზანი მებაღეების” თავმჯდომარე, ნატა ფერაძე არც მერიას და არც აგრარული უნივერსიტეტს არ ენდობა. ფერაძე ამბობს, რომ მას აქვს ინფორმაცია, რომლის მიხედვით ჰოლანდიიდან გამოწერილი სპეციალური მანქანებით აპირებენ უნიკალური ჯიშის ხეების სხვა ტერიტორიაზე გადარგვას, თუმცა მისი მტკიცებით, 50 წლის ხეებს გადარგვის შემდეგ, გახარების შანსი ვერ ექნება:

“ჯერ ამბობენ, რომ ხეების თვითმზარდი მცენარეებისგან გაწმენდა მიმდინარეობს, მალე გეტყვიან, რომ სხვა ადგილას გადარგვას აპირებენ, ეს მერიის არაერთხელ ნაცადი ხრიკია. ადრეც მსმენია მათგან მსგავსი არგუმენტები”, – განაცხადა ნატა ფერაძემ.

შეგახსენებთ, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისში სარეკრეაციო ზონები საგრძნობლად შემცირდა. გამწვანებულ ტერიტორიებსა და პარკებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს მრავალი ასწლოვანი ნარგავი შეეწირა. 8 ივლისს ასათიანის ქუჩაზე, ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე, 42 ხე მოიჭრა, კუს ტბის ფერდობზე რესტორნის მშენებლობას კი შედეგად ე.წ. ციყვების ტერიტორიის მწვანე ნარგავებისგან გასუფთავება მოჰყვა.

ამდენად, სავსებით გასაგებია ქართველი ხალხის გულისწყრომა ქვეყანაში **“სამართლიანობის აღდგენის”** პროცესების დაყოვნების თაობაზე, რადგან სრულიად საქართველომ მეტწილად სწორედ სამართლიანობის აღდგენის იმედად მისცა ხმა **“ქართულ ოცნებას”**. ეს განსაკუთრებით ეხება **“ნეხვის კასრად”** წოდებულ კახა ბენდუქიძეს, რომელიც გამოირჩეოდა არა მხოლოდ უზრდელობით, არამედ მოხვეჭის მანიაკალური სურვილით, რისი წყალობითაც მან რამდენიმე ასეული მილიონი დოლარით გაზარდა საკუთარი აქტივები, გაყიდვით კი ყველაფერი გაყიდა სინდისის გარდა, რომელსაც ვერ გაყიდდა მხოლოდ იმიტომ, რომ მსგავსი რამ მას არასოდეს არ ჰქონია. ახლა კი, ვერა და ვერ მოიხელთა მართლმსაჯულებამ ეს პირწავარდნილი დამნაშავე, რაც იმის სერიოზულ ეჭვს აღძრავს, რომ არც **“ქართულ ოცნებას”** ეჩქარება ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა.

იბერიული ენა და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა

ის თვისებები, ძალები, სურვილები, რაც ყველა ეროვნების ადამიანს გააჩნია, იბერიულ ბგერა-სიტყვებს თავიანთი მნიშვნელობებით რომ არ შემოენახა, შეიძლება ზოგადი ფორმით გამოეხატათ ისე, რომ ამ და ამ თვისების ადამიანმა მიმართა ღმერთს და, მიაჩნდა რა თავისი თვისება სხვებთან შედარებით უპირატესად, თავის განსაკუთრებულობას უმტკიცებდა შემოქმედსო და აქ ასონიშნები არაფერ კავშირში არ იქნებოდნენ სამყაროს შექმნასთან. მაგრამ ადამიანთა ეს თვისებები დასაბამიერ იაფეტურ-იბერიულ მეტყველებაში აისახა უზენაესის ნებით და იბერიულმა ბგერებმა, ერთადერთმა დედამიწაზე, თავიანთი მნიშვნელობებით შემოგვინახა. ალბათ, ღვთისგან ნაბოძებ ამ უდიდეს საგანძურს **დახარბდნენ** ებრაელი ბრძენები და რაკი იბერიულ ბგერა-სიტყვების მნიშვნელობათა თავიანთ ენაში დანერგვა შეუძლებელი იყო (შეუძლებელი იყო, რადგან ბგერა-სიტყვების შექმნა და მათი მნიშვნელობების მიღება მხოლოდ ღმერთს შეუძლია), ეს მნიშვნელობები (თვისებები, ძალები, სურვილები) ამ ბგერათა აღმნიშვნელ ებრაულ ასონიშნებს მიაწერეს და თავიანთი ენა და ასონიშნები **„წმინდა ენად"** და **„წმინდა ასოებად"** გამოაცხადეს. გადმოცემიდან ცნობილია, რომ ჩვენს უძველეს წინაპრებს ჰქონდათ სიბრძნის წიგნი **„ეფუთი"**, რომელიც ჩვენამდე არ მოღწეულა და მახსოვს ბავშვობაში, ებრაელი ვაჭრები სოფელ-სოფელ დაეძებდნენ ამ წიგნს და აღმოჩენის შემთხვევაში ძალზე დიდ თანხას გვპირდებოდნენ (ხომ არ შემოინახეს თვითონ ბრძენმა ებრაელებმა ეს წიგნი, დღეს ჩვენ მას უკეთ გამოვიყენებდით).

ვაგრძელებთ თხრობას **„ზოჰარი"**-დან, რომელსაც შეუძლებელია არ დაეთანხმო: **„აღწერა სულიერი ძალებისა აღნიშნული თითოეული ასონიშნით, არაჩვეულებრივად ღრმაა და რომ ამოვხსნათ ყველაფერი, აუცილებელია დავძლიოთ კიდევ რამდენიმე წინასწარი განმარტებანი: სამყაროს შექმნა, მოიცავს თავისთავში მის არსებობას და შემდგომ სრულყოფას, რომ სამყარომ მიაღწიოს იმ მიზანს, რისთვისაც შექმნილია.**

შემოქმედმა შექმნა სამყარო, შედგენილი ორი ურთიერთ საწინააღმდეგო ძალებისაგან და ყოველი წმინდა, ალტრუისტული ძალის წინააღმდეგ შექმნა არაწმინდა, ეგოისტური ძალა, ტოლი და საწინააღმდეგო (ეს ჭეშმარიტება რამდენადაა ასახული იბერიულ ენაში ქვემოთ დავინახავთ, კ.ფ.).

ამიტომ (დამკვირვებლის თვალთახედვით, კ.ფ.) ჩვენს სამყაროში, უმდაბლესი საფეხურის სამყაროში, თავისი თვისებებით სულიერად წმინდა სამყაროში გასული, შემოქმედის შემგრძნობი ადამიანი სრულებით არ განსხვავდება ეგოისტური, სულიერად განუვითარებელი, სულიერ სამყაროში შეუღწეველი ადამიანისაგან. ეს ნიშნავს, რომ სულიერის შეუგრძნობს სულაც არა აქვს შესაძლებლობა განასხვაოს სულიერად წმინდა არაწმინდასაგან.

ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენს სამყაროში არ არის ძალები წინმავალი წმინდა ძალებით, პირიქით, ეგოისტური მისწრაფებები აძლევენ ადამიანს ძალას დაეუფლოს ყველაფერს სამყაროში. რა ხშირად შეიძლება დავინახოთ აღფრთოვანებული ფანატიკები, დატვირთულნი არაწმინდა მისწრაფებებით, მიიღონ დღევანდელი და მომავალი სამყარო, მაგრამ სრულებით არა აქვთ ძალა მიმსწრაფი შემოქმედისკენ მცირედი სულიერი მოძრაობით მაინც. ჩვენს სამყაროში არ არის არავითარი მტკიცებები და დადასტურებები, რომ ადამიანი მიდიოდეს უტყუარი გზით. და უკვე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები, გამომდინარე საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, ანუ **„საღ აზრზე" დაყრდნობით"** (იქვე გვ. 304). აქ აბსოლუტური ჭეშმარიტებაა გადმოცემული. კაცობრიობის ტანჯვა ათასწლეულების განმავლობაში, ომები და ურთიერთ ხოცვა, სამყაროსეული (ღვთიურ) კანონზომიერებათა შეუცნობლობის, სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უუნარობის, და კიდევ, თავიანთი ეგოისტური მისწრაფებების დაუძლევლობისა და ამ კანონზომიერებებთან ჰარმონიული თანაცხოვრების მიუღწევლობის შედეგია.

„ასეთ შემთხვევაში როგორ იარსებოს ადამიანმა და როგორ წაიწიოს შემოქმედის მიზნისკენ ჩვენს სამყაროში მყოფმა, თუ ის არაა იმ მდგომარეობაში, რომ განასხვაოს კეთილი და ბოროტი, ანუ წმინდა არაწმინდისგან? მაგრამ არის ერთი ნიშანი, რომლითაც შეიძლება განვასხვაოთ წმინდა არაწმინდასგან. რა ნიშანია ეს? – არაწმინდა ძალა ვერ მოიტანს სულიერ ნაყოფს და ამიტომ არაწმინდა სამყაროებით მავალნი ვერ მიწვდებიან ვერაფერს სულიერს. ხოლო დაკავშირებულნი წმინდა ძალებთან აღწევენ სულიერ ნაყოფამდე თავის გზაზე.

თუ ადამიანი მიდის სწორი გზით 3-5 წლის განმავლობაში წვდება თორას საიდუმლოებებს. ალტრუისტული (უანგარო გაცემის) შესაძლებლობის მიღწევის მსურველებს შემოქმედი უფრო ეხმარება, რაზეც თვითონ თხოვენ ისინი შემოქმედს და, ამგვარად, ადამიანი აღწევს სასურველს. ადამიანი თავისი პატარა სურვილით მიისწრაფვის შემოქმედისკენ ქვევიდან ზევით, ლოცვით (Ma"H-ით), ხოლო შემოქმედი აფრქვევს ადამიანს ზევიდან ქვევით (Ma"Д) უზარმაზარ უმაღლეს სურვილებს და ძალებს.

და ეს ერთადერთი შესაძლებლობაა შეამოწმოს, სწორი გზით მიდის თუ არა ადამიანი, ალტრუიზმისკენ მიდის, თუ უფრო ეფლობა ეგოიზმის ჭაობში. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შემოწმება ჩაითვალოს სწორად, მისი კარგი თვითშეგრძნებით, მისი აღფრთოვანებებით და წარმატებებით. სახელდობრ, სრულყოფილების, კმაყოფილების და კეთილდღეობის შეგრძნებაში თავისი სულიერი მდგომარეობისას, ვალდებულია შეეკითხოს თავის თავს: „შევწვდი თუ არა მე თორას საიდუმლოებებს?" და თუ კიდევ ვერ შეწვდა, მაშინ მისი "სრულყოფილება" არაწმინდაა" (იქვე, გვ. 304-305).

მაგრამ როგორ მიხვდეს შეწვდა თუ არა ადამიანი თორას საიდუმლოებებს?

– „თავის გზაზე ადამიანი მუდამ ვალდებულია მიაღწიოს შუა ხაზს – რწმენისა და ცოდნის წონასწორობას – სამ ცნებაში: შემოქმედის, მისი მმართველობისა და თორასი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავიდეს მხოლოდ რწმენით, ან მხოლოდ ცოდნით. თუ სურს მხოლოდ შემოქმედის, მისი მმართველობისა და თორას შეცნობა (რწმენის გარეშე, კ.ფ.) – მაშინ ის შედის სულიერ სიბნელეში, რამდენადაც შეუძლებელია სიბრძნის ნათელის მიღება გულმოწყალების ნათელის (გაცემით ნეტარების შეგრძნების, კ.ფ.) გარეშე" (იქვე, გვ. 305), რადგან მხოლოდ ეგონება შეიცნო შემოქმედი, მისი მმართველობა და თორა, ხოლო სინამდვილეში, არა თუ შეიცნო, არამედ შემდგარიც არ იქნება ადამიანი მათი შეცნობის გზაზე.

„ასეთ მდგომარეობას ეწოდება მარცხენა არაწმინდა ძალა "klipat eisav". თუ ადამიანი მიისწრაფვის იაროს მხოლოდ რწმენის გზით, მაშინ შედის მარჯვენა მხარის არაწმინდა ძალაში "klipat iSmael", რომელიც ეუბნება მას, რომ ის იმყოფება სრულყოფილებაში და ნიშნავს მისი გზა არასწორია, რადგან ვერ წვდება მისი განზრახვა "შემოქმედის გულისათვის", თორას საიდუმლოს გახსნას" (იქვე, გვ. 305).

„შემდეგ სტატია მოგვითხრობს, როგორ წარსდგნენ ასონიშნები რიგრიგობით შემოქმედის წინაშე თხოვნით მის თვისებებზე დაყრდნობით შეექმნა სამყარო, რადგან თითოეული მათგანი თვლიდა, მისი თვისებებია შესაფერისი სამყაროს შესაქმნელად, რადგან მისი თვისებები მიიყვანს სამყაროს მაცხოვრებლებს სრულ გამოსწორებამდე. მაგრამ როგორც ვნახეთ, მხოლოდ ასონიშანი beT-ი ჩათვალა შემოქმედმა ღირსად მისი თვისებებით შეექმნა სამყარო, „რადგან მხოლოდ მასშია შესაძლებლობა მოვახდინოთ კეთილისა და ბოროტის ანალიზი, განვსაზღვროთ როდის მუშაობს ადამიანი თავისთვის და როდის შემოქმედის სიამოვნებისთვის, რამდენადაც მასში არაა საწინააღმდეგო არაწმინდა ძალა, რამდენადაც მხოლოდ მისი ძალით, მისი თვისებებით შეიძლება სამყაროს არსებობა: გამოჰყოს წმინდა სურვილები ადამიანური სურვილების საერთო "ნარევიდან", აამაღლოს წმინდა არაწმინდაზე, უკანასკნელის საერთოდ მოსპობამდე და თავისი ბუნების სრულ გამოსწორებამდე" (იქვე, გვ. 306), მაგრამ, როგორც გვმოძღვრავს „ზოჰარი", „მხოლოდ შემოქმედის დახმარება, წოდებული კურთხევად, წარმოადგენს ადამიანის მხსნელ ძალას, ერთადერთ შესაძლებლობას გამოვიდეს არაწმინდა ძალების ძალაუფლებიდან. და ეს ძალა წოდებული კურთხევად ეშვება მასზე, ვინც მიდის სწორი გზით.

სწორი გზა – ესაა სამი პირობის ერთობლიობა: ა) ადამიანის ძალისხმევა ჭეშმარიტი, კაბალისტური წყაროების (და მხოლოდ!) შესწავლაში; ბ) კავშირი ჭეშმარიტ კაბალისტთან, რომელსაც ღებულობს, როგორც მოძღვარს; გ) კავშირი სულიერად ამაღლების მსურველებთან" (იქვე, გვ. 306).

ცხადია, სულიერი ამაღლებისათვის აუცილებელი მეთოდი მათ კარგად აქვთ შემუშავებული, მაგრამ ბოლომდე მაინც არ არიან გულწრფელნი, რადგან აშკარაა, რომ იმ მნიშვნელობებს, რაც დედამიწაზე ერთადერთ იბერიულ ბგერა-სიტყვებს შემოუნახავს და ადამიანთა თვისებებს წარმოადგენენ, თავიანთ უსულო ასონიშნებს მიაწერეს და, შეუძლებელია, ამ მეთოდის შემმუშავებელი კაბალისტები, შეიძლება სიბრძნით კი, მაგრამ სულიერად ამაღლებული იყონ საჭირო დონეზე, რადგან შვილებმა იმ ერისა, რომლებმაც ქრისტე – მესია, მხსნელი, სრულყოფილების ეტალონი ჯვარს აცვეს და ეს ცოდვა ორი ათასი წლის შემდეგაც ვერ მოუნანიებიათ, შეუძლებელია, გულწრფელი იყო და თავისი სრული ცოდნა გაუზიარონ კაცობრიობას და საეჭვოა, აღიარონ, რომ მათ გამოიყენეს იბერიული სიბრძნის წიგნი **ეფუთი**.

იბერიულ ცნობიერებაში ასოები – ესაა სამეტყველო ბგერათა (რომელთაც სმენის ორგანოთი შევიგრძნობთ) აღმნიშვნელი ნიშნები, რომელიც, თავის მხრივ, მხედველობის ორგანოთი შეიგრძნობა და თავისთავად არავითარი სურვილი და თვისებები არ გააჩნია; რამდენიც არ ვუყუროთ ასონიშნის გრაფიკულ მოხაზულობას, მის სილამაზეს, ის არავითარ სურვილს და თვისებას არ გამოავლენს, ხოლო იბერიულ ენაზე ბგერა-სიტყვების გაგონებისას წარმოგვიდგება ცნობიერებაში მისი ყველა მნიშვნელობა, რაც ადამიანთა ნებასურვილს და თვისებას წარმოადგენს. ე.ი. იბერიულ (მეგრულ) ენაში თითოეული ბგერა მეტყველებს ადამიანის, თუ ბუნების ძალთა მიერ ამა თუ იმ მოქმედებათა შესრულებაზე, მის სურვილებზე და თანდაყოლილ თვისებებზე, და ბოლოს თვით ბუნების ძალთა შეცნობის დონეზე.

ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ, რომ იბერიულ ენაში ხმოვან ბგერებს ცალკე აღებულთ, შორისდებულებს კი წარმოადგენენ, მაგრამ მნიშვნელობანი არ გააჩნიათ, ხოლო თანხმოვანი ბგერები ცალ-ცალკე აღებული არ არსებობენ ირაციონალური ხმოვნის – , ბგერის თანხლების გარეშე, რომელთან ერთად თანხმოვანი ბგერები იბერიულ (მეგრულ) ენაში ქმნიან სრულყოფილ სიტყვებს, მაგრამ სხვა ენებში და, მათ შორის, ებრაულ ენაში ცალ-ცალკე თანხმოვან ბგერებს მნიშვნელობა არ გააჩნიათ.

თუ ბგერა ცალკე აღებული არაფერს ნიშნავს ენაში, მის აღმნიშვნელ ასონიშანს შეიძლება მიეცეს ადამიანის სურვილის შესაბამისი ნებისმიერი გრაფიკული მოხაზულობა. ამიტომაა, რომ ებრაულ და ნებისმიერ სხვა დამწერლობებში ასონიშნებს, გარდა ზოგიერთი ფინიკიური ასონიშნებისა (რომლებიც ხატოვანი დამწერლობის ტრანსფორმაციის შედეგია), აქვთ ისეთი სახელდებანი, რომლებიც აბსოლუტურად არ ავლენენ იმ დანიშნულებებს, რაც, მაგალითად, ებრაული ასონიშნებისთვისაა დაკისრებული. ებრაულ ასონიშანს א(ა) ჰქვია ალეფ (ხარი), ב(ბ) – ბეთ (სახლი), ד(დ) – დალეთ (კარი) და ა.შ. ზოგიერთი ასონიშნის სახელდების ეტიმოლოგიური იდენტიფიკაცია კი საერთოდ დაუდგენელია. მაგალითად, ასონიშან ת (ტ)-ს სახელდება ტავ, ק (ქ)-ს სახელდება ქოფ და ა.შ. (იხ. თამაზ გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, 1989, გვ. 42), ხოლო იბერიულ ასომთავრულ დამწერლობაში თითოეული ასონიშნის გრაფიკული მოხაზულობა მისი სახელდების შინაარსითა და ანბანთ მწკრივში რიგითი ნომრითაა გამაგრებული.

რადგანაც ებრაულ ენაში თითოეული სამეტყველო ბგერა ცალკე აღებული უფუნქციოა, მნიშვნელობის მატარებელი არაა, წარმოადგენს მხოლოდ მნიშვნელობის მქონე სიტყვის საშენ მასალას, როგორც საერთოდ მიღებულია ლინგვისტიკაში, შეუძლებელია, მათს ასონიშნებში ბუნებრივად ასახულიყო შესაბამისი იბერიული ასონიშნებით აღნიშნული ბგერათა მნიშვნელობანი, ბგერით გამოხატული სურვილები და თვისებები ადამიანისა. ასეთი რამ მხოლოდ ხელოვნურადაა შესაძლებელი.

ყოვლისშემძლე ძალამ ე.წ. მეგრელებს (იბერებს) არგუნა სამეტყველო ბგერებისა და ჰარმონიულ ბგერათა კომპლექსების წარმოშობის და მათგან მნიშვნელობების მიღების საიდუმლოებათა შენახვის პატივ-დიდება. ეს კი საფუძველია, საერთოდ, მეტყველების წარმოშობისა და მისი იმდენად უსასრულო განვითარებისა, რომ საბოლოოდ სრულყოფილად შეიცნოს და აღწეროს უზენაესი შემოქმედის სიდიადე და საიდუმლოებანი.

კუკური ფიფია,
„ფაზისისა" და „აიას" საერო- სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

ევროპა ზანზარებს: იტალია ევროკავშირის წინააღმდეგ აჯანყდა! პოლიციასთან შეტაკებები ესპანეთსა და ბულგარეთში!

მთელ იტალიაში ყოველდღე იმართება აქციები, პიკეტები, დემონსტრაციები და პოლიციასთან შეტაკებები. ხალხს ევროკავშირიდან გამოსვლა სურს, ისინი ევროკავშირის დროშებს ხევენ და წვავენ. ესპანეთის დედაქალაქში კი პროტესტის აკრძალვის შესახებ კანონის მიღების წინააღმდეგ დემონსტრაცია პოლიციასთან გააფთრებულ შეტაკებაში გადაიზარდა. მადრიდში 23 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 14 წესრიგის დამცველი. ახალი კანონი არასანქცირებულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობისთვის მსხვილ ფულად ჯარიმებს ითვალისწინებს.

მასობრივი საპროტესტო აქცია ბულგარეთში პოლიციასთან შეტაკებით დამთავრდა. სოფიის მცხოვრებნი მინისტრთა კაბინეტის და პრემიერ პლამენ ორეშარსკის გადადგომას მოითხოვენ. აქცია ბულგარეთის დედაქალაქის ცენტრში მინისტრთა საბჭოს და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობების წინ დაიწყო. დემონსტრაციის მონაწილეებმა სახალხო კრების შენობას ჩირაღდნები ესროლეს. პოლიციელებმა პარლამენტის დასაცავად ძალა გამოიყენეს. ამჟამად საპროტესტო აქცია გრძელდება. ქვეყნის სახალხო კრების გარშემო ტერიტორია პოლიციის მიერ გარშემორტყმულია. სამართალდამცველები დემონსტრანტებს წესრიგის დაცვის და დაშლისაკენ მოუწოდებენ.

მოკლედ, როგორც ჩვენში იტყვიან: **"ვირს პიტნა არ უყვარდა და მაინც ცხვირში ატენიდნენო"!** ევროკავშირი თავად ევროპელებს არაფერში ეპიტნავებათ, რადგან კარგად იციან მისი თაღლითური შიგთავსი და ჩვენ რატომ ვაკლავთ თავს, ვერაფრით ვერ გაგვიგია. დარწმინებული ვართ, ვიდრე ჩვენ მასში გაგვაწევრიანებენ, მანამდე დაიშლება გლობალისტების ეს **"სავანე"**.

საძინფორმი

ამერიკელები სულ გათავხედდნენ – აშშ-ის სპეცსამსახური რომის პაპსაც უსმენდა!

ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებმა დაამტკიცეს, რომ მათთვის არაფერი წმინდა არ არსებობს. ისინი მთელი ვატიკანის, მათ შორის, პირადად რომის პაპის სატელეფონო საუბრებსაც კი უსმენდნენ!

ეს მონაცემები ეყრდნობა 2012 წლის დეკემბერიდან 2013 წლის იანვრამდე პერიოდში მოსმენილი 46 მლნ სატელეფონო საუბრის ანალიზს.

იტალიის პრემიერმა ენრიკო ლეტამ შემოდგომის მიწურულს ამ საკითხზე უსაფრთხოების უწყებათაშორისი კომიტეტის სხდომა ჩაატარა, სადაც მკვეთრად დაგმო ამერიკელთა ამგვარი საქციელი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

მიხეილ მესხი არგენტინაში – ლეგენდა და რეალობა

"ერთხელ, თინეიჯერმა ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე დაწერა – ჩემი დიდი ოცნება "ენფილდზე" "ლივერპულის" მატჩზე დასწრებაა.

დავინტერესდი, თუ იცი, რა ფეხბურთი გვქონდა და რა დონის გუნდი იყო თბილისის **"დინამო"**-მეთქი. მითხრა, ის **"დინამო"** არც ვიცი და არც მახსოვსო. მართალიც იყო, მისთვის ჟურნალისტს არ დაუჯერია, როცა სტადიონზე **"დინამო! დინამოს!"** ვყვიროდით და მთელი სტადიონი გუგუნებდა. ამ განცდის გარეშე ძნელია გაიგო ის, რომ ქართულ ფეხბურთს დიდი პოტენციალი გააჩნია...

საერთოდ, როცა სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტსივრცეში ქართულ გვერდებს ვუყურებდი, ძალიან ცოტას წერდნენ ჩვენს წარსულზე – რანი ვიყავით, რა ფეხბურთი გვქონდა და **"ფეისბუქზე"** გვერდი **"გაბრაზებულმა"** შეექმენი. 1981 წლის **"დინამო"** არის ყველაზე დიდი ქართული გუნდი და ჩემს ვალად ჩავთვალე, ყველასთვის შემეხსენებინა, რას წარმოადგენდა ქართული ფეხბურთი და ინგლისური სახელი ამიტომაც შევურჩიე – **"Dinamo Tbilisi cup winner cup 1981"**.

დღეს, როცა ჩვენში ქართული ფეხბურთის იმედიც გაქრა და მის მიმართ ინტერესიც, ამ გვერდის შექმნა აუცილებელ საქმედ ჩავთვალე – ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ მართლა გვქონდა დიდი ფეხბურთი და რომ ეს ლეგენდა არ არის.

"მივაკვლიეთ "დინამოს" თამაშების დიდ არქივს, მაგრამ უდიდეს თანხას გვთხოვენ, მარტო 1964 წლის 18 ნოემბრის "ოქროს ფინალზე" – 100 ათას ევროს. სამწუხაროდ, ეს თანხა არ გვაქვს, თორემ სიამოვნებით გადავიხდიდი. მაგრამ კავშირების წყალობით, უნიკალური მასალების მოპოვებას მაინც ვახერხებთ", – ამბობს ზურაბ რუბაშვილი, რომელიც დავით ილურიძესთან ერთად, ამ მშვენიერი წამოწყების ინიციატორია.

მათ უნიკალური ფოტო და საგაზეთო მასალები შეაგროვეს და ამას დღემდე დიდი სიყვარულით აგრძელებენ, რაც, წესით, ოფიციალური სტრუქტურებისა და ფეხბურთის ფედერაციის საქმე უნდა იყოს...

18 ნოემბერი ქართულ ფეხბურთის გულშემატკივრისთვის 1964 წელს თბილისის **"დინამოს"** მიერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონობასთან ასოცირდება. არადა, ამ დღეს კიდევ ერთი შესანიშნავი ამბავი მოხდა, რომლითაც ქართველები არგენტინაში გაიცნეს.

"დინამო თბილისი cup winner cup 1981"-ის დამფუძნებლებმა 1961 წლის 18 ნოემბერს ბუენოს-აირესში გამართული არგენტინისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებთა შეხვედრასთან დაკავშირებით საინტერესო დოკუმენტური მასალები აღმოაჩინეს.

საბჭოთა ნაკრებმა 2:1 გაიმარჯვა, რაც არგენტინულმა და ევროპულმა მედიამ დიდ სენსაციად მონათლა. საბჭოთა ნაკრები მაშინ პოპულარული 4-2-4 სისტემით თამაშობდა. მიხეილ მესხი მარცხენა ფლანგის თავდამსხმელი იყო, სლავა მეტრეველი კი მარჯვნიდან უტევდა – ორივე ძირითად შემადგენლობაში იყო.

ორივე გოლი (24-ე და 25-ე წუთებზე) როსტოვის სკა-ს თავდამსხმელმა ვიქტორ პონედელნიკმა გაიტანა. მაგრამ მედიამ მაინც ქართველები გამოარჩია – პირველი გოლი მესხის გადაცემით გავიდა. მეორე კომბინაციაც მესხმა წამოიწყო, საგოლე გადაცემა კი მეტრეველმა გააკეთა.

მესხმა არგენტინელები სისწრაფით, გამძლეობითა და კარის მუდმივი დაბომბვით მოხიბლა. ადგილობრივმა მიმომხილველებმა ის **"ქართველ გარინჩად"** მონათლეს. რუსებმა კი თავად აღიარეს არა რომელიმე მოსკოველი მოთამაშე, არამედ მეტრეველიც და, განსაკუთრებით, მესხი – ინდივიდუალური ოსტატობის უმაღლესი დონე აჩვენაო.

"პირველად ვნახე ფეხბურთელი, რომელიც პასს საკუთარ თავს უკეთებდა", – თქვა მიხეილ მესხზე არგენტინის ნაკრების მარჯვენა მცველმა სიმეონემ სსრკ-ს ნაკრებთან თამაშის შემდეგ.

პირველი ევროპული გუნდი, რომელთანაც არგენტინის საფეხბურთო ნაკრებმა საკუთარ მოედანზე წააგო, საბჭოთა კავშირის ნაკრები იყო. მის შემადგენლობაში მესხი და სლავა მეტრეველი ბრწყინავდნენ.

...მათ **"რივერ პლეიტის"** სტადიონ **"მონუმენტალზე"** მისული 110 000 არგენტინელი ქომაგი საუცხოო თამაშით გააოცეს და მატჩის შემდეგ ოვაციაც დაიმსახურეს.

მატჩის წინ ადგილობრივი პრესა, ფეხბურთელები, მწვრთნელები დიდი ანგარიშით გამარჯვებაში დარწმუნებულნი იყვნენ. 4:1 – ჟესტიკულაციით ანიშნა ტელეკამერის წინ მომავალი მატჩის ანგარიში ერთ-ერთმა არგენტინელმა ფორვარდმა. მისმა თანაგუნდელმა მცველმა ერთი აწეული თითი ჩააწევინა – ჩვენზე ცუდად ფიქრობ, ამ ერთსაც არ გავუშვებთო. პატარა ბიჭებმა კი, რომლებიც საბჭოთა ფეხბურთელებს დასდევდნენ, ხუთივე თითი გაშალეს – 5:0!

მასპინძლების მოურიდებელმა თავდაჯერებამ საბჭოური გუნდი სერიოზულად **"დაქოქა"** და მთავარ მწვრთნელ გავრილ კაჩალინს ამოცანა გაუიოლა – მოთამაშეებისთვის მომავალი მატჩისთვის დამატებითი განწყობის შექმნა საჭირო აღარ იყო...

მაყურებელი ფეხბურთის საყურებლად მიდიოდა და შოუზე მოხვდა. ის, რასაც ფლანგებზე (განსაკუთრებით – მარცხენაზე) საბჭოთა **"შოუმენები"** აკეთებდნენ, მრავლისმნახველ არგენტინელებს მანამდე არ ენახათ.

"მესხი "თანამგზავრია". ის სიმეონესთვის კოშმარად იქცა. საოცრად სწრაფი, ეშმაკურ დრიბლინგს ფლობს და ძალიან სახიფათოა", – გაოცებულები იყო არგენტინელი ჟურნალისტი.

"მესხი საუცხოოდ თამაშობდა. მან თავისი მეურვე სიმეონე დაქანცა. ის ყველაზე მეტად იყო "დამნაშავე" ორ გოლში, რომელმაც რუსებს მოაგებინა", – წერდა პოპულარული **"ელ გრაფიკო"**.

მატჩის შემდეგ, წამყვანი არგენტინული კლუბების მეპატრონეებმა განაცხადეს, რომ საბჭოელების მარცხენა გარემარბში 50 მილიონ პესოს გადაიხდიდნენ.

საბჭოთა გარემარბების მართლაც ვირტუოზულმა თამაშმა ადგილობრივ პუბლიკას განწყობა შეუცვალა. მესხი-მეტრეველის თითოეულ მოქმედებას ყიჟინა და ტაში მოსდევდა.

როგორც კი მსაჯმა საფინალოდ ჩასტვინა, ექსპანსიური ქომაგების ნაწილმა პოლიციის კორდონი გაარღვია და ფეხბურთელებს **"ეკვეთა"**. მეტრეველს, რომელიც მოედანზე ცოტა ხნით შეფერხდა, მაისური გახადეს და სასუვენირო ნაკუწებად აქციეს. მესხმა თავისი საფირმო დრიბლინგი მატჩის შემდეგაც **"გამოიყენა"** და გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში ოსტატურად მიიმალა. პონედელნიკს პოლიციამ წრე შემოარტყა და მოედნიდან ისე გაიყვანა.

...ადგილობრივი პრესის ყურადღების ცენტრში მესხი, მეტრეველი და იაშინი მოექცნენ. არგენტინელი კოლეგების აზრი გაიზიარა ფრანგმა ჟურნალისტმა ფრანსუა ტებომ, რომელიც ბუენოს-აირესში თამაშის სანახავად საგანგებოდ ჩავიდა.

მრავლისმნახველმა ფრანგმა საბჭოთა ნაკრების მიმართ კომპლიმენტები არ დაიშურა...

გაზეთი "ლელო"

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი



მთავარი პროკურატურის განცხადება ლევან კორტავას გარდაცვალების საქმეზე

რამდენიმე თვის წინ განსაკუთრებული სისასტიკით მოკლული პატიმრის ლევან კორტავას გარდაცვალების საქმეზე ქურდული წესების მიმდევარი კრიმინალური ავტორიტეტები გელა უშხვანი, სოლომონ დაშნიანი და თეიმურაზ გურეშიძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, აღნიშნულ პირებს პროკურატურამ ბრალი წარუდგინა ქურდული სამყაროს წევრობისთვის, ცემისთვის და ჯგუფურად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. უწყების ინფორმაციით, კორტავას საქმეზე უახლოეს პერიოდში იგეგმება სხვა თანამონაწილეების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა.

"აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გარდა ზემოაღნიშნული პირებისა, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ იქნენ საღ-ის მე-14 დაწესებულების დირექტორი მალხაზ სინაურიძე, დირექტორის მოადგილე ივერი გოგიბერიძე, უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორები ილია შანშაშვილი და თენგიზ ნასარეია, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორი ალექსანდრე ბაბუნაშვილი და სოციალური მუშაკი გიგა კოხოძე, ასევე მსჯავრდებული გიორგი შემაზაშვილი. დღესვე, ბრალდების მხარე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით გელა უშხვანის, სოლომონ დაშნიანის და თეიმურაზ გურეშიძის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შესახებ," – წერია პროკურატურის განცხადებაში.

ცნობისთვის 2013 წლის 23 მაისს, ლევან კორტავა მასზე განხორციელებული ძალადობით ქალა-ტვინის დახურული ტრავმის შედეგად გამოწვეული ტვინის შეშუპებით გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. ლევან კორტავას გარდაცვალების საქმეზე ჩატარებულმა გამოძიებამ დაადგინა, რომ 2013 წლის 12 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე, საღ-ის 14 დაწესებულებაში ქურდული წესების მიმდევარმა კრიმინალურმა ავტორიტეტებმა – ლაშა კვანტალიანმა, სოლომონ დაშნიანმა, გელა უშხვანმა, თეიმურაზ გურეშიძემ, გიორგი შემაზაშვილმა, შოთა სინაურიძემ და ნუგზარ ბუჩუაძემ, **„კრიმინალური ავტორიტეტისათვის"**, კერძოდ შოთა სინაურიძისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, განსაკუთრებული სისასტიკით, ჯგუფურად სცემეს მსჯავრდებული ლევან კორტავა.

უკვე გამოვიდა ჟურნალ „აია"-ს მომდევნო ნომერი, რომლის მთავარი რადაქტორია ბატონი გიორგი სიჯინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა 1.

ზუგდიდში, ფოთში, ხობში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, აბაშაში და მარტვილში ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო"-ს წარმომადგენლობაში.

ჟურნალის ფასია 4 ლარი

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930
234-32-95
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ძობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჯინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge